ზურაბ კუპატაძე

საქართველოს სამრეწველო წარმოების პრობლემები და მათი დაძლევის მიმართულებები

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად

სადოქტორო პროგრამა: „ტრანსპორტის და მრეწველობის მენეჯმენტი“

შიფრი: 02

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თბილისი, 0175, საქართველო

ივნისი, 2015 წელი

საავტორო უფლება © 2015 კუპატაძე ზურაბი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი
ტრანსპორტის და მანქანათმშენებლობის მენეჯმენტის დეპარტამენტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით კუპატაძე ზურაბის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: „საქართველოს სამრეწველო წარმოების პრობლემები და მათი დაძლევის მიმართულებები“ და ვაძლევთ რეკომენდაციას საქარველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი

ხელმძღვანელი: გ. ტყეშელაშვილი

რეცენზენტი: თ. კილაძე

რეცენზენტი: გ. ტაბატაძე

რეცენზენტი:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2015

ავტორი: კუპატაძე ზურაბი

დასახელება: საქართველოს სამრეწველო წარმოების პრობლემები და მათი დაძლევის მიმართულებები

ფაკულტეტი : სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის

ხარისხი: დოქტორი

სხდომა ჩატარდა: თარიღი

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა ის მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

სამრეწველო წარმოება ქვეყნის ეროვნული მეურნეობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, ამიტომაც არის, რომ მრეწველობის მხრივ განვითარებულ ქვეყნებში მთლიანი ეროვნული პროდუქტის, და ბიუჯეტის შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი სამრეწველო საწარმოებში იქმნება.

საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების თანამედროვე ეტაპზე ერთ-ერთ მნიშვნელოვან, ჯერ კიდევ გადაუწყვეტელ პრობლემას მთლიანად ქვეყნისა და მისი რეგიონების დაცემული, დეპრესიული სამრეწველო წარმოების აღდგენა-განვითარება წარმოადგენს.

90-იან წლებსა და შემდგომ პერიოდში საქართველოში პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სხვა მთელი რიგი რეფორმების პრაქტიკულმა რეალიზაციამ, საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალმა პერიოდმა რადიკალური გარდაქმნები მოითხოვა, როგორც მთლიანად სახელწიფოს, ასევე მისი რეგიონების ეკონომიკური და სოციალური პროცესების მისთვის სრულყოფის საქმეში, რასაც შედეგად მოჰყვა ურთულესი სხვადასხვა პრობლემების გადაწყვეტის გარდაუვალი აუცილებლობა. ამის ნათელი დადასტურებაა 1991-2014 წლებში მთლიანად საქართველოს ეკონომიკის დაცემა დეპრესიულ დონემდე. ამიტომ, ცხადია, რომ ქვეყნის წინაშე მდგარი უამრავი პრობლემის გადასაჭრელად უწინარეს ყოვლისა საჭიროა სამამული მრეწველობის კრიზისის დაძლევა. აქედან გამომდინარე საქართველოს მრეწველობის განვითარების პრობლემები დიდად აქტუალურია. აქტუალურობას ზრდის ისიც, რომ ბოლო დროს მრეწველობის განვითარებამ გარკვეული წარმატებებს მიაღწია. ის დღესაც ინარჩუნებს მნიშვნელოვან სიმძლავრეებს ფაბრიკა-ქარხნების და კომბინატების სახით. აღნიშნული უპირველესად ეხება სამთო-მომპოვებით მრეწველობას, წყლისა და ელექტროენერგიის წარმოებას. გადამამუშავებელი მრეწველობა კი უაღრესად ჩამორჩენილია.

აქედან გამომდინარე საქართველოს მრეწველობის თანამედროვე პრობლემების განსაზღვრა, მათი გადაჭრის გზების და დარგის შემდგომი განვითარების პერსპექტივების დასახვა დღევანდელობის ერთ-ერთი ძირითადი საკვანძო საკითხია.

ნაშრომის შესავალში დასაბუთებულია თემის აქტუალობა და მოცემულია პრობლემის შესწავლის მდგომარეობა, დასახულია კვლევის მიზანი და ამოცანები, კვლევის საგანი და ობიექტი, კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები, წარმოდგენილია ნაშრომის მეცნიერული სიახლე და პრაქტიკული მნიშვნელობა.

ლიტერატურულ მიმოხილვაში მოცემულია მრეწველობის განვითარების პრობლემებზე, მრეწველობაზე მოქმედ გარე და შიგა, მაკრო- და მიკროეკონომიკურ ფაქტორებზე მსოფლიოში აღიარებული მეცნიერულ-

მკვლევართა მონოგრაფიების მოკლე ანოტაციები, რომლებიც წარმოდგენას იძლევა დისერტაციის თემის აქტუალურობაზეც.

დისერტაციის მეორე განყოფილების - შედეგები და მათი განსჯა - პირველ თავში – მრეწველობის წარმოშობა და განვითარება მოცემულია მრეწველობის განვითარების ისტორიულ-ეკონომიკური მიმოხილვა, რომ ეს იყო რთული და მრავალეტაპობრივი პროცესი, რასაც განაპირობებდა: სანედლეულო ბაზებთან სიახლოვე, მძლავრი ენერგეტიკული პოტენციალი, ჭარბი ადამიანური რესურსები, სამომხმარებლო ბაზრების სიახლოვე და ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა. ამ ფაქტორთა სასარგებლო ზემოქმედება საკამოდ სრულად იქნა გამოყენებული მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა სამრეწველო საწარმოთა მშენებლობა. ამ პერიოდიდან საქართველოში შეიქმნა მანქანათმშენებლობის, ელექტროენერგეტიკის, ქიმიური, მსუბუქი და კვების მრეწველობის მსხვილი საწარმოები. თბილისი, ქუთაისი, ფოთი, ბათუმი და სხვა ქალაქები ჩამოყალიბდნენ უმნიშვნელოვანესი ინდუსტრიული ცენტრები, სადაც თავმოყრილი იყო საქართველოს მრეწველობის საწარმოო სიმძლავრეთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი.

ამავე განყოფილების მეორე პარაგრაფში – საქართველოს მრეწველობის კრიზისი – საუბარია იმ მნიშვნელოვან სიძნელეებზე, რომლებსაც განიცდის მრეწველობა. მრავალჯერ შემცირდა სამრეწველო წარმოების მოცულობა 1995-2014წ.წ. აღინიშნებოდა ძირითადად კლების ტენდენციები.

კრიზისს ადასტურებს ნატურალური მაჩვენებლების დინამიკა. როგორც ცხრილიდან ჩანს სამრეწველო პროდუქციის მოცულობამ 2014 წელს 1990 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად იკლო, რამაც ამ სფეროში დასაქმებულთა მაღალკვალიფიციური კადრების შემცირება გამოიწვია 1995 წელს მუშაკთა საშუალო წლიური რიცხოვნობა შეადგენდა 40,5 ათას კაცს, ხოლო 2002 წელს ამ მაჩვენებელმა შეადგინა 17,7 ათასი კაცი.

ეკონომიკურმა დაქვეითებამ კრიტიკულ ზღვარს 1993-1994 წლებში მიაღწია. 1994 წელს საქართველოს სამრეწველო კომპლექსში პროდუქციის წარმოების მოცულობა 2,3-ჯერ შემცირდა და მნიშვნელოვნად შეიცვალა მისი დარგობრივი სტრუქტურაც.

მართალია 1995-2000 წლებში დაიწყო წარმოების თანდათანობით ზრდა, მაგრამ საერთო სამრეწველო პოტენციალის გამოყენების არსებული მაჩვენებელი ჯერ კიდევ დაბალია. დისერტაციაში მოცემულია აგრეთვე გარდამავალ პერიოდში თუ როგორ რთულად ყალიდებოდა საქართველოს საექსპორტო პოტენციალი. ნაშრომში გაანალიზებულია მსხვილი სამრეწველო საწარმოთა პროდუქციის მოცულობის მაჩვენებლები 1997-2014 წლებში, აგრეთვე დარგობრივი სტრუქტურის ჭრილში პროდუქციის სტრუქტურის დინამიკა დახასიათებულია მრეწველობის მდგომარეობა.

სადისერტაციო გამოკვლევამ აჩვენა, რომ ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების გამო საქართველოს საკმაოდ მდიდარი სამრეწველო პოტენციალი აქვს, რომლის მაქსიმალურად ამოქმედება ხელს შეუწყობს ელ. ენერგიის მოხმარების მნიშვნელოვან ზრდას, ანუ ენერგეტიკის განვითარებისათვის ერთ-ერთი უმთავრესი ბაზრის საკითხი ადგილზევე შესაძლებელია მოგვარდეს.

მოცემულია სამრეწველო საწარმოთა საქმიანობის სისტემური გაუმჯობესების შესაძლებლობები. სადისერტაციო კვლევამ ცხადი გახადა ძირეული გარდაქმნების აუცილებლობა. კერძოდ, გაკეთებულია დასკვნები მრეწველობის განვითარების მაკროეკონომიკური და მიკროეკონომიკური პრობლემების შესახებ. აგრეთვე მოცემულია ღონისძიებათა სისტემატიზაცია მრეწველობის განვითარებისათვის.

დისერტაციის ბოლოს მოცემულია სამრეწველო საწარმოთა საქმიანობის შესწავლის შედეგად დამუშავებული დასკვნები და რეკომენდაციები, რომელთა პრაქტიკული რეალიზაცია ხელს შეუწყობს მრეწველობის კრიზისის გადაჭრას, დააჩქარებს საწარმოთა რეორგანიზაციას. ეს რეკომენდირებული ღონისძიებები შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით.

1. საქართველოში არსებობს ყველა აუცილებელი პირობა მრეწველობის აღორძინებისთვის, ასეთებია: ადგილობრივი სანედლეულო ბაზა და საწარმოო სიმძლავრეები;

2. მრეწველობა და ცალკეული საწარმოები დღეისათვის მნიშვნელოვან სიძნელეებს განიცდიან, აქედან გამომდინარე აუცილებელია ამ მიმართულებით მუშაობის გააქტიურება.

3. საგადასახადო გარემო საერთოდ ვერ ასრულებს მასტიმულირებელ ფუნქციას სამრეწველო საწარმოებისათვის და აუცილებელია მისი შეცვლა ლიბერალიზაციის და დიფერენციაციის მიმართულებით.

4. სამრეწველო საწარმოები ფუნქციონირებენ ეკონომიკის ისეთ პირობებში, რომლის შესაბამისი საფინანსო-საკრედიტო მექანიზმი არასათანადოდ მუშაობს საქართველოში. საჭიროა ეროვნული ბანკისაგან კომერციული ბანკებზე გასაცემი სესხის სარგებლის სახელმწიფო რეგულირება. ამით დარეგულირდება კომერციული მოკლე და გრძელვადიან სესხებზე სარგებლის განაკვეთი.

5. მრეწველობისათვის შედარებით მისაღებია საწარმოთა ორგანიზება მცირე და საშუალო ბიზნესის სახით.

6. მრეწველობის კრიზისიდან გამოსვლისათვის აუცილებლობას წარმოადგენს რიგი მაკრო- და მიკროეკონომიკურ ღონისძიებათა კომპლექტურად განხორციელება, რომელთაგან ძირითადია: საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფა, მისი შემდგომი ლიბერალიზაციის, დიფერენციაციის და გამარტივების მიმართულებით. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სისტემის სრულყოფა, საბაზრო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და ქმედითუნარიანობის ამაღებისადმი ხელშეკრულება, სასამართლო-საარბიტრაჟო სისტემის

გაუმჯობესება - სამეურნეო დავების სწრაფად და სამართლიანად გადაჭრის შესაძლებლობა, საწარმოო და ლოგისტიკის სისტემის სრულყოფა, კადრების პროფესიონალიზმის ზრდა და დიზაინერთა მომზადების სრულყოფა, დარგში მცირე ბიზნესისადმი ხელშეწყობა და სხვა.

Abstract

Industrial production is in the most important part of a country's national economy; that's why in industrial way the developed countries the most part of the budget incomes are created in the industrial enterprise of the whole national products.

One of the most and yet unsolved problem for Georgian economic and social development at modern phase presents the countrywide and regional poor industry production and its revival-development.

In Georgia in the 90-th and afterwards the political, economical, social and realization of the other ranges of reforms during the transitional period on the market relation took the radical conversion (changeover) as well the whole state as its regional economical and social processes result the solution inevitable necessity of most difficult and different problems. The clear confirmation is the depressed level of economic decline of the whole Georgia within 1991-2014. That is why there are innumerable problems a county faced is to overcome the domestic industry crisis. Consequently the problems of Georgian industry development are greatly actual. Industry development - that grew the actuality has made the certain progress recently. Nowadays it keeps the important capacity in the form of factories-plants and enterprise. The mentioned one refers to a mining-industry, water and electric-power generation. Processing industry is highly retarded.

Thus, defining the modern problems of Georgia industry, the way of their solution and setting the further developing perspectives is the main key issue of nowadays.

The actuality of the theme is stated in the work introduction. The state of study is given, set the purpose and tasks of the research, theory-method basics of the research, scientific news and practical importance of the work is presented.

Literature review presents the monographs of short annotation of the world-renowned scientific-researchers that pictures us the actuality of the theme of the thesis- the

industry development problems, the outer and inner influences over the industry, micro and macroeconomics factors.

The second part of thesis –results and their discussion – in the first chapter –the origin of the industry and its development is given the historical-economical review. It was hard and multi-phase process that was conditioned: the closeness to a raw material basis, the strong energy potential, the excessive human recourses, the closeness of the consumer markets and favorable geographical location. The useful influence of these factors have been used completely enough after the Second World War and then particularly widely spread the construction of the industrial enterprises. Since this period machinery construction, electric-power industry, chemical, soft and large plants of nutrition industry have been created. The most important part of Industry production capacity of Georgia had been gathered in the following towns: Tbilisi, Kutaisi, Poti, Batumi and others.

In the second paragraph of this part- Georgia industry crisis – the important difficulties are to be said that that industry has suffered. Production volume of industry has been repeatedly decreased in 1995-2014. Reduction tendencies have been observed.

The dynamics of natural indication confirms the crises. As it is seen from the schedule the volume of industrial production in 2014 compared with 1990 significantly decreased, that caused the highly-qualified staff diminishing. In 1995 the staff annual number was 40,5 thousand employees, whilst in 2002 its indicator was 17,7 thousand employees.

The Economic decline achieved its critical point in 1993-1994. In 1994 in Georgian industry complex the capacity of producing diminished 2-3 times and its sectoral structure has changed greatly.

In 1995-2000- a gradual increase in manufacturing has begun, but the usage of the common industrial potential indicator is still low. Hard forming of Georgia export potential in the transitional period is shown in the thesis. The indicators of the large industrial enterprises volume in 1997-2014 has been realized in the work (thesis). The

dynamic of production structure is characterized the state of industry in the field structure section as well.

The thesis survey showed that due to natural-geographical conditions, Georgia has got fairly rich industrial potential, launching to which will favor the growth of electric power consumption greatly, i.e. for the development of power engineering one of the main market issue can be locally settled.

System Improvement opportunity are given of industrial enterprise activities. The important transformations are essential according to the survey of thesis. Specifically, the conclusions have been made in industry development about the problem of macro and microeconomics. The activities systematization is given in the work for industrialize.

At the end of the thesis are given the recommendation and conclusions due to the survey of industrial enterprises that favor to settle the crisis and hasten the enterprise reorganization. These recommended activities can be grouped in the following way.

1. There are all necessary conditions in Georgia to revive industry. Such as: the local-domestic raw material and production capacity.
2. Industry and separate enterprises suffer difficulties nowadays, thus it is necessary to work and be active in this direction.
3. Tax Environment cannot make stimulating function for industrial enterprises and is necessary its alteration towards liberalization and differentiation.
4. Industrial enterprises function in such economics conditions, that relevant finance-credit mechanism do not work properly in Georgia. To be issued loan benefits should be under state regulation. It will regulate the commercial short and long-term interest rates.
5. It is relatively acceptable for the entrepreneurs organizing the enterprises in a small and average form of a business.
6. The complete implementations of macro and microeconomics activities present the necessity to get out of industry crisis. The main of them are: the perfection of tax legislation towards its further liberalization, differentiation and simplification. The perfection of the system of state regulation of the

economy, market infrastructure improvement and agreement of effectiveness, court-arbitration system improvement- the ability to solve economic disputes quickly and fairly, the perfection of industrial and logistics system, enhancement of professionalism of the staff and perfection of designers preparation, small business support and others.

შინაარსი

შესავალი 16

1. ლიტერატურის მიმოხილვა 22

2. შედეგები და მათი განსჯა 31

2.1. მრეწველობის წარმოშობა და განვითარება.....

2.1.1. მრეწველობის ჩასახვის პროცესი და მისი წინაპირობა.....

2.1.2. საქართველოს სსრ ინდუსტრიალიზაციის პროცესის ანალიზი და კრიზისის მიზეზების გამოკვლევა.....

2.1.3 საქართველოს ეკონომიკაში მრეწველობის როლის და ადგილის განსაზღვრა.....

2.2 საქართველოს სამრეწველო ბიზნესის მართვის მაკრო- და მიკროეკონომიკური პრობლემების დეფინაცია.....

2.2 საქართველოს მრეწველობის კრიზისი და მისი გამომწვევი მიზეზების ანალიზი .....

2.3 მრეწველობის განვითარების მაკროეკონომიკური რობლემები და მისი გადაჭრის გზები.....

2.4 მრეწველობის განვითარების მიკროეკონომიკური პრობლემები და მისი გადაჭრის გზები .....

3. დასკვნა 148

გამოყენებული ლიტერატურა 156

ცხრილების ნუსხა

ცხრილები არ არის ნაპოვნი განახლებისთვის დააწექით F9 ღილაკს.

ცხრილის №	ცხრილის დასახელება	გვერდი
ცხრილი 1	ქ. ქუთაისში არსებული ფაბრიკა-ქარხნების რაოდენობა 1912წ.	49
ცხრილი 2	ქ. ქუთაისის ფაბრიკა-ქარხნებში მომუშავეთა სტრუქტურა წლების მიხედვით	50
ცხრილი 3	სამრეწველო პროდუქციის ზოგიერთი უმნიშვნელოვანეს სახეობათა წარმოების დინამიკა	65
ცხრილი 4	მარკეტინგის მართვის ჩარჩო	70
ცხრილი 5	მრეწველობაში სახეობათა პროდუქციის წარმოება ნატურალურ გამოსახულებაში ქ. ქუთაისში 1990-1995 წლებში	109
ცხრილი 6	აშშ-ს ფედერალური ბიუჯეტის შემოსავლები 1999 წ-ს	121
ცხრილი 7	მრეწველობის მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი ღონისძიებები	140

ნახაზების ნუსხა

ნახაზები არ არის ნაპოვნი განახლებისთვის დააწექით F9 ღილაკს.

ნახაზის №	ცხრილის დასახელება	გვერდი
ნახ. 1	საშენ-მასალათა მრეწველობის მცირე საწარმოებში მართვის მოქმედი სტრუქტურა	69
ნახ. 2	Cap ანალიზი მარკეტინგის მიზანი და სტრატეგია	73
ნახ. 3	ი. ანსოფის მატრიცა (საქონელი/ბაზრები)	74
ნახ. 4	მომგებიანობის გარდატეხის გრაფიკი	77
ნახ. 5	ნახაზი 5. მრეწველობის დარგში დასაქმებულთა რაოდენობა1999-2013წწ.	83
ნახ. 6	ეკონომიკური განვითარების ტიპიური საქმიანი ციკლი	97

მადლიერება

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას დიდი დახმარება გამიწიეს სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის დეკანმა, პროფესორმა ოთარ გელაშვილმა, სადისერტაციო საბჭოს თავჯდომარემ, პროფესორმა ჯუმბერ იოსებიძემ, მეცნიერ-ხელმძღვანელმა, პროფესორმა გოდერძი ტყეშელაშვილმა, რომელთა განსაკუთრებული დახმარებითა და რჩევით შესაძლებელი გახდა დისერტაციის შესრულება, რისთვისაც მათ მიმართ დიდ მადლიერებას გამოვხატავ.

განსაკუთრებულად მინდა მადლობა მოვახსენო ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს პროფესორ გოდერძი ტყეშელაშვილს რჩევებისათვის და იმისათვის, რომ მისი მონდომებითა და ხელმძღვანელობით ვეზიარე მეცნიერული აზროვნების ხელოვნებას.

მადლიერება მინდა გამოვხატო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის და პროფესორ-მასწავლებლების მიმართ.

ასევე მადლობა ჩემს ოჯახს გვერდში დგომისათვის, თანაგრძნობისათვის. ასევე მადლიერი ვარ ყველა იმ ადამიანის ვინც დისერტაციაზე მუშაობის პერიოდში დახმარება გამიაწია რჩევით თუ მორალურად.

შესავალი

თემის აქტუალობა. საქართველოს მრეწველობა, ისევე როგორც ეკონომიკის სხვა დარგები ბოლო წლებში კრიზისულ მდგომარეობაშია, რასაც სათავე ჯერ კიდევ სსრ კავშირის სინამდვილეში ჰქონდა. მეურნეობის სოციალისტური სისტემისათვის დამახასიათებელმა სახელმწიფო საკუთრების პრიორიტეტმა, ცენტრალიზებულმა დირექციულმა დაგეგვმამ და ეკონომიკის მართვის ბიუროკრატიზაციამ წარმოშვა ისეთი ნეგატიური მოვლენები როგორიცაა: მუშაკის გაუცხოება წარმოების საშუალებისაგან, შრომისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება, განვითარების სტიმულირების დაქვეითება, კორუფცია და ა.შ. ამ ტენდენციებმა განსაკუთრებული სიმძლავრით იჩინა თავი ეკონომიკური რეფორმების არაორგანიზებულად დაწყების შემდეგ და გამოიწვია სამრეწველო წარმოების როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი მაჩვენებლების მკვეთრი დაცემა, საწარმოოო სიმძლავრებისა და პერსონალის ქრონიკული დაუტვირთაობა. უფრო მწვავე აღმოჩნდა კრიზისი ეკონომიკის ბაზისურ დარგში – მრეწველობაში, რომელიც როგორც ცნობილია, მნიშვნელოვანად განაპირობებს ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარების დონეს. ამიტომ ცხადია, რომ საქართველოს წინაშე მდგარი უამრავი პრობლემის გადასაჭრელად უწინარეს ყოვლისა საჭიროა სამამულო მრეწველობის კრიზისის დაძლევა-ამ დარგის დაჩქარებული განვითარება.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა მიმდინარე ფასებში 2014 წ-ს 30 მლრდ. ლარამდე იყო, რაც თავის მხრივ ცუდი მაჩვენებელია და ეკონომიკის სუსტად განვითარებაზე მიუთითებს, აქედან კი მრეწველობაზე მოდის მისი 17,1 %, იგი ვაჭრობის შემდეგ ეკონომიკის სექტორებს შორის ყველაზე დიდი ხვედრითი წილითაა წარმოდგენილი, მაგრამ მისი განვითარების დაბალი დონე მაინც აშკარაა, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ გასული საუკუნის 80-იანი წლებში აღნიშნულ დარგში დასაქმებული იყო მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის

თითქმის 38 %, ხოლო ეროვნულ შემოსავალსი მისი წილი 60 %-ს უახლოვდებოდა. [1]

სამრეწველო წარმოების მოცულობის და ეკონომიკაში მისი ხვედრითი წილის დაცემა განპირობებული უამრავი ობიექტური და სუბიექტური ხასიათის გარემოებებით, რომელთაც აქვთ როგორც მაკროეკონომიკური, ისე მიკროეკონომიკური მიმართულებები. მათი მეცნიერული კვლევა და მრეწველობის განვითარების მიმართულებების სწორად ჩამოყალიბებას აქვს უაღრესად დიდი მნიშვნელობა, რაც განაპირობებს წინამდებარე ნაშრომის აქტუალურობას.

ხელისუფლება ცდილობს მიაღწიოს ეკონომიკის დაჩქარებულ განვითარებას. მოქმედებაშია პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, ფინანსური თანადგომის მიღწევა შესაძლებელია „საპარტნიორო ფონდის“ დახმარებითაც, პროპაგანდა ეწევა უცხოური ინვესტიციების შემოდინებას. ეს ძალისხმევა კიდევ უფრო აქტუალურს ხდის მრეწველობის - ეკონომიკის ამ უმნიშვნელოვანესი სექტორის განვითარებისათვის მეცნიერულად დასაბუთებული მიმართულებების შეთავაზებას. ესეც თემის აქტუალურობის დამადასტურებელია.

პრობლემის შესწავლის მდგომარეობა. სამრეწველო წარმოების და კერძოდ სახელმწიფო ტერიტორიულ ერთეულებში მრეწველობის განვითარების პრობლემები მსოფლიოს მეცნიერ-ეკონომისტთა სისტემატიური ყურადღების საგანია. იგი შეისწავლებოდა და მუშავდებოდა, როგორც ადრეული პერიოდში, ასევე საქართველოს რეფორმებისა და საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ წლებში. ამ პრობლემებს საკმაო ადგილი აქვს დათმობილი პ. სამეულსონის, ვ.ნორდჰაუსის, რ. მაკკონელის და სტენლი ლ. ბრიუს, ლეკსინის, მ.შვეცოვის და მთელ რიგ სხვა მეცნიერ მკვლევართა შრომებში.

საქართველოს სამრეწველო განვითარების და კერძო მრეწველობის განვითარების რეგიონული ასპექტები სისტემატიური განხილვის საგანია ქართველი მეცნიერ-ეკონომისტების ნ. ჭითანავას, რ. კაკულიას. ვლ. პაპავას,

დ. მოურავიძის, ი. მესხიას, დ. ძნელაძის, დ. ჩომახიძის, გ.მალაშხიას, ე. ბარათაშვილის, შ. ვეშაპაძის, ვ. ბურკაძის, გ. ყუფუნიას, გ. ჩუბინიძის, კ. ხმალაძის, ე. გაფრინდაშვილის, ო. ვაშაკიძის და სხვათა შრომებში. მათ მიერ დამუშავებული პრობლემები უდიდესი შენაძენია ეკონომიკის მეცნიერული ნიადაგზე განვითარების საქმეში. მიუხედავად ამისა თანამედროვე რეალიების გათვალისწინებით მრეწველობის განვითარების პრობლემების გამოკვლევა წარმოადგენს პირველ ცდას იმისათვის, რომ სრულად გამოიკვეთოს პროლემების დაძლევის ხელისშემშლელი ფაქტორები მრეწველობაში და შემუშავდეს მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებები დარგის განვითარებისათვის.

კვლევის მიზანი და ძირითადი ამოცანები. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი მიზანია საქართველოს მრეწველობის განვითარების პრობლემების გამოვლენა და ღონისძიებათა შემუშავება მისი დაძლევისათვის. თეორიული და პრაქტიკული რეკომენდაციების ჩამოყალიბება მრეწველობის, როგორც საქართველოს ეკონომიკის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის აღორძინებისათვის. აქედან გამომდინარე ძირითადი მიზნის მისაღწევად საჭიროდ მივიჩნიერთ შემდეგი კერძო ამოცანების გადაწყვეტა:

_ შემსწავლელი იქნეს მრეწველობის წარმოშვება და განვითარება. ჩატარდეს შესაბამისი ანალიზი;

_ გამოვლინდეს მრეწველობის დაცემის გამომწვევი მიზეზები. გაანალიზდეს მრეწველობის დღევამდელი მდგომარეობა, მისი ფუნქციონირების მასტიმულირებელი და ხელისშემშლელი ფაქტორები;

_ დამუშავდეს მრეწველობის განვითარების მაკროეკონომიკური პრობლემები, განსაკუთრებით განხილვას დაექვემდებაროს საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარების დონე, საგადასახადო გარემო და მრეწველობაში საფინანსო-საკრედიტო უზრუნველყოფის პრობლემები;

_ გამოვლინდეს საქართველოს მრეწველობის განვითარების მიკროეკონომიკური პრობლემები, კერძოდ წარმოების მართვის

ამჟამინდელი პრაქტიკა, ტექნიკური დონის განვითარების, მცირე და საშუალო ბიზნესის ორგანიზაციის, კადრების მომზადება-გადამზადების და სხვა წინააღმდეგობები;

_ ჩამოყალიბდეს საქართველოს მრეწველობის განვითარების ეკონომიკურ ღონისძიებათა სისტემა.

კვლევის ობიექტი და საგანი. სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ობიექტის საქართველოს მრეწველობა, როგორც დარგი, მისი საწარმოები და ცალკეული ფორმები. კვლევის საგანია პრობლემის გამომწვევი ეკონომიკური ასპექტები, რომლებმაც განაპირობეს დარგში პრობლემების წარმოშობა, აგრეთვე ის ეკონომიკური საკითხები, რომლებიც შეხებაში არიან საბაზრო ეკონომიკის პირობებში პრობლემების წარმოშობასთან, მას მიმდინარეობასა და დაძლევასთან.

კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდიკა. კვლევის მეთოდოლოგიად გამოყენებულია სისტემური მიდგომა. დარგი განიხილება როგორც ღია სისტემა, რომელზეც მოქმედებს შიგა და გარე ფაქტორები კომპლექსურად და დინამიკაში - განუწყვეტლივ დროსა და სივრცეში. ამასთან კვლევის შედეგები არ შეიძლება წინააღმდეგობაში მოდიოდეს ეკონომიკური თეორიის საყოველთაოდ აღიარებულ დებულებებთან. ამდენად, ეკონომიკური თეორიაც ზოგადად გვევლინება მეთოდოლოგიურ საფუძვლად.

კვლევის მეთოდად მიღებულია დიალექტიკური მატერიალიზმი, რომელიც საშუალებას გვაძლევს: ვაღიაროთ მოვლენათა განუწყვეტელი მოძრაობა და განვითარება, სუბიექტისაგან (მკვლევარი) ობიექტის (დარგი) დამოუკიდებულება; ობიექტის მდგომარეობის შეცნობის შესაძლებლობა; ობიექტზე სუბიექტის მოქმედების გავლენა.

კვლევის პროცესში გამოყენებულია ანალიზის და სინთეზის მეთოდები. მასთან კავშირში კი სტატისტიკური მასალები, ცალკეული სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციათა კვლევის შედეგები, მეცნიერ-ეკონომისტთა გამოკვლევები.

მეცნიერული სიახლე. სადისერტაციო ნაშრომი პირველი გამოკვლევაა, მიძღვნილი თანამედროვე საქართველოს მრეწველობის განვითარების პრობლემისადმი, ეკონომიკის ტრანსფორმაციის პერიოდში, ამიტომ იგი თავისთავად ნოვაციაა. კერძოდ კი, სიახლეები შემდეგში გამოიხატება:

– სიახლეს უწინარეს ყოვლისა წარმოადგენს იმ ურთულესი პრობლემების წარმოქმნის ანალიზი და მეცნიერული გამოკვლევა, რის გამოც 20-25 წლის წინ სამრეწველო მრავალდარგოვანი წარმოების მხრივ განვითარებული რეგიონი რეფორმებისა და საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალი პერიოდში დეპრესიული მდგომარეობაში აღმოჩნდა;

– გაანალიზებულია საქართველოს მრეწველობის წარმოშობა და განვითარება, მისი ეფექტიანობის განმსაზღვრელი ძირითადი მიზეზები. სხვადასხვა ფაქტორის გავლენით გამოწვეული დარგის კრიზისი და ამ ფაქტორთა ურთიერთდამოკიდებულება;

– გამოვლენილია საქართველოს მრეწველობის განვითარების პრობლემების გამომწვევი ძირითადი მიზეზები, საგადასახადო ტარიფების მაღალი განაკვეთები, მიუღებელი საინვენსტიციო გარემო, საფინანსო-საკრედიტო სისტემის მოუწესრიგებლობა, საბაზრო ინფრასტრუქტურის დაბალი დონე, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სისტემის ჩამოუყალიბებლობა, დაუსაბუთებელი და გაუმართლებელი პრივატიზების ჩატარება დარგში;

– რეკომენდირებულია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისადმი უპირატესი ხელშემწყობის აუცილებლობა საქართველოს მერწველობაში კრიზისის დასაძლევად და სამრეწველო ნაწარმის კონკურეტუნარიანობის ასამაღლებლად;

– დასაბუთებულია საგადასახადო სისტემის არაეფექტიანობა იმერეთის მრეწველობისათვის და რეკომენდირებულია მისი საგადასახადო განაკვეთების ლიბერიზაცია, დიფერენცირება,

გადასახადების ჩამონათვალთა შემცირება, გადასახადების პროგრესიულობის უზრუნველყოფა;

– სამრეწველო საწარმოების მენეჯმენტის გაუმჯობესების მიზნით მისი გარე და შიგა გარემოს შემადგენლებად გამოკვეთილია დარგზე მოქმედი მაკროეკონომიკური ფაქტორები, ხოლო შიგა სამყაროს შემადგენლად – მიკროეკონომიკური ფაქტორები.

სადისერტაციო ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა. გამოიხატება იმით, რომ იგი ეკონომიკური თეორიის შემდგომი გაღრმავებაა და მისი საშუალებით შეიძლება ახლებურად გაანალიზდეს დარგობრივი ეკონომიკური კრიზისების დაძლევის გზები ეკონომიკური ტრანსფორმაციის პერიოდში და დაისახოს ღონისძიებები დარგის ფუნქციონირების ნეგატიურ მოვლენთა აღმოფხვრისათვის.

სადისერტაციო ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. სადისერტაციო ნაშრომის დასკვნები და შეთავაზებული რეკომენდაციები სამთავრებო სტრუქტურების მიერ ანტიკრიზისულ ღონისძიებათა დაგეგმა-განხორციელებისათვის. კერძოდ, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შეუძლია მისი გამოყენება სახელმწიფო რეგულირების სისტემის ჩამოყალიბებისათვის მრეწველობის განვითარებისათვის.

ნაშრომის რეკომენდაციებში – გათვალისწინებით შესაძლებელია საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა საგადასახადო, საბაზრო ინფრასტრუქტურის და სახელმწიფო დოტირების მიმართულებით.

სამრეწველო საწარმოების მენეჯერებს შეუძლიათ ნაშრომის პრაქტიკული რეკომენდაციები გაითვალისწინონ მმართველობით გადაწყვეტილებათა გამოტანისას, განსაკუთრებით წარმოების ინტენსიფიკაციის და მისი ტექნიკური დონის ამაღლების მიმართულებით.

1. ლიტერატურის მიმოხილვა

საქართველო განვითარებადი ქვეყნების რიგს მიეკუთვნება და მსოფლიოში არსებულ ქვეყნებს შორის ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული პროდუქციის მოცულობის მიხედვით, საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით, 192-დან 122-ე ადგილზეა. ხოლო მოსახლეობის რიცხოვნობით 107-ე ადგილზე იმყოფება. ეს მაჩვენებელი კი მისი ეკონომიკის არასახარბიელო მდგომარეობაზე მიუთითებს.

მიუხედავად ქვეყნის ეკონომიკური ჩამორჩენილობისა, მის სტრუქტურაში სამეწარმეო ბიზნესი სოლიდურადაა წარმოდგენილი. საკმარისია ითქვას, რომ მრეწველობის წილი 2014 წლის მონაცემებით 17,1 % - ია, ხოლო ამ სექტორში დასაქმებულია რიცხვი დაქირავებული შრომით დასაქმებულების საერთო რიცხვის 15 %-ია და არ აღემატება 100 ათასს კაცს. [1]

გასული საუკუნის 80-წლებისათვის საქართველო წარმოადგენდა რა დამოუკიდებელ რესპუბლიკას, აქედან გამომდინარე, ყველა უარყოფითი შედეგით მიეკუთვნებოდა ეკონომიკურად განვითარებულ რეგიონს, რაზეც შემდეგი მონაცემები მიუთითებს: 1987 წელს მთლიანმა საზოგადოებრივმა პროდუქტმა შეადგინა 22645,1 მლნ მანეთი, ხოლო ამ მაჩვენებლიდან მრეწველობის წილად მოდიოდა 13722,6 მლნ მანეთი. დღევანდელი ფასებით ეს ნიშნავს, რომ მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტი შეადგენდა მინიმუმ 16 მილიარდ აშშ დოლარს, ხოლო მასში მრეწველობის მოცულობა მინიმუმ 95 მლნ აშშ დოლარს. დღეისათვის კი ამ ანგარიშით, რომ მთლიანი შიდა პროდუქტი დაახლოებით შეესაბამება მშპ-ს ვიღებთ ამ მაჩვენებლის შემცირებას თითქმის 10-ჯერ. ხოლო სამრეწველო პროდუქციის მოცულობა შემცირებულია 47-ჯერ. ასევე არასახარბიელოდ განვითარდა მოვლენები სამეწარმეო ბიზნესში დასაქმებულთა რიცხოვნობის მიხედვითაც. თუ 1987 წელს სამრეწველო საწარმოო პერსონალის მთლიანი რიცხოვნობა შეადგენდა დასაქმებული

მოსახლეობის 29%-ს, რაც რაოდენობრივად 643 ათას კაცს შეადგენდა. 2012 წელს მრეწველობაში დასაქმებულთა საერთო რიცხვი , როგორც ზემოთ აღინიშნა არ აღემატებოდა 100 ათასს და შემცირებულია 6-ჯერ მაინც.[2]

ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში მრეწველობაში დასაქმებულთა უმეტესობა მოდიოდა დამამუშავებელ მრეწველობაზე. ხოლო დღეისათვის მრეწველობა ძირითადად წარმოდგენილია სამთო - მომპოვებელი დარგით და ელექტროენერგიისა და წყლის წარმოება-მიწოდებით.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარება წარმოუდგენელია სამრეწველო ბიზნესის გარეშე, რომელშიც ერთ - ერთ გადამწყვეტ ფაქტორს კადრების მენეჯმენტის განვითარება და ეფექტიანობის ამაღლებაა.

რესპუბლიკის სამრეწველო ბიზნესის განუვითარებლობა მნიშვნელოვნად განპირობებულია როგორც ობიექტური ფაქტორებით, ისე ეკონომიკის დარგში დასაქმებულობის შრომის არაეფექტიანობით და კადრების მენეჯმენტის არასრულყოფილობით.

შრომის რესურსების ფორმირების კლასიფიკაციის სრულყოფის და კადრებთან მუშაობის საკითხებზე მრავალი მეცნიერი მუშაობს, მათ შორის საქართველოში. ქართველი მეცნიერების მრავალი ნაშრომია ამ საკითხებზე, თუმცა ისინი მოძველებულია და ეძღვნება იმ პერიოდს, როდესაც მეურნეობის მართვის ცენტრალური სისტემა ფუნქციონირებდა. ეს სისტემა საშუალებას იძლეოდა უზრუნველყოფილიყო საწარმოების რითმულ მუშაობას, რამაც არსებითად გაათანაბრა მიდგომები პერსონალის მართვაში და საწარმოო პროცესების ორგანიზაციაში. პროცესებთან, რომელთა პროდუქციაზე სტაბილური მოთხოვნილებაა.

ამასთან დაკავშირებით, საწარმოების პერსონალის მართვის პრობლემების, ამოცანების და პროცესების კვლევები არ გამოიყოფოდა ცალკე მიმართულებად და არ ითვალისწინებდა კადრებთან მუშაობის სპეციფიკას. მხოლოდ, უკანასკნელ წლებში ეკონომიკის საბაზრო

ურთიერთობებზე გადასვლასთან დაკავშირებით ამ პრობლემებით დაკავებულმა მეცნიერებმა დაიწყეს საუბარი მრეწველობის განვითარების აუცილებლობასა და საკადრო საკითხის მნიშვნელობაზე.

მიმოვიხილოთ ზოგიერთი მათგანი :

1. Мякушкин Д. Е Социально-Психологические Аспекты Комплексной Оценки Персонала Организации, Методические рекомендации М. 2009. 178 с. [3]

ნაშრომში განიხილება საწარმოო პერსონალის შეფასების არსებული მეთოდები და შემოთავაზებულია ორიგინალური ხედვაც. რაც გამოიხატება შეფასების მათემატიკურ მოდელირებაში. პროცესის გაიოლების მიზნით იგი გვთავაზობს პერსონალის ხარისხის და შრომის ინტენსიობის შეფასებისათვის ორი ან სამი ფაქტორის ანალიზს, რაც არ შეიძლება მივიჩნიოთ რეალობასთან მიახლოებულადაცკი იქიდან გამომდინარე, რომ მის სოციალურ - ფსიქოლოგიურ ასპექტებზე უამრავი ფაქტორი ზემოქმედებს და მის განყენებულად გამოყენება ვერ მოგვცემს რეალურ სურათს. ავტორი პერსონალის ხარისხობრივი შეფასების მენეჯმენტისათვის იძლევა რეკომენდაციას, რომ სამუშაოები განხორციელდეს ეტაპებად, ესენია:

- ანალიტიკური ჯგუფის ფორმირება;
- პერსონალის შრომის ხასიათის აღწერა;
- შრომის ცალკეული ხარისხობრივი პარამეტრების გამოყოფა და მათი რაოდენობრივი შეფასების მეთოდების დადგენა;
- შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბება, დაკვირვების ჩატარება და შედეგების ანალიზი.

ეტაპების ჩამონათვალი მიანიშნებს მათი შინაარსის სტანდარტულობაზე. ამიტომ ნაშრომი მეცნიერულად დიდი ღირებულების მქონედ ვერ ჩაითვლება.

2. Разинкова О. П. Управление персоналом предприятия в условиях нестабильного производства, Монография, Тверь. ТГТУ. 2006. 144 с. [4]

ნაშრომში წარმოდგენილია ძირითადი თეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტები პერსონალის ფორმირების და გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებისათვის არასტაბილური წარმოების პირობებში. არასტაბილურ წარმოებად ავტორი მიიჩნევს სეზონურ საწარმოებს (სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების პროდუქციის წარმოება და გადამუშავება) და საწარმოებს, რომელთა პროდუქციაზე მომხმარებლის მოთხოვნილება არასტაბილურია (მაგალითად ნაყინის წარმოება).

იგი სამართლიანად მიიჩნევს ეფექტურობის ამაღლების ძირითად მიმართულებად არასტაბილური წარმოების რითმულობის ამაღლებას და ყოველმხრივ ხელშეწყობას წარმოების სტაბილური ფუნქციონირებისათვის. თუმცა, ეს მეტად რთული პროცესია საბაზრო თავისუფალი კონკურენციის პირობებში. გარე, მენეჯმენტური ფაქტორები იმდენად მრავალფეროვანია და გამოირჩევა უსასრულოდ დიდი რიცხვით, რომ სტაბილურობის მიღწევა, მითუმეტეს დროის ხანგრძლივი პერიოდებისათვის, მეტად რთული და პრაქტიკაში განუხორციელებელი ამოცანაა. აღნიშნული განსაკუთრებით ეხება საქართველოს ეკონომიკას, რომლის დიდი ნაწილი დაკავებულია არაკონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებით.

ავტორი სტაბილურობის უზრუნველყოფის გზაზე სამართლიანად მიიჩნევს ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად - წარმოების დივერსიფიკაციას, ნედლეულის შენახვის მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვას და სამუშაოთა შეძლებისდაგვარად განაწილებას თანაბრად კალენდარულ წელზე.

3. Агошкова Н. Е . Основные направления совершенствования управления персоналом на предприятиях АПК. Орел. 2013. 264. с. [5]

ნაშრომში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ სამეცნიერო - ტექნიკური პროგრესის გავლენით საწარმოებში სულ უფრო ფართო გამოყენებას აქვს ადგილი იმ მანქანების და მოწყობილობების, რომლებიც დაფუძნებულია კომპიუტერების ფართო გამოყენებაზე. გამოირჩევიან მაღალი მწარმოებლურობით და შესაბამისად ფასითაც. აქედან გამომდინარე, ასეთ

მანქანებზე მუშაობა მოითხოვს არამარტო საინჟინრო - ტექნიკური პერსონალის, არამედ დასაქმებული მუშების მაღალ კვალიფიკაციასაც. მას მოჰყავს ისეთი სამრეწველო საწარმოების მაგალითები, სადაც მუშების პოზიციაზეც კი უმაღლესი საბაკალავრო კვალიფიკაციის არსებობა თითქმის აუცილებელია. ამასთან, მუშებისა და ზოგადად საწარმოო პერსონალის მაღალი კვალიფიკაციია ვერ მოგვცემს შედეგებს, თუ პერსონალის მენეჯმენტი არ ხორციელდება უახლოესი მეთოდების და ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს საწარმოო პერსონალის სამსახურში მიღებასა და კადრების შერჩევის მეთოდიკაზე: შრომის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებასა და მომუშავეთა შეფასებაზე: მომუშავეთა შრომის და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე საწარმოო მუშების მონაწილეობაზე საწარმოს მენეჯმენტში კადრების დაწინაურების პერსონალური მიდგომის სისტემის ჩამოყალიბებაზე, საწარმოო პერსონალის შრომის ანაზღაურების ფორმებსა და სისტემებზე, რომელიც ხელმისაწვდომი და გასაგები უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისათვის საწარმოში შრომის მოტივაციის ამაღლების და კადრების მომზადება - გადამზადების სისტემის სრულყოფაზე.

4. Van Der Waldt, M.S. Bayat, W. Fox. The Fundamentals of Public Personnel Management Bern, 1998. 279 p. [6]

ნაშრომში შვეიცარიელი ავტორები უპირველესად განიხილავენ პერსონალის შერჩევის პროცესს და კვალიფიკაციებს, რომელთა ცოდნა აუცილებელია მოცემული სამუშაოს შესასრულებლად. მიმოხილულია განათლების მიღების და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა. ავტორთა აზრით, პერსონალის შერჩევის შემდეგ აუცილებელია მენეჯმენტის სქემის ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა და სამუშაოს ,,კოდექსის (შინაგანაწესის) თითოეული პერსონალის უფლება - მოვალეობების მკაფიოდ ჩამოყალიბება, რომელიც მისაღებია, ეთანხმება და დაადასტურებს, როგორც დამქირავებელი, ისე დაქირავებული. ამავე ,,კონტრაქტში“

გათვალისწინებული უნდა იყოს სანქციების სიდიდეები ქვეყნის შრომით კანონმდებლობასთან მიმართებაში.

ნაშრომის დიდი ნაწილი ეთმობა კონფლიქტური სიტუაციების წარმოშობის საკითხებს, როგორც მომუშავეებს ,ასევე მენეჯმენტსა და მომუშავეებს შორის, დაწვრილებითაა განხილული კონფლიქტების წარმოშობის მაგალითები, რომლებიც შეიძლება საერთო იყოს საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის. კონფლიქტები კი ყოველთვის იწვევს სტრესულ სიტუაციებს და შესაბამისად ამცირებს შრომის მწარმოებლურობას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს ინტელექტზე დაფუძნებულ შრომასთან. პერსონალის პირადი თვისებები გათვალისწინებული უნდა იყოს ისეთი კლიმატის ჩამოყალიბებაში, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს კონფლიქტების წარმოშობას.

ავტორები ნაშრომში განიხილავენ საწარმოო პერსონალის მოტივაციისა და კომპენსაციის საკითხებს და საერთოდ, მოტივაციას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. გვთავაზობენ მოტივაციის ამაღლების გზებს. საყურადღებოა ავტორთა მიდგომა კომპენსაციის საკითხებისადმი.

5. ARun Monappa, MIrza S Saiyadan. Personnel Management Second edition India, 2006. p 417. [7]

ადამიანური რესურსების მენეჯმენტის აღიარებული სპეციალისტების წიგნში ყურადღება გამახვილებულია პერსონალის მართვის ფსიქოლოგიურ მეთოდებზე, მათი აზრით, ეს უკანასკნელი მენეჯმენტის ისეთი მეთოდებია, რომლებიც სხვა სახეებისაგან განსხვავებით წინა პლანზეა. ეს ასეც არის, რადგან თვით მენეჯმენტის ცნება წარმოუდგენელია პერსონალის და ადამიანური რესურსების გარეშე და ფსიქოლოგია მხოლოდ ადამიანებს ახასიათებს.

ფსიქოლოგიური მეთოდებიდან პირველყოვლისა აქცენტი გაკეთებულია პერსონალის მოტივაციაზე. ავტორები განიხილავენ და გაანალიზებენ მოტივაციის განვითარებას ისტორიულ ასპექტში და გამოაქვთ დასკვა, რომ პირადი მოტივაციის ფაქტორებით თანამედროვე

სამეწარმეო ბიზნესში განისაზღვრება შრომის მწარმოებლურობა (შრომის ნაყოფიერება). მათ მაგალითებად მოაქვთ საზოგადოებრივ - ეკონომიკური ფორმაციები და სამრეწველო რევოლუცია, სამეცნიერო - ტექნიკური პროგრესის მიღწევები და შემოქმედებითი გონებრივი წილის ზრდა საერთო შრომის რაოდენობაში.

ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი პერსონალის სელექციას. ამ მიზნით შემოთავაზებულია სელექციისათვის საჭირო კითხვართა სტანდარტები, კითხვარები და მათი შეფასება, ტესტები, საექსპერტო შეფასებები და ა.შ. საერთო სურათის შექმნისათის ავტორები ადგენენ მათემატიკურ დამოკიდებულებას სხვადასხვა შეფასებებისათვის საერთო შედეგის გამოსაყვანად. ასეთი მიდგომა სავსებით გამართლებულია, თუმცა მოიცავს ზედმეტ დროს, ფინანსურ და მატერიალურ დანახარჯებს. ხოლო შედეგი ხშირად რეალობისაგან დაშორებულია. ნაშრომში ავტორები განიხილავენ პერსონალის მომზადების და გადამზადების პროცესსაც.

6. Marco Koster. Human Resourse management Versus Personel management . Germany, 2012. 406 p.[8]

ნაშრომი საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც ზემოთმოყვანილი ლიტერატურული წყაროებისაგან განსხვავებით წამყვანი როლი ორგანიზაციულ საკითხებს უჭირავს. მასში ძირითადად განხილულია ადამიანური რესურსების მართვის ორგანიზაციული სქემები, როგორიცაა საზობრივი და ფუნქციონალური, მატრიცული და პროგრამული ორგანიზაციული მართვის სახეობები კონკრეტულ ბიზნესზე დამოკიდებულებით. ავტორები გამოყოფენ კადრების მართვის ძირითად შედეგებს მოცემული ბიზნესის ხასიათისაგან გამომდინარე, აკეთებენ მასზე ძირითადად მოქმედი ფაქტორების ჩამონათვალს: მონაცემთა არსებობის შემთხვევაში განსაზღვრავენ კორელაციის სიმჭიდროვეს და მათზე დაყრდნობით იძლევიან ამა თუ იმ სქემის ეფექტიანობაზე დასკვნას.

მონოგრაფიაში ფაქტიურად წარმოდგენილია ბიზნესის სხვადასხვა სახეობებისათვის პერსონალის მართვის სტანდარტები, თუმცა ავტორების

აზრით, მათი დასკვნები ატარებენ მოლოდ თეორიულ ხასიათს და მათი პირდაპირი გამოყენება ბიზნესის პრაქტიკული ხელმძღვანელობისათვის რეკომენდებული არ არის. თითოეული კონკრეტული ბიზნესის რესურსი მენეჯმენტი მოითხოვს ცალკე ჯგუფის განხორციელებას და მათზე დაფუძნებით, როგორც მენეჯმენტის ორგანიზაციული სქემის შედგენას, ასევე პერსონალის რიცხვის განსაზღვრას.

7. Сидукова Г. И. Кадровая политика в условиях кризиса. М. ЗАО КИС, 2003 139.с. [9]

ნაშრომი ეძღვნება პერსონალის საკადრო პოლიტიკის კრიზისის პერიოდს. ავტორის მოსაზრებით, კრიზისული მოვლენების დადგომისას წინააღმდეგობა ჩვეულებრივ ადგილს მხარდაჭერას უთმობს. მსგავს სიტუაციებში მაღალი ხელმძღვანელობის საწყის ამოცანას წინააღმდეგობასთან ბრძოლა კი არ წარმოადგენს, არამედ ზომები კოლექტივის სტაბილიზაციის გაფრთხილებისათვის. იგი მართებულად აღნიშნავს, რომ როდესაც კრიზისი გარდაუვალია ხელმძღვანელებს, რომლებიც ამას სხვებზე ადრე გააცნობიერებენ შეუძლიათ მიიღონ გამაფრთხილებელი მოქმედებები. შემოთავაზებულია შეიქმნას ბუნებრივად კრიზისული სიტუაცია ,,გარეგანი მტრის“ გამოგონებით, რომელიც ადმინისტრაციის არსებობას ემუქრება, მაგრამ ბუნებრივი კრიზისის ინიციატორის მოქცევა სარისკოა და შეიძლება ჰქონდეს სერიოზული ეთიკური შედეგები, რადგან ბუნებრივად შექმნილი კრიზისი არ არის აუცილებელი გარდაიქმნას რეალურში. ამ ხერხის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი არსებითად ამცირებს წინააღმდეგობას და რეალურად კრიზისული სიტუაციიდან წარმატებით გამოსვლის შანსებს ზრდის.

8 Василевская О. В . Блинов А . О. Искуство управления персоналом М. ГЕЛАН. 2001, с 27 [10]

ავტორების აზრით პერსონალის მართვის ეფექტურობა დასმული მიზნების და ამოცანების სრული რეალიზაცია მნიშვნელოვნად

დამოკიდებულია საწარმოს პერსონალის მართვის ვარიანტების შერჩევაზე, მისი ფუნქციონირების ეფექტური მექანიზმების შექმნაზე. პერსონალის მართვის სისტემა უნდა მიმართული იყოს ღრმა გარდაქმნებისათვის წარმოებაში.

ნაშრომის ავტორები სამართლიანად აღნიშნავენ, რომ რომ უკანასკნელ ათწლეულებში სამეცნიერო - ტექნიკური პროცესი შრომით მოღვაწეობაში დიდი ცვლილებების მიზეზი შეიქმნა, რადგან ტრადიციული ტექნოლლოგიები ადგილს უთმობენ თანამედროვე საწარმოო პროცესებს, დაფუძნებულს უახლოეს ტექნოლოგიებზე და კავშირის თანამედროვე საშუალებებზე. ამის შესაბამისად, მცირდება პერსონალის რიცხოვნობა და იზრდება სპეციალისტების, ხელმძღვანელების და მაღალი კვალიფიკაციის მუშების და პერსონალის ხვედრითი წონა.

თვისობრივი მახასიათებლები სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენენ, როგორც კონკურენტუნარიანობის, ზრდის ფაქტორის, გრძელვადიანი განვითარების და შრომის შედეგების დაინტერესებით. მხოლოდ მაღალი დონის სპეციალისტებს შეუძლიათ ჩამოაყალიბონ ადამიანის რესურსების მართვის თანამედროვე კონცეფსია, მისცენ თანამშრომლებს პოტენციალის გამოყენების ეფექტური შეფასება.

თემის მნიშვნელიბიდან გამომდინარე, პერსონალის მენეჯმენტზე მსოფლიოში მრავალი ნაშრომია გამოქვეყნებული და კვლევა ჩატარებული, რომელთა ჩამოთვლაც არა თუ განხილვა შორს წაგვიყვანს. ყველა ავტორი, რომელთა მოსაზრებები გამოყენებულია სადისერტაციო ნაშრომში მითითებულია კვლევის პარარელურად, ამიტომ ლიტერატურის ზოგადი მიმოხილვა მიგვაჩნია აქ დავასრულოთ.

2. შედეგები და მათი განსჯა

2.1. მრეწველობის წარმოშობა და განვითარება

2.1.1. მრეწველობის ჩასახვის პროცესი და მისი წინაპირობა

სამრეწველო წარმოება სახელმწიფოთა ეროვნული მეურნეობის უმნიშვნელოვანესი სფეროა. მსოფლიოს მაღალგანვითარებული ქვეყნების საფუძველთა-საფუძველის ეკონომიკის აღმავლობისადმი ყურადღება განაპირობებს. ამტომაც არის, რომ მრეწველობის მხრივ განვითარებული ქვეყნებში მთლიანი ეროვნული პროდუქტის, ეროვნული და ბიუჯეტის შემოსავლების ნახევარზე მეტი სამრეწველო წარმოებაში იქმნება.

საქართველოს დღევანდელი მრეწველობა ღრმა ეკონომიკურ კრიზისში იმყოფება. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით 1990 წლიდან 2003 წლამდე სამრეწველო პროდუქციის მოცულობა შემცირებულია 12-ჯერ და მეტად. წარმოების მოცულობის ასეთი მკვეთრი დაცემის გამო საქართველოს უკვე არ განიხილავენ განვითარებული ინდუსტრიულ სახელმწიფოდ და იგი განვითარებადი - ,,მესამე სამყაროს˜ ქვეყნების რიგში აღმოჩნდა. წარმოების მოცულობა დაეცა ეკონომიკის ყველა სექტორში, მაგრამ იგი ყველაზე საგრძნობია მრეწველობაში. აღნიშნული განაპირობებს მოსახლეობის შემოსავლების სიდიდესაც, რომელიც აგრეთვე დაცემულია. ერთწევრიანი ოჯახისათვის ჩვენთან მოქმედი სტატისტიკით საარსებო მინიმუმი განსაზღვრულია 112,8 ლარით, საშუალოდ ერთი ოჯახისათვის კი _ 222,4 ლარით. ერთ თვეზე გაანგარიშებით, მაშინ როცა საშუალო ხელფასი მხოლოდ 72 ლარია.

საქართველოში არსებული საწარმოო სიმძლავრეები და წარმოებული პროდუქციის მოცულობაც 80-იანი წლებისათვის შეესაბამებოდა განვითარებული სახელმწიფოს ანალოგიურ მაჩვენებლებს.

მრეწველობა საქართველოს ეკონომიკაში წამყვან დარგს წარმოადგენდა. საკმარისია ითქვას, რომ იგი აწარმოებდა ქვეყნის საერთო პროდუქციის 58-59 პროცენტს, ხოლო ამ დარგში დასაქმებულია

რიცხოვნობა მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის 38-40 პროცენტს შეადგენდა. ამჟამად საქართველოს მთლიანად და იმერეთის რეგიონშიც მრეწველობა და ცალკეული საწარმოები მნიშვნელოვან სიძნელეებს განიცდიან, მრავალჯერ შემცირდა სამრეწველო წარმოების მოცულობა 1995-2000წ. ძირითადად აღინიშნებოდა კლების ტენდენციებით [1].

კრიზისს ადასტურებს ნატურალური მაჩვენებლების დინამიკა მაგალითად ქ. ქუთაისში 1990 წელთან შედარებით სატვირთო ავტომობილების წარმოება შემცირდა 99,3%-ით. მინიტრაქტორების 26,1%-ით, ჩასაძირი ელექტროძრავების _ 99,4%-ით.

განუხრელად მცირდება მრეწველობაში დასაქმებულთა რიცხოვნობაც. ასე მაგალითად, 2000 წელს მუშაკთა საშუალო სიობრივმა რიცხვმა მხოლოდ 5853 კაცი შეადგინა, რაც 3,1-ჯერ ნაკლებია 1995 წელთან და 8,1-ჯერ 1984 წელთან შედარებით. [2]

2000 წლის ბოლოს საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა მზა პროდუქციის ნაშთების მოცულობა _ 5,2 მლნ. ლარის ღირებულების. ე.ი. ამ წელს წარმოებული პროდუქციის 12,8%. განსაკუთრებით მაღალია ნაშთების მოცულობა მანქანათმშენებლობის და ქიმიური მრეწველობის საწარმოებში. ამასთან ბოლო წლების განმავლობაში სახეზეა ნაშთების კლების ტენდენცია.

ქ. ქუთაისის უმსხვილეს სამრეწველო საწარმოთა მუშაობის სხვადასხვა ეკონომიკური მაჩვენებლების (წარმოებული და რეალიზებული პრდუქციის, მზა პროდუქციის ნაშთების, დასაქმებულთა რაოდენობის, ერთი მუშაკის შრომის ნაყოფიერების და ელექტროშეიარაღების) ანალიზი ძირითადად ადასტურებს კრიზისის მასშტაბებს.

იმერეთის რეგიონის ეკონომიური და სოციალური განვითარების თანამედროვე ეტაპზე ერთ-ერთ მთავარ, ჯერ კიდევ გადაუწყვეტელ პრობლემას მთლიანად რეგიონისა და ქ. ქუთაისის დაცემული, დეპრესიული სამრეწველო წარმოების აღდგენა-განვითარება წარმოადგენს. ჯერ კიდევ 1918 წელს ვ. კაკაბაძე წერდა ,,კარგად უნდა დავიხსომოთ, რომ

ქვეყნის წარმატებისათვის და უზრუნველყოფისათვის, საჭიროა ეკონომიკური ცხოვრების სიმტკიცე, ეს უკანასკნელი კი დამოკიდებულია საწარმოო ძალთა განვითარებაზე, ღირებულებათა შექმნა წარმოებაზე, კაპიტალის და შრომისნაყოფიერებაზე, ...ის ქვეყანა, რომელიც არაფერს ჰქმნის, სხვებს არაფერს აწვდის, პირიქით სხვას შეჰყურებს და მხოლოდ უცხო ქვეყნიდან საქონლის შემოტანაზე ფიქრობს ვერასოდეს ვერ დადგება მჭიდრო ეკონომიკურ საფუძველზე. რამდენად მეტი ღირებულება მზადდება ამა თუ იმ ქვეყანაში, რამდენად მეტია ექსპორტი და იმპორტი, იმდენად ის უზრუნველყოფილია, ღონიერი ეკონომიკურად და მაშასადამე პოლიტიკურადაც~. ,,თუ ვაჭრობა-მრეწველობა არ განავითარეთ, მალე ჩვენზე უსაცვოდესი და შესაბრალისი დედამიწის ზურგზე მგონი არავინ იქნეს, რამდენაც მეტად განვითარებული ინება ვაჭრობა-მრეწველობა, იმდენად მეტი ფული იტრიალებს სახელმწიფოში. განვითარებული მრეწველობა და აღებ-მიცემობა უცხო ქვეყნის ოქროსაც ადვილად მიიზიდავს. საქმე იმაში არ არის თუ რამდენი ოქრო აღმოჩნდება ამა თუ იმ ქვეყანაში, არამედ თუ რამდენად განვითარებულია მრეწველობა~ [3].

მრეწველობის წარმოშობისა და განვითარების საკითხი რთული და დიდი საკითხია, რომელიც შეიძლება დავახასიათოთ, როგორც მრავალეტაპობრივი პროცესი.

პირველი ეტაპი განხორციელდება ქართული სახელმწიფოებრიობის გარიჟრაჟზე, ჯერ კიდევ ნახევრად ლეგენდარულ ეპოქაში. ვრცელი დასავლეთ-ქართული სახელწიფოს სამეფო ქალაქი (მითიური აია-კუტაი) იყო. როგორც ისტორიული წყაროებიდან ირკვევა არგონავტიკაში აღწერილი მდიდარი და ბრწყინვალე აია-კუტაია მნიშვნელოვანი თავშესაყარი იყო საყოველთაოდ ცნობილი ფენომენისა, რასაც ,,კოლხური კულტურის~ სახელი ჰქვია, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ კოლხეთის სამეფოს ძლიერების დასასრულის (IX_VIIIსს) სამხრეთ-დასავლეთ ქართველი ტომთა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დიდი მიგრაცია, რასაც იქ მნიშვნელოვანი კულტურული და რელიგიური

ცენტრების შექმნა მოჰყვა, კოლხეთის სახელმწიფოს სამეფო ქალაქის გვერდის ავლით არ მომხდარა. სავარაუდოა, რომ ამ მიგრაციის ერთი დიდი ნაკადი ქუთაისსა და მის რეგიონზეც გადიოდა. თუ ეს ვარაუდი სწორია ისიც დასაშვებია, რომ ტერმინ ,,იმერეთის" გავლენით წარმოშობით სახელწოდების მქონე ამ რეგიონის ვრცელ ტერიტორიაზე ახალი დიდი კულტურული ცხოვრების დამკვიდრებაში ქუთაისს გარკვეული ადგილი უჭირავს.

ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით ქალაქის განვითარება სწრაფად მიიწევდა წინ, განსაკუთრებით აღდგენისა და განვითარების პროცესი მკვიდრ ნიადაგზე დადგა იმერეთის რუსეთთან შეერთების შემდგომ (1810 წელი) და განსაკუთრებით სწრაფად წავიდა წინ საგლეხო რეფორმის შემდგომ პერიოდში, როდესაც შეიქმნა ხელსაყრელი პირობები წარმოების კაპიტალისტური წესის საყოველთაოდ დამკვიდრებისა და საქალაქო ცხოვრების დაჩქარებული აღმავლობისათვის.

საქართველოს ეკონომიკასა და კერძოდ, ბურჟუაზიული ურთიერთობების განვითარებისათვის სათანადო პირობები XIX ს.-ში იქმნება. ეკონომიკის საერთო აღმავლობის პირობებში თანდათან რღვევას იწყებს ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობა, ვითარდება ვაჭრობა, სოფლის მეურნეობა და მრეწველობა. წარმოების ფეოდალური ურთიერთობის წიაღში ჩნდება წვრილი კაპიტალისტური სახელოსნოები, მანუფაქტურები, ასევე საფაბრიკო-საქარხნო ტიპის სამრეწველო საწარმოები. 20-იანი წლებიდან საქართველოში შესამჩნევი გახდა საქალაქო ცხოვრების შედარებით გააქტიურება. ყველაზე მეტად ეს თბილისს დაეტყო, რომელიც იმ პერიოდში არა მარტო საქართველოს, არამედ ამიერკავკასიის პოლიტიკურ ცენტრადაც იქცა. ქალაქის მოსახლეობის ძირითად მასას წარმოადგენდნენ ხელოსნები და ვაჭრები. ვაჭარ-ხელოსნები იყვნენ თავისუფალნიც (მოქალაქეები) და არათავისუფალნიც. ქალაქებში ასევე იყო მცდელობა, რომ დაენერგათ კაპიტალისტური წარმოება, მაგრამ ბატონყმური ურთიერთობის

სიმტკიცის გამო ეს მცდელობები ხშირად მარცხით მთავრდებოდა. რუსეთთან შეერთების პირველივე წლებიდან რუსეთის ხელისუფლებამ დაიწყო საქართველოში ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რომელიც მის ინტერესებს შეესაბამებოდა, კერძოდ, მას სურდა საქართველო გადაექცია იაფი ნედლეულის წყაროდ, რუსული საქონლის გასაღების ბაზრად და მისივე საქონლის აღმოსავლეთის ქვეყნებში გასატან სატრანზიტო გზად. რუსეთის ეკონომიკური მიზნების განხორციელებას საქართველოში ხელს უშლიდა აქ ტრადიციულად დაკანონებული საბაჟო სისტემა. ადგილობრივ ხელისუფლებას ჰქონდა მცდელობა, რომ ქართული შიდა ბაჟები გაუქმებულიყო, ამასთანავე გავრცელებულიყო საერთო-საიმპერიო კანონები, თუმცა საბოლოოდ მათ საკმარისად მიიჩნიეს ბაჟების აკრძალვა საქართველოში შემოტანილ რუსულ საქონელზე, ხოლო შიდა ბაჟები გააუქმეს სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთა ინტერესებიდან გამომდინარე მხოლოდ კვების პროდუქტებზე. რუსეთისთვის შემოერთებული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ინტერესები, რომლისთვისაც შიდაბაჟების სისტემა ერთ-ერთი ძირითადი ხელშემშლელი გარემოება იყო, დღის წესრიგში არც კი ყოფილა დასმული. რუსულ საქონელზე ბაჟების გაუქმებას დისკრიმინაციული ხასიათი ჰქონდა, ვინაიდან ასეთივე ღონისძიება არ გატარებულა რუსეთში იმპორტირებულ ქართულ საქონელზე. მიუხედავად ამისა, ქვეყნის ეკონომიკის, კერძოდ, ვაჭრობის მნიშვნელოვანი აღმავლობა შეიმჩნევა XIX ს. დასაწყისიდანვე, რაც ძირითადად განპირობებული იყო ქვეყანაში მშვიდობის დამყარებით. ამ განვითარების მნიშვნელოვან შემაფერხებელ გარემოდ კვლავ რჩებოდა შიდა ბაჟების ტრადიციული სისტემა, რომელიც რუსეთის ხელისუფლებამ მაშინღა გააუქმა, როცა ამ სისტემამ მის ახალ ეკონომიკურ პოლიტიკას XIX ს. 20-იან წლებში დაბრკოლება შეუქმნა. ამიერკავკასიის ბაზარზე რუსული საქონელი ძალზე მცირე როლს თამაშობდა. ამას შედეგად მოსდევდა მმართველობისა და აქ

განლაგებული ჯარის შესანახად გამოყოფილი ფულის ნიშნების გადინება ირანსა და ოსმალეთში. ოსმალებმა, ჩაკეტეს რა შავი ზღვა, საქართველო მოწყვეტილი აღმოჩნდა ევროპისაგან. ამავე დროს ირანი გაბატონდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში და საქართველოში ირანისა და ოსმალეთის სავაჭრო მონოპოლია დამყარდა. ევროპული საქონელი აქ ირან-ოსმალეთის გზით შემოდიოდა. XIX ს-ის პირველი 20 წლის განმავლობაში რუსეთმა ვერ შეძლო ამიერკავკასიის ბაზრის მომარაგება პირველი მოთხოვნილების საგნებით და საქართველოს ბაზარსაც კვლავ აღნიშნული ქვეყნებიდან შემოსული საქონელი ავსებდა. ფულის ნიშნებიც სხვადასხვაგვარი იყო. ამგვარ ვითარების შედეგი ის იყო, რომ ამიერკავკასიაში განლაგებული ჯარის და მმართველობის შესანახად გამოყოფილი ფული ირან-ოსმალეთში გაედინებოდა. ეს რა თქმა უნდა დიდად ზიანებდა რუსეთის პოლიტიკურ-ეკონომიკურ მიზნებს ახლო აღმოსავლეთში, რომლის ბაზარიც იმ პერიოდში ინგლისს ეპყრა ხელთ. ამის გამო რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა საქართველოსა და მთლიანად ამიერკავკასიაში გზა გაეხსნა ფრანგულ-გერმანული საქონლისათვის და ამით შეესუსტებინა ყარსიარზრუმის გზით მომავალი ტრანზიტი, რომელიც ინგლისის ხელთ იყო. 1821 წელს რუსეთის ხელისუფლებამ ამიერკავკასიაში შეღავათიანი ტრანზიტი დააწესა. კანონი ტრანზიტის შესახებ 1822 წლიდან შევიდა ძალაში. ამ კანონით უცხოეთიდან საქართველოში შემოტანილი ყოველგვარი საქონელი შეღავათიანი – 5%-იანი ბაჟით იბეგრებოდა. ვაჭრებს კი, რომლებიც ათი წლის განმავლობაში საქართველოში სავაჭრო სახლებს მოაწყობდნენ და ბითუმად ივაჭრებდნენ, შესაბამისი გადასახადისაგან თავისუფლდებოდნენ. ტრანზიტის მთელ გზაზე – შავიდან კასპიის ზღვამდე ტრანსპორტირების უსაფრთხოებას მთავრობა კისრულობდა. ამავე დროს, კანონის ძალით ბითუმად მოვაჭრეები თავისუფლდებოდნენ გილდიური გადასახადებისაგან და საბინაო ბეგარისაგან. შეღავათები ეძლეოდათ ადგილმამულის შეძენაში, სავაჭრო

და სამრეწველო დაწესებულებების მოწყობაში. აღნიშნული ტრანზიტით რუსეთის ხელისუფლება ვარაუდობდა, რომ ამიერკავკასიის გზით მოახერხებდა კონტინენტური ევროპის ფაბრიკული საქონლის ირანში მიზღვავებას, იქ კონკურენციულ ბრძოლაში ინგლისის საქონლის დამარცხებას და ამავე დროს ამიერკავკასიის ბაზრის გაწმენდას ადგილობრივი და აღმოსავლური საქონლისაგან. 1822 წ. საქართველოში უცხოური საქონლის შემოტანა წინა წელთან შედარებით დაახლოებით 120%-ით გაიზარდა, ხოლო 1823 წელს 1821 წელთან შედარებით დაახლოებით 217%-ით. მიუხედავად ამგვარი გააქტიურებისა, უცხოელ კომერსანტებს ამ სატრანზიტო მაგისტრალისადმი ნდობა უნელდებოდათ, ვინაიდან ხშირი იყო ძარცვა-ყაჩაღობა, გარდა ამისა, მათ მიერ შემოტანილ საქონელს დაკანონებულზე გაცილებით მაღალი ბაჟით ბეგრავდნენ; კერძოდ, უცხოელი ვაჭრები ირანში ჩასვლამდე იბეგრებოდნენ: ნავსადგურში – 9 5%-ით, სამეგრელოსა და იმერეთში – 3%-ით და ბოლოს თბილისში – 3%-ით.2 ამგვარმა დამოკიდებულებამ უცხოელ ვაჭართა ინტერესი გაანელა, თუმცა ამასობაში ევროპასთან ვაჭრობით დაინტერესდა ადგილობრივი, ქართული სავაჭრო კაპიტალი. [11]

გარდა ამისა, იმის გამო, რომ უცხოელებს საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალული ჰქონდათ საცალო ვაჭრობა, ეს სფერო ადგილობრივი ვაჭრების ხელში რჩებოდა და მათი მნიშვნელოვანი მოგების წყაროდაც გადაიქცა. საცალო ვაჭრობაში მიღებულმა გამოცდილებამ ქართველ ვაჭრებს უფრო ფართო კომერციისკენ უბიძგა. თბილისელი ვაჭრები ევროპის ბაზარზე გავიდნენ. მაგ. 1828 წ. 23 თბილისელი ვაჭრის მიერ ევროპიდან შემოზიდულმა პროდუქციამ 4 400 000 მანეთს მიაღწია და მთლიანად საქართველოში შემოტანილი საქონლის 67% შეადგინა. ტრანზიტმა ადგილობრივი ვაჭრები რუსულ ბაზარს ჩამოაცილა. ქართველი ვაჭრები რუსულ ბაზარზე ადგილობრივ საქონელს ყიდდნენ, ხოლო ამოღებული ფულით რუსულ საქონელს კი

არ ყიდულობდნენ, არამედ ლითონის ფული გაჰქონდათ საზღვარგარეთ და იქიდან ევროპული პროდუქცია შემოჰქონდათ. ამიერკავკასიის გზით ირანში შესულმა დიდძალმა ევროპულმა იაფფასიანმა და ხარისხიანმა საქონელმა შეავიწროა რუსული და არა ანგლისური საქონელი, როგორც ამას რუსეთის ხელისუფლება ვარაუდობდა. ინგლისური საქონელი კი, არამცთუ ირანის ბაზრიდან არ იდევნებოდა, არამედ ამიერკავკასიის ბაზარსაც იპყრობდა. 1831 წელს რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის მოთხოვნით შეღავათიანი ტრანზიტი ვადაზე 6 თვით ადრე გაუქმდა. [12]

XIX ს. პირველ ნახევარში საქართველოში სამრეწველო კაპიტალი ჩანასახოვან მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამ პერიოდში და განსაკუთრებით XIX ს. მეორე ნახევარში მნიშვნელოვნად განვითარდა ვაჭრობა, მოწინავე ქვეყნებიდან მზა პროდუქციის იმპორტმა დიდად გაზარდა მასზე ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნა. გარდა ამისა, 30-იან წლებში საქართველოში და ზოგადად ამიერკავკასიაში შემოღებულ იქნა ზომა-წონისა და ფულის რუსული სისტემა, რომელიც ერთის მხრივ, რუსეთს უადვილებდა ერთიანი ბაზრის ფორმირებას, ათვისებას და ამიერკავკასიაში დამკვიდრებას; მეორეს მხრივ კი საქართველოში ხელი შეეწყო ფულად-სასაქონლო ურთიერთობებისა და ვაჭრობის გააქტიურებას. მიმოქცევის განვითარებამ და ამასთანავე სასოფლოსამეურნეო პროდუქციის გასაღების სფეროს გაფართოებამ გაზარდა გლეხობის ფულზე მოთხოვნაც. სოფლის მეურნეობა სულ უფრო ღებულობდა სასაქონლო წარმოების ხასიათს. შედეგად გლეხები სულ უფრო მეტად გახდნენ დამოკიდებულნი გასაღების პირობებზე და შესაბამისად ვაჭრობასა და ვაჭრებზე. ამ ვითარებაში, კერძოდ, კრედიტის არარსებობისა და ქვეყანაში სუსტი კოოპერაციის პირობებში მევახშეობას განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები ექმნებოდა. მევახშეებისაგან სესხს ძირითადად არასაწარმოო მიზნით იღებდნენ. ხელოსნები ფულს სესხულობდნენ ძირითადად გადასახადების

გასასტუმრებლად და საკუთარი მინიმალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ე.ი. იღებდნენ დასახარჯად და არა წარმოებაში დასაბანდებლად. სავაჭრო კაპიტალიც სავახშო კაპიტალის გავლენას განიცდიდა. საქართველოში განვითარების ამ ეტაპზე სავახშო ოპერაციებში დაბანდებულ კაპიტალს უფრო მაღალი მოგება ჰქონდა უზრუნველყოფილი, ვიდრე ქალაქის, ან სოფლის წარმოებაში, ან თუნდაც ვაჭრობაში მოთავსებულ კაპიტალს, რადგან სესხზე არსებობდა სარგებლის შედარებით მაღალი დონე. მევახშეობა აღნიშნულ პერიოდში ფულადი კაპიტალის დაგროვების და კონცენტრაციის ერთ-ერთი მთავარი საშუალება იყო, მაგრამ როგორც უკვე აღინიშნა, მევახშის კაპიტალი წარმოებაში არ მიდიოდა, ან თითქმის არ მიდიოდა. ამ მხრივ რაიმე თვალსაჩინო პროგრესი წარმოების წესში, ან მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში არ შეინიშნება. მიუხედავად იმისა, რომ მევახშეობა იმ პერიოდის უახლეს მოვლენად ვერ ჩაითვლება (საქართველოში მევახშეობა მანამდეც არსებობდა), სავახშო კაპიტალს არასოდეს ჰქონია საქართველოში ასეთი უსაზღვრო და თვითნებური თარეშის შესაძლებლობა. ქალაქის ხელოსანთა გარდა მათ ხელში ვარდებოდნენ გლეხებიც; მევახშეები საკუთრივ მევახშეობის გარდა ვაჭრობასაც მისდევდნენ. მაგალითად, თბილისის სირაჯებს „ერთმანეთთან შეთანხმებული მოქმედების მიზნით შექმნილი ჰქონდათ გილდია. ისინი ინაწილებდნენ ღვინის წარმოების რაიონებს. ხშირ შემთხვევაში ისინი გლეხებს ფულს წინდაწინ აძლევენ; ყიდულობენ აგრეთვე მომავალი წლის ყურძნის მოსავალს მათ მიერვე დაწესებული ფასით. პროდუქციის უდიდეს ნაწილს ღებულობენ ზომაგადასული სარგებლის სახით”5 საქართველოში ბურჟუაზიის მხრიდან კლასობრივი ბრძოლა არ წარმართულა. ამის მთავარი მიზეზი კი სავარაუდოდ სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენლების ეროვნული სიჭრელე უნდა ყოფილიყო, აქ საკმაოდ დიდი ადგილი ეროვნებით თუ რელიგიით სომხებს ეჭირათ. ეს ფაქტი იმით იქცევს ყურადღებას, რომ ქართველი

ფეოდალური ზედაფენა მათ მიმართ აშკარად მტრულად იყო განწყობილი. ისინი სომხური ბურჟუაზიისადმი შეურიგებელ მტრობას იჩენდნენ არა მხოლოდ ეკონომიკური ხასიათის ანტაგონიზმის გამო, არამედ იმის გამოც, რომ სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენლები – ახლადწარმოქმნილი ბურჟუაზია – უკვე აქტიურად იმკვიდრებდა ფეოდალური არისტოკრატიის ადგილს. ბრძოლა ფეოდალური შეზღუდულობის წინააღმდეგ კი ეროვნულ სამოსში იყო გახვეული. აქვე აღსანიშნავია, რომ ვაჭრები პოპულარობით და სიმპათიებით ვერც მოსახლეობის დანარჩენ ფენებში სარგებლობდნენ. [15]

ამ პერიოდის არაერთი სავაჭრო-სამრეწველო პუნქტის აღწერაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ქართველები მუშაობენ, ამზადებენ პროდუქციას, სომხები კი მათი ნაწარმით ვაჭრობენ, ანუ ეწევიან მათს ექსპლოატაციას; რომ ქართველები ღარიბები არიან და სომხები მდიდრები. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი სარწმუნოებით მართლმადიდებელი და კათოლიკე ქართველიც იყო ვაჭრობაში ჩაბმული, თვით სომხური წარმოშობის ბურჟუაზიის ნაწილი კი თითქმის გაქართველებული იყო, ეს გაღვივებულ ნაციონალურ გრძნობებს ვერ ანელებდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ვაჭართა ბურჟუაზიულ კლასად ჩამოყალიბების პროცესში, მათი კლასობრივი ინტერესების დაცვისათვის აქტიურ ბრძოლას ნიადაგი ჰქონდა გამოცლილი, რადგან როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვაჭართა ეროვნული სიჭრელე და ასევე ქვეყნის მძიმე პოლიტიკური მდგომარეობა განაპირობებდა იმას, რომ მათი სოციალური ინტერესები ხშირად არ ემთხვეოდა ქართულ ეროვნულ ინტერესებს. აღნიშნულ საკითხთა ირგვლივ პოლემიკაში აქტიურად იყო ჩაბმული სხვა ქართული პერიოდული გამოცემებიც. გაზ. "დროების" ერთ-ერთ კორესპონდენციაში ქართველ ინტელიგენციას მიმართავენ: "გაუმართეთ ხალხსა იმისთანა საზოგადო რამეები, სადაც ის ყიდულობდეს ყველაფერს, რაც მისთვის შეადგენს უსაჭიროეს საგანსა

და რასაც თითონ აკეთებს! გაუმართევით იმისთანა რამეები, სადაც ის სარგებელი, რომელიც ეხლა მიაქვს სომეხს, ურიასა, ნემეცსა, ფრანგსა და სხვას, დარჩეს თვითონ ხალხსა!”6 ცხადია, რომ საქართველოში, განსაკუთრებით კი საზოგადოების განათლებულ წრეებში მევახშეობა საფუძვლიან გულისწყრომას იწვევდა. ისინი ცდილობდნენ, რომ ამ პრობლემას გამსესხებელი სალაროების და გამსაღებელი ამხანაგობების დაარსებით შებრძოლებოდნენ. ამ გულისწყრომას ის უფრო ამძაფრებდა, რომ როგორც აღვნიშნეთ, მევახშეობას უმთავრესად უცხო ტომის წარმომადგენლები ეწეოდნენ. საქართველოს სინამდვილეში ინტელიგენციის მეოხებით დაარსდა კიდეც სხვადასხვა ამხანაგობა, მაგრამ ისინი ნაკლებად სიცოცხლისუნარიანნი აღმოჩნდნენ. ამგვარი პროექტებით ნაციონალურ ეკონომიკას რომ ბევრს ვერაფერს უშველიდნენ, კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული იმ პერიოდის ქართველ მოღვაწეთა დიდ ნაწილს და პრესის ფურცლებზე ქილიკობდნენ კიდეც. მაგ. იგივე “დროების” ფურცლებზე სტ. ჭრელაშვილი აბუჩად იგდებს ამგვარი ამხანაგობის იდეას და უსუსურობად მიიჩნევს: “გამართეთ ქალაქელებო, დიდი ძმური საზოგადოება ქართველებისა, შეადგინეთ თანხა, გახსენით ტფილისში დიდი სავაჭრო ბინა, გამოიწერეთ ევროპის ფაბრიკებიდგან და ქარხნებიდგან საქონელი იაფად, ჰყიდეთ ზოგი ტფილისშივე და ზოგიც გამოგვიგზავნეთ სხვა ქალაქების და სოფლების დეპოებში, სადაც გავაჩაღებთ საამხანაგო ვაჭრობასა და ამით ბოლოს მოვუღებთ უცხო თემის უღმერთობას, ძარცვასა და გლეჯას.” [16]

იმ პერიოდის გაზეთი “დროების” აზრით, ამგვარ საფუძველზე დამყარებული ამხანაგობები სიცოცხლისუნარიანობას იყო მოკლებული. მუშა კვლავ მეპატრონეზე რჩებოდა მიჯაჭვული და ამიტომაც ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ ამხანაგობები, რომლებიც მატერიალურ სიკეთეს ქმნიან, სარგებლობა კაპიტალისტებისთვის მოაქვს. “დროება” აღნიშნავს, ასოციაციის პირობებში, რაც უნდა იყოს, მუშა

დამოკიდებულია მეპატრონეზეო, მეპატრონე დღეს აძლევს მუშას მოგებაში მონაწილეობას, ხვალ შეუძლოა წაართვას, მუშას ფეხი მაგრად არ უდგას, რაც კარგად ესმით მუშებსო. შემდეგ იქვე ვკითხულობთ, რომ ბევრ მუშას დაუწესებია ამხანაგობა, რომლის პატრონებიც თავადვე ყოფილან. ამისთანა ასოციაცია პირველად 1830 წ. დურგლებს დაუარსებიათ ბუშეს ხელმძღვანელობით. "დროებას" სიტყვა-სიტყვით მოჰყავს მათი სტატუსი: "ქვემო ხელის მომწერნი შევერთდით ასოციაციაში კაპიტალის უქონლობის გამო და დამოუკიდებლობისათვის. მეპატრონეები, რა საქმეც უნდა იყოს, ყოველთვის სჩაგრავენ მუშა კაცებს. ჩვენი შრომა იმათ მიაქვთ. შრომის განცალკევება ყველაზე მომეტებულად ავნებს მუშების ინტერესს და მეპატრონეებს უმონავებს. ამ განცალკევებას შეუდგება კონკურენცია მუშებისა, და მაშასადამე ის ამცირებს სამუშაო ფასს. არავითარი იმედი არ არის საქმის გაუმჯობესებაზედ, მუშებისაგან ფულის შემინებაზედ, რომ იმან სნეულებაში და მოხუცებაში ხელი შეუწყოს."8 კაპიტალიზმის განვითარების პროცესში კაპიტალისტურ საწარმოთა დონე არ იყო თანაბარი. კაპიტალიზმი ვითარდებოდა სამუშაო ძალის "სასაქონლო ფორმის" ჩამოყალიბებით. სამუშაო ძალის სასაქონლო ფორმას კი, განვითარების პროცესში გააჩნდა სხვადასხვა საფეხური და ხარისხი. ამის მიხედვით ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ კაპიტალისტური საწარმოები. ამ განვითარების საფეხურებისა და ხარისხის დონეს განსაზღვრავდა კაპიტალისტურ საწარმოებში ჩაბმული მუშახელის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სხვადასხვაობა, ანუ, საწარმოები თავისი განვითარების დონით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან იმის მიხედვით, თუ რა კატეგორიის სამუშაო ძალა ჰყავდა მას: მიწერილი ყმა-გლეხი, ბატონისგან გაქცეული ნებით დაქირავებული ყმა-გლეხი, ბატონის ნებართვით წასული დაქირავებული ყმა-გლეხი, დამოკიდებულებისგან თავდახსნილი დაქირავებული გლეხი,

რომელიც ჯერ კიდევ არ იყო მოწყვეტილი საკუთარ მეურნეობას, თუ სავსებით ექსპროპრირებული, თავისუფალი მუშა. [16]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაქირავებულ შრომას გააჩნდა განვითარების სხვადასხვა დონე და ხარისხი ისევე, როგორც კაპიტალისტურ საწარმოებს გააჩნდათ განვითარების სხვადასხვა ხარისხი, ანუ, საწარმოს (მანუფაქტურის, ფაბრიკის) კაპიტალისტური ხარისხის სიდიდე დამოკიდებული იყო სამუშაო ძალის სასაქონლო ფორმის, დაქირავებული შრომის ხარისხზე. ბატონყმური დამოკიდებულებისაგან თავდახსნილი, თავისუფალი გლეხების და ხელოსნების ნებითდაქირავებულ შრომაზე დამყარებული საწარმოს კაპიტალისტური ხარისხი უფრო მაღალი იყო, ვიდრე ყმა-გლეხების ნებითდაქირავებულ შრომაზე დაფუძნებული საწარმოსი. მაგალითად, თბილისში არსებული ზუბალაშვილის შაქრის ქარხნის კაპიტალისტურად მოწყობის ხარისხი უფრო მაღალი იყო, ვიდრე თბილისის აბრეშუმსახვევი საწარმოსი, ან იგივე ალავერდის, ახტალის და შამბლუღის სამთო ქარხნების, რადგან ზუბალაშვილების ქარხანაში მხოლოდ ნებითდაქირავებული შრომა იყო გამოყენებული, ხოლო აბრეშუმსახვევ, ასევე ახტალის, ალავერდისა და შამბლუღის ქარხნებში ნებითდაქირავებულ შრომასთან ერთად, იძულებით შრომასაც იყენებდნენ. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს გარემოება წარმოებას არ უკარგავდა ჩანასახოვანი კაპიტალისტური საწარმოს ხასიათს, რადგან კაპიტალისტური წარმოება არ გამორიცხავდა იძულებითი შრომის გამოყენებას. მაგალითად, იძულებითი შრომის გამოყენებისგან კაპიტალისტური წარმოება მის კლასიკურ ქვეყანაში – ინგლისშიც კი არ ყოფილა თავისუფალი. იძულებით შრომას მანუფაქტურულ პერიოდში – XVII-XVIII სს-ში ფართოდ იყენებდნენ როგორც ინგლისში, ასევე საფრანგეთში, გერმანიაში, რუსეთში (XX ს-მდე) და სხვა ქვეყნებშიც. წარმოების ის სტრუქტურა, რომელიც XIX ს-ის საქართველოში არსებობდა, განსაკუთრებით საფეიქრო წარმოებაში, ყველა იმ ნიშნის

მატარებელია, რითაც მანუფაქტურა ხასიათდება. ამგვარად, ამ პერიოდში მანუფაქტურები არა მარტო არსებობდა, არამედ მნიშვნელოვნადაც იყო გავრცელებული. ზოგიერთი მკვლევარი უარყოფს საქართველოში კაპიტალისტური მრეწველობის მანუფაქტურულ საფეხურს, მაგ. პროფ. გ. ბაქრაძე. მისი მოსაზრებით, "წვრილი კაპიტალისტური საწარმოსგან და წვრილი მრეწველის სახელოსნოსგან მანუფაქტურა განსხვავდება არა მარტო შრომის დანაწილებით, არამედ წარმოებაში დასაქმებული მუშების რაოდენობითაც." კაპიტალისტურ მანუფაქტურას იგი აკუთვნებს ისეთ საწარმოს, სადაც დასაქმებულია 15 და მეტი მუშა. პროფ. დ. გოგოლაძის მოსაზრებით, მანუფაქტურულ საწარმოდ შეიძლება ჩაითვალოს ისეთი საწარმოც, სადაც დაქირავებული მუშების რაოდენობა 4-5 კაცს, ან მეტს აღწევს და არსებობს შრომის დანაწილება. ე.ი. მანუფაქტურის განსაზღვრებისთვის აუცილებელი არის ის, რომ არსებობდეს შრომის დანაწილება და ამის შედეგად დამზადებული პროდუქცია გადიოდეს ბაზარზე; ხოლო მუშების რაოდენობა დამოკიდებულია იმაზე, რამდენად მსხვილია მანუფაქტურა. ამგვარი მიდგომა უფრო მართებულია, ვინაიდან სხვადასხვა სახის მანუფაქტურული საწარმოსათვის განისაზღვრება მუშათა რაოდენობის სხვადასხვა მინიმუმი, რაც დამოკიდებულია შრომის დანაწილებაზე – წარმოების ფაზათა რაოდენობაზე, ე.ი. მუშათა რაოდენობა და ამ რაოდენობის მინიმუმი განისაზღვრება შრომის არსებული დანაწილების (სადეტალო ოპერაციების ოდენობის) ინტენსივობით. პროფ. გ. ბაქრაძე მიუთითებს საქართველოში "წარმოების მრავალ დარგში ფაბრიკების ერთბაშად გაჩენის შესახებ წვრილი საქონლური წარმოებისა და მანუფაქტურის საფეხურის წინასწარ გავლის გარეშე" ეს პროცესი მას მიაჩნია მასობრივ მოვლენად. საქართველოში მანუფაქტურების შედარებით მცირე ნაწილი გადაიქცა ფაბრიკა-ქარხნებად, რა თქმა უნდა, ყველა წვრილი კაპიტალისტური

საწარმო ვერ გარდაიქმნებოდა ფაბრიკად, ან ქარხნად და ეს არც იყო სავალდებულო. [17]

მანუფაქტურების ნაწილში ინერგებოდა ორთქლის ძრავები და მანქანური სისტემები და ამგვარად გარდაიქმნებოდა ფაბრიკა-ქარხნებად; ხშირად კი ფაბრიკების მოწყობა-დაარსება ხდებოდა არა არსებული მანუფაქტურული საწარმოების გარდაქმნით, არამედ სრულიად დამოუკიდებლად. მრეწველობის განვითარების მანქანური პერიოდი უკანასკნელი საფეხურია მისი ხანგრძლივი განვითარების პროცესში. ასე, რომ მრეწველობის ახალი დარგი, ან ქვედარგი ბუნებრივია, უნდა მოწყობილიყო ახალ ტექნიკურ, ანუ მანქანურ ბაზაზე, და არ იყო აუცილებელი, რომ იგი მაინცდამაინც მანუფაქტურის ევოლუციის მომდევნო საფეხური ყოფილიყო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მანუფაქტურული წარმოების არსებობის მტკიცებისათვის სრულიად არ არის აუცილებელი ყოველი მანუფაქტურული საწარმო ფაბრიკა-ქარხნებად გადაქცეულიყო. უნდა აღინიშნოს, რომ მანუფაქტურული სტადია, ისევე, როგორც კაპიტალისტური წარმოება და ზოგადად კაპიტალიზმი ყველა ქვეყანაში ერთნაირი სიმძლავრით ვერ ვითარდება და სხვადასხვა ქვეყანაში იგი განვითარების მეტ-ნაკლები დონით და თავისებურებით არის წარმოდგენილი. საქართველოში კაპიტალისტური მრეწველობის წარმოშობა და განვითარება, როგორც ირკვევა, გამდიდრებული გლეხების, ოსტატ-ხელოსნების და ვაჭრების მიერ კაპიტალისტური საწარმოების (მანუფაქტურების, ფაბრიკა-ქარხნების) უშუალოდ, პირდაპირი მოწყობის გზით ხდებოდა. XIX ს.-ში არსებული კაპიტალისტური საწარმოები, ძირითადად სწორედ ამ გზით არის წარმოშობილი, ეს იყო მასობრივი მოვლენა საქართველოში კაპიტალისტურ წარმოებაზე გადასვლის გზაზე. იმასაც უნდა შევეხოთ, რომ კაპიტალისტურ მრეწველობაზე გადასვლის სხვაგვარი გზაც არსებობს. ეს არის ვაჭართა მიერ წარმოების თანდათანობით დაუფლება.

ეს პროცესი იწყება ვაჭარ-შემსყიდველის მიერ ნედლეულის, მაგალითად ბამბის შესყიდვით, რომელსაც დასამუშავებლად განსაზღვრულ ფასად მპენტავებს ურიგებდა, ამის შემდგომ კი გაპენტილი ბამბა გადაეცემოდა სამღებრო და საჩითავ სახელოსნოებს. ცნობისათვის, გვიან შუასაუკუნეებში წარმოების ასეთივე წესი იყო ძირითადად დამკვიდრებული იტალიის ქალაქ-რესპუბლიკებში, მაგ. ფლორენციაში.

ზემოაღწერილი პროცესი წარმოდგენას იძლევა სავაჭრო კაპიტალის პირველ ნაბიჯებზე კაპიტალისტური მრეწველობის წარმოშობის პროცესში და წვრილი მწარმოებლების (ე.წ. შინამრეწველების) დაქვემდებარების გზაზე. თუმცა ამ მოვლენას კაპიტალიზმის აღმოცენება–დამკვიდრება არ მოჰყოლია. ეს მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუკი ვაჭარ-შემსყიდველები მოაწყობდნენ სართავ, ან საქსოვ საწარმო-მანუფაქტურებს, სადაც თავს მოუყრიდნენ მანამდე სახლებში მომუშავე დაქსაქსულ ხელოსნებს. ვაჭარ-შემსყიდველებს სამუშაოს სახლებში ჩამორიგებასთან ერთად და ამ საქმესთან უშუალო კავშირით არ მოუწყიათ შრომის დანაწილებაზე დაფუძნებული მანუფაქტურები. ამგვარი მოწყობით იგი მრეწველი კაპიტალისტი გახდებოდა და შეიქმნებოდა კაპიტალისტური წარმოება მრეწველობაში. არსებობდა კაპიტალისტური მრეწველობის წარმოშობის სხვა გზებიც, როგორიც იყო სახაზინო წარმოების მოწყობა, ან მთავრობის ცალკეული მოხელის და ზოგიერთი თავადაზნაურის მიერ სამრეწველო საწარმოს გახსნა და ა.შ. გვიანი ფეოდალური ხანის საქართველოს ეკონომიკის ისტორიის შესწავლისას განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ხელოსანთა და წვრილ ვაჭართა საქმიანობა, ვინაიდან ხელოსნობა საქალაქო მეურნეობის წამყვან ძალას წარმოადგენდა. პოლიტიკური ვითარებისა და ეკონომიკური პოლიტიკის ცვლილების შესაბამისად ხელოსნობაც განიცდიდა მეტამორფოზას. კაპიტალისტურ ურთიერობათა გააქტიურების ფონზე ხელოსნურ-ამქრული წარმოება (ტრადიციული სახით) რღვევას იწყებდა და ადგილს უთმობდა წვრილ კაპიტალისტურ

წარმოებას. მიუხედავად იმისა, რომ ამქრული ხელოსნობის დაშლის პროცესი 30-40- იანი წლებიდან შეინიშნება, XIX ს. პირველი ნახევრის საქართველოს მრეწველობაში უპირატესობას მაინც ხელოსნობა ინარჩუნებდა, თუმცა მისი ხვედრითი წილი კაპიტალისტური წარმოების წესის აქტიური დამკვიდრების შედეგად თანდათან მცირდებოდა. ქალაქად ხელოსნური წარმოების ამქრული ფორმა მნიშვნელოვნად აბრკოლებდა მრეწველობის განვითარებას. ხელოსნური კორპორაცია ზღუდავდა წარმოების განვითარებას; ამქრის შიგნით კონკურენციის ზრდა ბევრ ხელოსანს ყმის მდგომარეობაში აყენებდა, ხოლო წარმოებას ამუხრუჭებდა. საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების კვლევისას ამქარსა და ზოგადად ხელოსნობის განვითარებაზე აქცენტის გაკეთება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმიტომ, რომ საქალაქო და განსაკუთრებით თბილისის ეკონომიკაში მას საკმაოდ მოზრდილი ადგილი ეკავა, არამედ იმის გამოც, რომ ამ სფეროშიც გამოვლინდა კაპიტალიზმის წარმოშობის თავისებურებები. მაგალითად, წარმოების კაპიტალისტური ევოლუციის კვალდკვალ, თბილისის წვრილ მწარმოებელთა საზოგადოების ორ კატეგორიად გათიშვა, პირველ კატეგორიას მიეკუთვნებოდა ამქრულ ორგანიზაციაში გაერთიანებული ხელოსნობა, ხოლო მეორეს – ამქარსგარეშე ხელოსნური წარმოება, რომლის ზრდა-განვითარება სავსებით კანონზომიერ მოვლენად იქცა. ამ ტიპის სახელოსნოები იმ პერიოდის სტატისტიკურ ცხრილებში ფაბრიკა-ქარხნების გვერდით აღინუსხებოდა. გარდა ამისა, ამქრული ხელოსნობა ზემოაღწერილ პერიოდში თბილისის ეკონომიკის ერთგვარ იმიჯს წარმოადგენდა. მნიშვნელოვანია ცვლილებები, რომელიც რუსეთში სამოციან წლებში გატარებულ ფინანსურ რეფორმას და საკრედიტო სისტემის კაპიტალისტურ რეორგანიზაციას მოჰყვა. ეს რეფორმა საქართველოზეც გავრცელდა. კერძოდ, დაიწყო კაპიტალისტური კრედიტის განვითარება, თუკი საქართველოს ერთიან საფინანსო სისტემაში ჩართვამ ერთის მხრივ

დააჩქარა საქართველოს რუსეთთან ეკონომიკური ინტეგრაცია, მეორეს მხრივ, კრედიტზე მოთხოვნის ზრდამ საკითხი დააყენა საკრედიტო დაწესებულებათა დაარსებაზე. ეს პროცესი კი მევახშეთა პოზიციებს საკმაოდ ასუსტებდა.

1866 წელს თბილისში დაარსდა სახელმწიფო ბანკის განყოფილება, ამავე პერიოდს უკავშირდება სააქციო–კომერციული საკრედიტო დაწესებულებების აღმოცენება როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში. დაარსდა წვრილი შემნახველ–გამსესხებელი ამხანაგობები, აგრეთვე საკრედიტო სახლები, რომლებიც თუმცა პრიმიტიულ ფორმებში, მაგრამ საკმაო რაოდენობით ეწეოდნენ სასესხო ოპერაციებს. ამ საკრედიტო დაწესებულებებში ათეულ მილიონობით სასესხო კაპიტალი ტრიალებდა და დიდ ძალას წარმოადგენდა საქართველოს კაპიტალისტური განვითარების გზაზე. რაც შეეხება საბანკოსაკრედიტო სისტემას, მისი დაწინაურება ოდნავ მოგვიანებით ხდება. XIX ს. მეორე ნახევარი თბილისის ეკონომიკის ისტორიაში მისი ბურჟუაზიულ ქალაქად ჩამოყალიბების პერიოდია. მისი მრეწველობა განვითარების კაპიტალისტურ სტადიაზე გადავიდა. კაპიტალისტური წარმოების წასის დამკვიდრებისა და მრეწველობის განვითარების მაჩვენებელია XIX ს. 70- იანი წლებიდან XIX ს. ბოლომდე საქართველოში ურბანიზაციის ტემპის დაჩქარება. ურბანიზაციასთან დაკავშირებული პროცესების შესახებ ფ. გოგიჩაიშვილი წერდა: „სავახშო კაპიტალის მიერ გლეხობის შევიწრიება, ისევე, როგორც მიწის და ნიადაგის ნაკლებობა, აიძულებს გლეხობას, რომ მთლიანად, ან ხანგრძლივი დროით გაწყვიტონ კავშირი სოფლის მეურნეობასთან და წავიდნენ ქალაქებში მუშებად . . . . რომლებსაც მხოლოდ დაქირავებულ მუშებად შეუძლიათ არსებობა და ამის გამო მძიმედ განიცდიან ქვეყანაში კაპიტალისტური წარმოების სუსტ განვითარებას.”

ფ. გოგიჩაიშვილის გამოანგარიშებით, 1886 წლიდან 1897 წლამდე საქართველოს სოფლებიდან ქალაქებში გადავიდა დაახლოებით 89 890

კაცი, ე.ი. წელიწადში საშუალოდ მიედინებოდა 8 170 კაცზე მეტი. აღნიშნულ პერიოდში ქალაქის მოსახლეობა მთლიანად 123,3 ათასი კაცით (182,5 ათასიდან 305,8 ათასამდე) გაიზარდა. ეს ზრდა კი ძირითადად სოფლიდან წამოსული მოსახლეობის ხარჯზე ხდებოდა.

XIX საუკუნის ბოლოს ქუთაისი განვითარებით მნიშვნელოვნად დაწინაურდა, მაგრამ იგი მაინც რჩებოდა რუსეთის გუბერნიად, სადაც მრეწველობა ხელოსნების სახით იყო წარმოდგენილი. აქ საქარხნო საფაბრიკო მრეწველობა მხოლოდ ჩანასახ მდგომარეობაში იყო. მართალია გენერალ გუბერნატორის ანგარიშის მიხედვით 1892 წელს ქუთაისის გუბერნიაში 39 ფაბრიკა და ქარხანა იყო, მაგრამ ფაქტობრივად თუ რას წარმოადგენდა ისინი იქ მომუშავეთა რაოდენობა აჩვენებს. კერძოდ, _ 184 კაცი, ხოლო მათი გამომუშავებული პროდუქცია შეადგენდა 649850 მანეთს. მეფის მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა და ადგილობრივი ბურჟუაზიის სისუსტე აფერხებდა სამრეწველო კაპიტალის დაგროვებას, ხელს უშლიდა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან სამრეწველო საწარმოთა მშენებლობას, მაშინდელი ქუთაისის ხელოსნური წარმოება ძირითადად ადგილობრივ ბაზარს ემსახურებოდა და ქალაქი თითქმის გამოთიშული იყო საქართველოს ცალკე მხარეებს შორის არსებული შრომის საერთაშორისო დანაწილებას.

1903 წლისათვის ფაბრიკა-ქარხნების რიცხვი 20-ით გაიზარდა და 59 ერთეული შეადგინა, მუშათა რაოდენობა კი 224 კაცი იყო, გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა 309970 მანეთი შეადგინა. ამ ფაბრიკა-ქარხნებს შორის 1983 წლის მონაცემებით 20 სააგურე და 9 საკრამიტე იყო, სადაც მუშათა რაოდენობა 1-2 კაც შეადგენდა. ყველაზე მსხვილ საწარმოებად ითვლებოდა თამბაქოს ფაბრიკები. ორ ასეთ ფაბრიკაში 120 კაცი მუშაობდა, რომლებიც წლიურად 180000 მანეთის პროდუქციას ამზადებდა. ასევე მნიშვნელოვანია მაშინდელი შამპანურის ქარხანა, სადაც მუშაობდა 11 კაცი და უშვებდა 150000 მანეთის პროდუქციას. [18]

მე-19 საუკუნის 60-იან წლებამდე ბატონყმური ურთიერთობა გამორიცხავდა იმერეთის სოფლებიდან მშრომელი მოსახლეობის ქუთაისში გადასვლას. ამიტომ თავისუფალი მუშახელის სიმცირე არათუ საფაბრიკო-საქარხნო, არამედ ხელოსნური წარმოების განვითარებასაც დიდად აფერხდა.

საგლეხო რეფორმის მომდევნო პერიოდში ბატონყმური უღლისაგან განთავისუფლებული, მაგრამ უმიწყალწყალოდ დარჩენილი გლეხობა იძულებული იყო ,,უკეთესი ცხოვრების˜ საძებნელად ქალაქს შეხიზნოდა. ამის შედეგად საქალაქო იაფი მუშახელი, რამაც გარდატეხა შეიტანა ქალაქის მრეწველობის განვითარების მშენებლობის დარგში და ბურჟუაზიული ცხოვრების წესისათვის დამახასიათებელი საქმიანობის დაწინაურებაში. მართალია ქალაქის მოსახლეობამ იმატა, მაგრამ მსხვილი ფაბრიკა ქარხნების მშენებლობა ქალაქში მაინც არ წარმოებდა. არსად ჩანდნენ მრეწველური თაოსნობის ინიციატორები, თავისუფალი კაპიტალის მქონე მეწარმეები. მთავრობის წარმომადგენლები, მხოლოდ ისეთი ნედლეულის გადამუშავებული მრეწველობის შექმნით იყო დაინტერესებული, რომელიც ნახევარფაბრიკატებით მოამარაგებდა რუსეთის ცენტრალური რაიონების მსუბუქ მრეწველობას (აბრეშუმის ძაფი, თამბაქო, ტყავნედლეული და სხვა) ბუნებრივია ასეთ ვითარებაში რეგიონში მრეწველობა ძალზე ნელა მიიწევდა წინ. ცხადია სოფლებიდან ჩამოსული მთელი მოსახლეობა სახელონოებსა და დღიურ სამუშაოებს მიეძალნენ. ამ დროისათვის ამჟღავნებდნენ წვრილ სასაქონლო წარმოებად გადაქცევის ნიშნებს, ხელოსნები სულ უფრო და უფრო უკავშირდებოდნენ ბაზარს. ე.ი. ყალიბდებოდნენ საქონელმწარმოებლად. მაშასადამე იწყებოდა წვრილი სასაქონლო წარმოების შემდგომი განვითარება და კაპიტალისტურში გადაზრდა. ამქროლური რეგლამენტაციის მქონე სახელოსნოები თანდათანობით ყალიბდებოდნენ კაპიტალისტური მარტივი კოოპერაციის ტიპის საწარმოებად.

1885 წლის ერთდღიანმა აღწერამ აჩვენა, რომ ქუთაისის გუბერნიაში 355 სახელოსნო არსებობდა, რომელიშიც 2016 ხელოსანი მუშაობდა, მათ შორის ოსტატი იყო 982, ქარგალი – 426, შეგირდი – 541. ყველაზე მრავალრიცხოვნობით გამოირჩეოდნენ ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის მკერავები, დურგლები და პურის მცხოვრებლები. ყველა ამ დარგის სახელოსნოებში სამუშაო ხელით სრულდებოდა. ზოგ მათგანში 6-8 კაცი მუშაობდა. ასეთი სახელოსნო მეპატრონეს არ ათავისუფლებდა შრომაში პირადი მონაწილეობისაგან.

რევოლუციამდელი ქუთაისის მრეწველობაში მთავარი ადგილი ეჭირა მახლობელი სოფლების მოსახლეობისათვის მოხმარების საგნების წარმოებას. მზადდებოდა სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებელი სამეურნეო ინვენტარი და კვების ზოგიერთი პროდუქტი (ხორცისა და ფქვილის ნაწარმი, ლუდი, ხელოვნური მინერალური წყალი და სხვა) მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მრეწველობაში ადგილობრივი საშენი მასალების დამზადებას. ასე მაგალითად 1887 წელს ქ. ქუთაისში არსებული იმ 25 სამრეწველო საწარმოდან, რომლებიც ფაბრიკა _ ქარხნების სახელწოდებით მოიხსენიებოდა 17 იყო აგურის საწარმო. 1909 წელს აგურ-კრამიტის საწარმოთა რიცხვი გაიზარდა 35-ჯერ; ისინი წელიწადში დაახლოებით 2-2,5 მილიონ ცალ აგურს ამზადებდნენ.

როგორც ციფრობრივი მონაცემებიდან ჩანს ეს აგურ-კრამიტის ,,ქარხნები˜ სინამდვილეში სახელოსნოებს წარმოადგენენ. მართლაც აქ წარმოება სრულად პრიმიტიულ ტექნიკაზე იყო დამყარებული და თითოეულ საწარმოში 3-4 მუშაზე მეტი არ მუშაობდა.

რამდენადაც საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობა არ იზრდებოდა, იგი ვერ გამოდევნიდა წარმოებიდან წვრილ ხელოსანს. პირიქით უფრო და უფრო იზრდებოდა მოთხოვნილება მოხმარების საგნებზე, რაც თავისთავად ხელოსანთა რაოდენობის ზრდას იწვევდა. ეს ნათლად ჩანს 1912 წლის მონაცემებში.

1912 წლისათვის ქუთაისში აღირიცხული იყო 10639 ოსტატი, 3240 ქვეოსტატი, 3019 შეგირდი, ე.ი. სულ 16988 ხელოსანი.

ხელოსნები პროფესიების მიხედვით ქმნიდნენ ორგანიზაციულ გაერთიანებებს. რა თქმა უნდა ეს გაერთიანებები ვერც ყველა პროფესიას მოიცავდნენ და ვერც ყველა ხელოსანს. გაერთიანებას სათავეში ედგა (ზოგ შემთხვევაში მას ერქვა ამქარი) მამასახლისი. არსებობს მონაცემებიც იმის შესახებ, რომ ცდილობდნენ ხელოსანთა გაერთიანებების საერთო გამგეობის შექმნასაც.

ცხრილი 1

ქ. ქუთაისში არსებული ფაბრიკა-ქარხნების
რაოდენობა 1912წ. [19]

საწარმოთა დასახელება	მთლიანი რიცხვი	წლიური საერთო პროდუქცია 1912წ. ფასებში (მანეთები)	მუშების რაოდენობა (კაცი)
აგურის ქარხნები	25	43000	81
კრამიტის	10	9900	33
კირის	2	75000	29
ხე-ტყის სახერხი	7	4200	52
საპნის	2	7500	5
ტყავის	3	8900	7
შამპანურის	2	1100	10
ხელოვნური მინერალური წყლების	6	66300	30
თამბქოს	1	60000	29
სულ	58	275900	276

გარდა 1 ცხრილში მოყვანილი საწარმოებისა ქალაქში არსებობდა აგრეთვე ორი მცირე ძალოვანი თბოელექტროსადგური და სასაკლაო. როგორც მონაცემებიდან ჩანს საშუალოდ ერთ „ქარხანაზე“ მოდიოდა არა უმეტეს 5 მუშისა და 4800 მანეთის წლიური პროდუქციისა. რაც ერთ მუშაზე შეადგენდა წელიწადში 1000 მანეთის პროდუქციას. შედარებით მოზრდილი საწარმო იყო ე.წ. ფირალოვის თამბაქოს ფაბრიკა, რომელიც ფუნქციონირებდა 1912 წლიდან და 29 მუშა მუშაობდა. მისი მთლიანი პროდუქცია არ აღემატებოდა აგურ-კრამიტის ყველა ქარხნის ყველა

პროდუქციას. 1913 წლისათვის ქუთაისის ფაბრიკა-ქარხნების მიერ წარმოებული საერთო პროდუქცია შეადგენდა 290000 მანეთს, რაც 1926-1927 წლის უცვლელი ფასებში შეადგენდა – 504,6 ათას მანეთს (ფასების გადასაყვანად მიღებულია კოეფიციენტი 1,74). [20]

ცხრილი 2

ქ. ქუთაისის ფაბრიკა-ქარხნებში მომუშავეთა სტრუქტურა
წლების მიხედვით [21]

წლები	ოსტატი	ქარგალი	შეგირდი
1862	163	248	199
1885	982	493	541
1913	2641	4860	6554

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ საფაბრიკო-საქარხნო წარმოებასთან შედარებით ბევრად უფრო დიდი ადგილი ეკავა ხელოსნობას. აღსანიშნავია, რომ თუ ვაჭრობაში ძირითადად სომხები და ებრაელები იყვნენ ჩაბმული, ხელოსნობას მთლიანად ქართველები მისდევდნენ. მათი დიდი ნაწილი მოდიოდა იმერეთის სხვადასხვა სოფლებიდან, მეტწილად ქუთაისის ახლომდებარე სოფლებიდან [22].

მნიშვნელოვანია აგრეთვე ის ფაქტი, რომ 1913 წლისათვის 6554 შეგირდმა გამოცდა ჩააბარა ქალაქის სახელოსნოებში ქარგლის კვალიფიკაციაზე. გამოცდა ბარდებოდა ქ. ქუთაისში, მაგრამ სამუშაოდ მიდიოდნენ სხვადასხვა ადგილებში. არსებული მონაცემები ზოგად წარმოდგენას გვაძლევს იმერეთში. კერძოდ კი ქუთაისის წვრილი მრეწველობის შესახებ, რომელიც 1862 წლიდან 1913 წლამდე 18,5-ჯერ გაიზარდა, ასეთი ზრდა კი იმით იყო გამოწვეული, რომ ამ რეგიონში მეტად ჩამორჩებოდა და თითქმის არ არსებობდა მსხვილი მრეწველობა.

რევოლუციამდელი პერიოდის გაცნობა სამეურნეო ცხოვრებასთან გვიჩვენებს, რომ ქალაქის მრეწველობაში წამყვანი ადგილი ხელოსნობას ეჭირა. ამიტომ მაშინდელი ქუთაისის სამრეწველო პროდუქციის მთელი მოცულობის განსაზღვრის დროს აუცილებელია ხელოსნური ნაწარმიც გავითვალისწინოთ, თუმცა ამ საკითხებზე სრულფასოვანი

სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს. უნდა მივმართოთ მიახლოებითი გაანგარიშების წესს. 1913 წელს ქალაქში მუშაობდა 2641 ოსტატი და 4860 ქარგალი, რომელთა საერთო წლიური შრომითი შემოსავალი შეადგენდა 913320 მანეთს. ხელოსანთა აღნიშნული რაოდენობიდან 980 ოსტატი და 1633 ქარგალი ჩაბმული იყო სხვადასხვა სახის მშენებლობაში. ე.ი. არასამრეწველო დარგებში. ასე, რომ სამრეწველო წარმოებაში უშუალოდ მუშაობდა 1661 ოსტატი და 3227 ქარგალი, რომელთა საშუალო წლიური შემოსავალი უდრიდა 670220 მანეთს. პირობითად უნდა მივიღოთ, რომ ხელოსანთა შრომითი შემოსავალი შეადგენდა საშუალოდ მთელი პროდუქციის ღირებულების 30-35%-ს 1913 წლისათვის. ხელოსნური წარმოების მთლიანი პროდუქცია შეადგენდა 1,9-2,2 მლნ. მანეთს, ხოლო ამავე წლისათვის საფაბრიკო-საამქრო მრეწველობის მთლიანი პროდუქცია შეადგენდა 0,5 მლნ. მანეთს (1926-1927 წლის უცვლელი ფასებში) ანუ ქალაქის მთელი მრეწველობა იძლეოდა 4,3 მლნ. მანეთის პროდუქციას.

როგორც მსჯელობიდან ჩანს ხელოსნური წარმოება პირველი მსოფლიო ომის წინადროინდელი ქუთაისში 7-8 ჯერ სჭარბობდა საქარხნო-საფაბრიკო მრეწველობას.

2.1.2. საქართველოს სსრ ინდუსტრიალიზაციის პროცესის ანალიზი და კრიზისის მიზეზების გამოკვლევა

მანუფაქტურული მრეწველობა საქართველოში XVIII ს-ში აღმოცენდა, ხოლო XIX ს. პირველ ნახევარში იგი კიდევ უფრო მეტად გავრცელდა, კერძოდ, 50-70-იან წლები ითვლება მისი განვითარების უმაღლეს სტადიად, ხოლო 70-იან წლებიდან დაიწყო გადასვლა მანუფაქტურიდან მანქანურ, საფაბრიკო წარმოებაზე. მას მოჰყვა მთელი გადატრიალება არა მხოლოდ წარმოების ტექნიკაში, არამედ მთელს ეკონომიკაშიც.

XIX ს. 60-იან წლებში თბილისის გუბერნიაში 450-მდე მანიფაქტურული საწარმო არსებობდა 5000-ზე მეტი დაქირავებული მუშით. ერთერთი მსხვილი მანიფაქტურული საწარმო, რომელიც 1843 წლიდან მოქმედებდა, იყო ქ. გორის მახლობლად, სოფ. ღვარებში ელიზბარ ერისთავის მინის დიდი საწარმო, რომელიც წლიურად 100 ათასამდე ღვინის ბოთლს, ასევე დიდი ოდენობით სარკის მინას და სააფთიაქო ჭურჭელს ამზადებდა. ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზის გაყვანამ (1872) საქართველოსაკენ გზა გაუხსნა რუსეთისა და ევროპის მინის ქარხნების იაფ პროდუქციას და ერისთავის მანუფაქტურა გაკოტრდა.

1882 წ. ბორჩალოს (მარნეულის) მაზრაში ამოქმედდა დიდი მინის ქარხანა, რომელიც გერმანელი ბარონ კუჩენბახს ეკუთვნოდა. იგი 300 ათას ღვინის ბოთლს, 200 ათას ლამპის შუშას, 100 ათასამდე მინის სურას ამზადებდა წელიწადში.

1885 წ. თბილისში ამუშავდა მექანიკური ქარხანა და თუჯის ნაკეთობათა ჩამოსასხმელი ქარხანა. 1863 წ. ბოლნისში რკინის მადნის ბაზაზე აიგო რკინის და თუჯის ჩამოსასხმელი ქარხანა. 1865 წ. გაიხსნა უცხოელების მიერ მსხვილი მექანიკური ქარხანა. საქართველოში სამრეწველო გადატრიალება. XX საუკუნის დამდეგამდე გრძელდებოდა.

1872 წლის მეორე ნახევარში დაიწყო მატარებლების მოძრაობა ფოთი-თბილისის რკინიგზაზე.

1877 წ. აიგო სარკინიგზო ხაზი რიონი-ქუთაისი.

1883 წ. დამთავრდა ბათუმი, სამტრედიის, თბილისი ბაქოს რკინიგზები. ხოლო 1886 წ. გაყვანილი იქნა ქუთაისი-ტყიბულის ხაზი.

რკინიგზების მშენებლობა მოითხოვდა მრეწველობის განვითარებას. უკვე 1869-1872 წლებში ამუშავდა თბილისში, ხაშურში, სამტრედიასა და ფოთში მსხვილი მექანიკური ქარხნები. 1883 წ. თბილისში შეიქმნა რკინიგზის მთავარი სახელოსნოები.

XIX ს. 60-იან წლებიდან განვითარდა ქვანახშირის და მარგანეცის მრეწველობა. 1870-1990 წ.წ. 145 ათასი ფუთიდან 600 ათას ფუთამდე გადიდდა ტყიბულის ქვანახშირის ამოღება. ხოლო მარგანეცის ამოღება 1879-1890 წწ. წელიწადში 51 ათასი ფუთიდან 10468 ათას ფუთამდე გაიზარდა. მარგანეცი რუსეთში, აშშ-ი და სხვა დასავლეთის ქვეყნებში გაიტანებოდა.

ბაქოში ნავთობის მრეწველობის განვითარებაში ხელი შეუწყო ბათუმის მრეწველობის განვითარებას. მაგალითად 1888 წ. ბათუმიდან გატანილი ნავთობი შეადგენდა მისი მსოფლიო მოხმარების 21,2%. [23]

ვაჭარმა მირზიევმა 1870 წ. თბილისში ააგო საფეიქრო ფაბრიკა. 1875 წ. ადელხანოვმა აგო ტყავის გადამამუშავებელი ქარხანა, ხოლო 1885 წელს ამ ქარხანასთან გაიხსნა ფეხსაცმლის საკერავი მექანიკური სახელოსნო, რომელიც წლიურად 50 ათას ჩექმას უშვებდა.

80-იანი წლებიდან საქართველოში თამბაქოს მსხვილი მანუფაქტურები გარდაიქმნა თამბაქოს ფაბრიკებად.

1890 წ. 1 აპრილს გაიხსნა წიფის გვირაბი. 1894 წ. გაიხსნა ხაშურ-ბორჯომის რკინიგზა, რამაც ხელი შეუწყო ხობის მდიდარი ტყეების სამრეწველო დამუშავებას.

1896 წ. საქართველოში თამბაქოს 10 მსხვილი ფაბრიკა ფუნქციონირებდა, საშენ-მასალათა მრეწველობაში ფართოდ გავრცელდა აგურის წარმოება, ხე-ტყის მრეწველობა. 1897 100-ზე მეტი ხე-ტყის სახერხი ქარხანა იყო.

1896 წ. შეიქმნა ადგილობრივ მრეწველთა ორგანიზაცია “შავი ქვის მრეწველთა ყრილობა”. შეიქმნა ადგილობრივი კაპიტალისტთა პირველი მონოპოლისტური გაერთიანება სინდიკატი “შავი ქვის” სახელწოდებით, რომელიც 200-ზე მეტ ადგილობრივ მრეწველს აერთიანებდა.

1894 წ. საქართველოში 700-ზე მეტი სპირტი-არაყის სახდელი ქარხანა იყო. 90-იან წლებში გადიოდა ევროპის ქვეყნებში 1200 ათასი მანეთის კვარცხი და უამრავი მოცულობით სოფლის-მურნეობის პროდუქცია. საქართველოს საშინაო და საგარეო ვაჭრობა განსაკუთრებით გაიზარდა 70-იანი წლებიდან, რაც იყო შედეგი რკინიგზის მშენებლობისა და საფაბრიკო-საქარხნო ინდუსტრიის განვითარებისა, იქმნებოდა კაპიტალისტური საკრედიტო სისტემა.

1900-1903 წწ. მძლავრი ეკონომიკური კრიზისით დამთავრდა. დაიხურა 3 ათასამდე საწარმო, უმუშევარი დარჩა 100 ათასი კაცი.

1912-1914 წწ. საქართველოში დიდი მოუსავლიანობა იყო, რაც მძიმედ აისახა გლეხთა მდგომარეობაზე. საქართველო ისედაც ჩამორჩენილ, კოლონიურ ეკონომიკაზე უდიდესი ზეგავლენა მოახდინა I-მსოფლიო ომმა. ომმა შეიწირა 200 ათასზე მეტი მუშახელი, მრეწველობამ დაკარგა კვალიფიციური მუშახელი. გაიზარდა გადასახადები მიწაზე, მრეწველობა გადავიდა სამხედრო ყაიდაზე, ამასთან მრეწველობის მილიტარიზაცია ამიერკავკასიაში უფრო ღრმა იყო ვიდრე რუსეთში. მაგალითად, რუსეთის იმპერიაში მთლიანად ჩაბმული იყო მუშაკლასის 73,7%, ამიერკავკასიაში კი 78% 1916 წლის მონაცემებით.

1917 წ. 1913 წელთან შედარებით ნახშირის მოპოვება განახევრდა, ხოლო მარგანეცის მოპოვება 70%-ით შემცირდა. $\frac{1}{4}$ -ით დაეცა შრომისნაყოფიერება, ხოლო მუშათა რაოდენობამ 3477 კაციდან 986 კაცამდე იკლო, გაიზარდა ყველა საქონლის ფასი საშუალოდ 4,8-ჯერ. [23]

უკიდურესობამდე მოიშალა ტრანსპორტი; მშრომელთა მდგომარეობა უარესდებოდა. მოიშალა ფინანსური მდგომარეობა, ვაჭრობა ჩაკვდა, გაძლიერდა სპეკულაცია. 1920 წ. ქვეყანა შინაგანმა კრიზისმა მოიცვა.

რუსეთმა კვლავ მოახდინა საქართველოს ანექსია. საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში დაიწყო სრულიად ახალი, წინააღმდეგობებით აღსავსე ეპოქა.

მრეწველობა, როგორც ეკონომიკის ხერხემალი და მისი მთავარი რგოლი, მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, რამდენადაც მისი ეფექტიანი ფუნქციონირების გარეშე შეუძლებელია ქვეყნის წინსვლა, მოსახლეობის კეთილდღეობა, ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოება მისი განმტკიცება, დაცვა და შენარჩუნება, სიღარიბის დაძლევა, ქვეყანაში არსებული შრომითი რესურსების დასაქმების უზრუნველყოფა, ქვეყნის მრეწველობის წინაშე არა მხოლოდ ეკონომიკური არამედ სტრატეგიული ხასიათის მრავალი ამოცანა დგას, რომელთა მნიშვნელობა განსაკუთრებით ისეთ პერიოდში იზრდება, როგორშიც ამჟამად საქართველოა. [24]

საქართველოში სამეწარმეო საქმიანობა უძველესი პერიოდიდან იწყება. ვითარდებოდა ოჯახური მეწარმეობა და ხელოსნობა, რასაც ჩვენს ერამდე მოღწეული ნაკეთობები მოწმობს.

გასული საუკუნის ოციანი წლებიდან დაწყებული 1999 წლამდე, საქართველოში მრეწველობა და მასთან ერთად სამეწარმეო საქმიანობა ინტენსიურად ვითარდებოდა, ამ პერიოდში 270-ზე მეტი მსხვილი სამრეწველო საწარმო ამოქმედდა. 1990 წლისათვის საქართველოში ფუნქციონირებდა 1365 სამრეწველო საწარმო, საქართველო სსრკ-ში შემავალ ქვეყნებს შორის ინდუსტრიული განვითარების დონით მერვე ადგილზე იმყოფებოდა და ითვლებოდა ინდუსტრიულად საშუალოდ განვითარებულ ქვეყნად. 1990 წელს ქვეყნის მრეწველობა, მიუხედავად იმისა, რომ საწარმოთა უმეტესობა ფიზიკურად და მორალურად მოძველებული ტექნიკითა და ტექნოლოგიებით მუშაობდა, აწარმოებდა 11,5 მლრდ ლარის პროდუქციას, უზრუნველყოფდა ქვეყნის ეროვნული შემოსავლის 40% და დასაქმებულ იყო 459,4 ათასი კაცი, მ.შ. მომპოვებელ მრეწველობაში 31,3 ათასი (6,8%) და დამმუშავებელში დასაქმებული იყო

428,1 ათასი (93,2%). ქვეყანა ერთ სულ მოსახლეზე აწარმოებდა 241 კგ ფულადს, 202 კგ მზა ნაგლინს., 5,9 კგ ქიმიურ ბოჭკოს, 236 კგ ცემენტს, 5 კგ ძეხვეულს, 3 დკლ ღვინოს [24] და ა.შ.

მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი სამრეწველო პროდუქციის წარმოების მიხედვით მოსახლეობის ერთ სულზე საქართველო უსწრებდა ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანასაც კი. XX ს-ის ბოლოს ეკონომიკის ტრანსფორმაციით განპირობებულმა კრიზისმა, სხვადასხვა შიდა და გარე ფაქტორებმა, ბევრი დარგი მთლიანად გაანადგურა, ბევრი კი განადგურებამდე მივიდა. ასეთი პროცესების მთავარი მიზეზი განპირობებული იყო როგორც გარეშე ძალების პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური მოქმედებით ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ, ისე საქართველოს მმართველი წრეებისა და მთლიანად საზოგადოების უუნარობით, დაეცვათ ქვეყნის ინტერესები, რაც გამოიხატებოდა საქმიანობისადმი არა სისტემურობით, ეროვნული ინტერესების იგნორირება, სახელმწიფო დონეზე ქვეყნის განვითარების სტრატეგიის უქონლობით, კერძო ინტერესების წამოწევით, საბაზრო ეკონომიკაზე გარდართვის სიძნელეებით და საბაზრო პროცესებში სახელმწიფო საწარმოების გასახელმწიფოებრიობასა და პრივატიზაციის პროცესში დაშვებული შეცდომებით. კატასტროფულად შემცირდა სამრეწველო წარმოება, საწარმოთა ფაქტობრივი რაოდენობა კი 1990 წლიდან 2010 წლამდე გაიზარდა, გამოშვებული პროდუქციის მოცულობა შემცირდა 3-ჯერ. დასაქმებულთა რიცხოვნება 5-ჯერ.

მართალია, თანამედროვე პირობებში მრეწველობის ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტში შემცირდა და შესაბამისად ამაღლდა ინფორმაციული სექტორის ხვედრითი წილი.

XX საუკუნის ბოლოს საქართველოში დაიწყო მრეწველობის გადასვლა ახალ მიმართულებით, რაც აისახა ეკონომიკის სფეროში გატარებულ რეფორმებში. გამოიკვეთა საქართველოში სამრეწველო წარმოების განვითარების ამოცანები მთელი მუშაობა წარიმართა

სუვერენული საქართველოს ეკონომიის ავტონომიური ფუნქციონირების მოთხოვნათა მაქსიმალურად გათვალისწინებით.

ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერება, აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური წანამძღვრების შექმნა მთელი ეროვნული მეურნეობის ეფექტიანობის ზრდის, თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისა და უმნიშვნელოვანესი სოციალური ამოცანების გადასაწყვეტად გადაუდებლად მოითხოვს სამრეწველო საწარმოთა თანმიმდევრულად განვითარებას.

სამწუხაროდ, სამრეწველო სტრატეგიის რეალიზაცია და, როგორც მისი ლოგიკური შედეგი, მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში სამრეწველო პროდუქციის წონის ზრდა, რაც მკაფიოდ წარმოჩნდა ჯერ კიდევ რეფორმამდელ პერიოდში, 1990-1997 წლებში მნიშვნელოვნად შეფერხდა. ქვეყნის სამრეწველო წარმოების აბსოლიტური მოცულობა მკვეთრად შემცირდა და ეს უმნიშვნელოვანესი სფერო განადგურების მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომელშიდაც იგი დღესაც იმყოფება.

რეფორმების პერიოდში სამრეწველო წარმოების თანმიმდევრულად დაცემამ შესაბამის საწარმოთა სამრეწველო-საწარმოო პერსონალი მასიურად შემცირდა და უმუშევრობაც გაიზარდა. ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებით, სამუშაო ადგილები დაკარგა ეკონომიკის ინდუსტრიულ სექტორში დასაქმებულთა სამოცზე მეტმა პროცენტმა. გრძელდება ქვეყნიდან მაღალკვალიფიციური კადრების გასვლა, რის გამოც არსებითად გაუარესდა სამრეწველო საწარმოთათვის მეცნიერულ-ტექნიკური უზრუნველყოფა.

ბოლო წლების პრაქტიკამ მთელი სიცხადით გვიჩვენა, რომ ეკონომიკის რეგულირებაში სხვადასხვა სტაბილიზაციური პროგრამების ცალმხრივად გამოყენებამ, რომლებსაც საფუძვლად უდევს სტანდარტული, წმინდა მონეტარისტური მიდგომები, თუმცაღა ხელი, კი შეუწყო რეფორმების პირველ ეტაპზე ფინანსურ სტაბილიზაციას და ინფლაციის დათრგუნვას, მაგრამ მაინც ვერ უზრუნველყო არსებითი და ეფექტიანი

სამრეწველო აღმავლობის მიღწევა, რაც მთავარია, რადიკალური მონეტარული პროგრამები, რომლებიც საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეცეპტების მიხედვით ხორციელდება, ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის სამრეწველო საწარმოო პოტენციალის უფრო სრულად და ეფექტიანად გამოყენების რეზერვების სწრაფად რეალიზაციას. სამრეწველო საწარმოების დაბლა სვლა იმდენად საგრძნობი და დამაუძლურებელი აღმოჩნდა მოსახლეობისათვის, რომ საეჭვო ხდება ამ პროგრამების შემდგომი რეალიზაციის მნიზანშეწონილება.

რეფორმების პროცესში ეროვნული მეურნეობის დარგობრივმა სტრუქტურამ დაკარგა მისთვის დამახასიათებელი სამრეწველო ხასიათი და შეიძინა უპირატესად აგრარულ-სავაჭრო და კომპრადორული მიმართულება. თუ ეს ტენდენცია მომავალშიც იქნება შენარჩუნებული, საქართველო შეიძლება გადაიქცეს განვითარებულ ქვეყნებში დამზადებული სამრეწველო საქონლის გასაღების ბაზად და მათ აგრარულ-სანედლეულო დანამატად, თავისი ყველა უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური შედეგით ჩვენი ქვეყნისა და მისი მოსახლეობისათვის.

როგორც ცნობილია, სწორედ აღნიშნული მიზნები ამოძრავებდა თავის დროზე რუსულ კაპიტალიზმის და მეფის მთავრობას, როდესაც ისინი თავიანთი კოლონიური, ექსპანსიური ინტერესებიდან. გამომდინარე, ყველანაირად აფერხებდნენ საქართველოს სამრეწველო საწარმოთა განვითარებას, ისევე როგორც მთლიანად ჩამორჩენილი რეგიონის ეკონომიკურ და სოციალურ აღმავლობას. უნდა ითქვას, რომ ასეთივე სულისკვეთებით მოქმედებდა უცხოური კაპიტალიც, რომელიც ინტენსიურად შემოიჭრა საქართველოში გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან.

აღნიშნული პოლიტიკის გატარებამ თუ რა მისცა საქართველოს, ეს კარგად ჩანს შემდეგი მონაცემებიდან: პირველი მსოფლიო ომის წინ ქვეყნის მოსახლეობის ერთ სულზე იწარმოებოდა 4-ჯერ ნაკლები სამრეწველო პროდუქცია, ვიდრე რუსეთის ცენტრალურ გუბერნიაში, რომელიც თვითონ

მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ევროპისა და ამერიკის მოწინავე ქვეყნებს.

რევოლუციამდელ საქართველოში სამრეწველო წარმოების ხვედრითი წონა ეროვნული შემოსავლის წარმოებაში უდრიდა 13,9%, სოფლის მეურნეობის _ 64,6%, მშენებლობის _ 3,8%, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის _ 4,6%, ვაჭრობის _ 8,1%. [25] ეს მონაცემები ცხადად მეტყველებს საქართველოს საერთო-ეკონომიკური და ინდუსტრიული განვითარების უკიდურესად დაბალ დონეზე, რევოლუციამდელ საქართველოში.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ჩამორჩენა მნიშვნელოვანწილად დაძლეულ იქნა ჯერ კიდევ რეფორმამდელ პერიოდში, როდესაც საქართველო საბოლოოდ ჩამოყალიბდა როგორც სამრეწველო-აგრარული ქვეყანა მსხვილმასშტაბიან სამეურნეო კომპლექსით.

სამრეწველო საწარმოთა სიმძლავრეებისა და მრავალმახასიობაზე თვალნათლივ მიუთითებს ის, რომ სამრეწველო პროდუქციის რიგი უმნიშვნელოვანესი სახეების წარმოების მიხედვით მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით (ელექტროენერგია, მინერალური სასუქები, ქიმიური ბოჭკოები და ძაფები და სხვა) რეფორმამდელ პერიოდში საქართველო წინ უსწრებდა მსოფლიოს ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანასაც კი.

აღსანიშნავია, რომ 300-ზე მეტი დასახელების სამრეწველო პროდუქცია იგზავნებოდა მსოფლიოს 80 ქვეყანაში. [26] ექსპორტის სტრუქტურა წარმოდგენილი იყო უმთავრესად არა სანედლეულო საქონლით, არამედ ისეთი მაღალტექნოლოგიური სამრეწველო პროდუქციის სახეებით, როგორიცაა სხვადასხვა მანქანა-მოწყობილობები, დაზგები, სატრანსპორტო საშუალებები, ფეროშენადნობები, ელექტროგამზომი ხელსაწყოები, ელექტროძრავების, ქიმიური პროდუქცია, აგრეთვე ელექტრონული მრეწველობის ნაკეთობანი და სხვ. ამასთან განვითარებულ ქვეყნებზე მხოლოდ საქართველოდან ექსპორტის საერთო მოცულობის 32-35%. სამრეწველო ნაწარმი იგზავნებოდა: ინგლისში,

ავსტრიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, კანადა, ფინეთში და სხვ.[27]

საქართველო თავისი საკმაოდ მძლავრი და მრავალმხრივი სამრეწველო პოტენციალით ფართოდ მონაწილეობდა რესპუბლიკათაშორისო შრომის დანაწილებასა და ყოფილ საბჭოთა კავშირის საგარეო ეკონომიკურ კავშირებში.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სპეციალისტი, მთავრობის ჩინოვნიკებისა და განსაკუთრებით უცხოური კონსულტანტების ჩათვლით, როდი თვლის საჭიროდ სამრეწველო წარმოების როგორც ქვეყნის სახალხო მეურნეობრივი კომპლექსის საფუძვლის დაჩქარებული ზრდის აუცილებლობას. “საქართველო იყო და დარჩება აგრარულ ქვეყნად”... _ ნათქვამია ერთ-ერთ პუბლიკაციაში.[28] ავტორებს ალბათ არ უნდათ დაინახონ ის ღრმა რაოდენობრივი და განსაკუთრებით თვისობრივი ძვრები, რაც განვლილ პერიოდში აღინიშნებოდა საქართველოს ეროვნული მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში. კერძოდ მრეწველობის ხვედრითი წონა ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტისა და ეროვნულ შემოსავალში შეადგენდა შესაბამისად 61,7% და 42,1 (1975 წ.)[38], ე.ი. გაცილებით მეტს ვიდრე სოფლის მეურნეობის წილი იყო იმავე პერიოდისათვის (18,6% და 30,8%) საზოგადოებრივი წარმოების განვითარების აღნიშნულ განმაზოგადებელ ეკონომიკურ მაჩვენებლებში.

იმ შემთხვევაში, თუ დაიძლეოდა ჩვენი საზოგადოების, ერთი ნაწილისა და სამწუხაროდ, ეროვნული ეკონომიკის მართვის უმაღლესი ეტაპებიდან საკმაოდ ფეხმოკიდებულ და უცხოურ ექსპერტების მიერ დაჟინებით ინსპირირებულ პესიმისტურ განწყობილობას იმის თაობაზე, რომ თითქოს საქართველოს სამრეწველო საწარმოებს საერთოდ არ გააჩნდეთ კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვების უნარი, რაც სავსებით შესაძლებელია. ამიტომ ისინი ვინც საქართველოში სამრეწველო საწარმოების შემდგომი დაჩქარებული ზრდის წინააღმდეგ გამოდიან, ფაქტიურად ქვეყნის დამოუკიდებლად განვითარების მოწინააღმდეგეები

ხდებიან. [29]

სამრეწველო საწარმოებისათვის უახლესი ამოცანაა საწარმოთა გამოყვანა გაჭიანურებული კრიზისიდან. ამასთან აუცილებელია მათი აქტიური მხარდაჭერა და რეაბილიტაცია, შესაბამისი წარმოებათა დაჩქარება, ხელსაყრელი გარემოს შექმნა ინვესტიციების მოზიდვისა და ეფექტიანი საინვესტიციო პროექტების განსახორციელებლად.

სამრეწველო საწარმოთა ეკონომიკური მდგომარეობა, შემოსავლების მიღებისა და საბრუნავი საშუალებებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით, შეიძლება გაუარესდეს. მოსალოდნელია ზარალიანი და დაბალრენტაბელური საწარმოებისა და დაბალრენტაბელური საწარმოებისა და უმუშევრობის ზრდა, მათ შორის სტრატეგიულად მნიშვნელოვან დარგებში.

საკრედიტო რესურსების უკმარისობის პირობებში შეუძლებელი იქნება ინვესტიციების გადიდება, მთლიანობაში საინვესტიციო აქტიურობის აღმავლობა და მნიშვნელოვანი სამრეწველო ზრდის მიღწევა.

საქართველოს სამრეწველო-ეკონომიკური განვითარება უნდა ეფუძნებოდეს შიდა გადახდისუნარაინი მოთხოვნის ეტაპობრივ ზრდას და შესაბამისად შიდა ბაზრის არსებითად გამოცოცხლებას, დამატებითი საკრედიტო რესურსების წარმართვას ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისათვის, ეფექტიანი სამრეწველო წარმოებათა აღდგენა-განვითარებისა და ინვესტიციური საქმიანობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას.

კვების მრეწველობის დარგებიდან კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების კარგი პერსპექტივები აქვთ ყოფილ საკავშირო სპეციალიზაციის დარგებს (ღვინის, ჩაის, საკონსერვო, ეთერზეთების, მინერალური წყლების და სხვ.). გარკვეული კონკურენტული უპირატესობები გააჩნიათ, აგრეთვე მსუბუქ მრეწველობის ცალკეულ საწარმოებსაც: განვითარებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ინტელექტუალური პოტენციალი; დაგროვილი საწარმოო გამოცდილება;

იაფი სამუშაო ძალა; ნედლეულისა და მასალების ზოგიერთი სახეების (ქსოვილები, ტყავი, ნატურალური აბრეშუმი და სხვ.) ადგილზე წარმოების შესაძლებლობა; ერთობლივი საწარმოების ორგანიზაციისა და ამოქმედების გამოცდილება და სხვ.

მდგრადი კონკურენტუნარიანობა ახასიათებთ საქართველოს სამთო ქიმიის საწარმოებს, რომელთა პროდუქცია მსოფლიო ბაზარზე სარგებლობს გაზრდილი მოთხოვნით. ამიტომ ამ საწარმოებს შეუძლიათ მნიშვნელოვნად გაადიდონ ისეთი პროდუქტების ექსპორტი, როგორიცაა ბეტონიტური თიხები, ბუნებრივი ცეოლიტი, დარიშხანი, ანდეზიტური ნაწარმი და სხვ. წარმოებათა შესაძლებლობებისა და კონკურენტული სტრატეგიების შეფასებები აჩვენებს, რომ მათ შეუძლიათ არა მარტო წარმატებით გაუწიონ კონკურენცია უცხოელ ექსპორტიორებს, არამედ გაზარდონ კიდეც საქონლის გაყიდვა შიდა და საგარეო ბაზარზე. მხოლოდ კარგად გააზრებული, აქტიური და მიზანმიმართული, მსოფლიო სამეურნეო კონიუნქტურასთან ადაპტირებული სამრეწველო პოლიტიკის გატარებით შეიძლება აცდენილ იქნეს სამამულო მრეწველობის სრული კრახი და უზრუნველყოფილ იქნეს მდგრადი ეკონომიკური ზრდა.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის განხილვა ნათლად უჩვენებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხასიათს და მის ძირითად არსს. ცხადია, იგი უნდა ექვემდებარებოდეს ქვეყნის განვითარების ისტორიულ თავისებურებებს, აწმყოს და მომავლის ამოცანებს და ამით მაქსიმალურად შეუწყოს ხელი საზოგადოებრივ-ეკონომიკური პროგრესის სტაბილურობას პრაქტიკულად ეს ნიშნავს სამრეწველო წარმოების ისეთი დარგების განვითარებას, რომლებიც მკვიდრ მატერიალურ ტექნიკურ ბაზას შეუქმნიან ეროვნული ეკონომიკის ძირითად მიმართულებებს.

ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება გადამმამუშავებელი მრეწველობის განვითარებას, რაც გარდა იმისა, რომ სტიმულს მისცემს აგრარული წარმოების ტრადიციული დარგების განვითარებასაც, ამასთან ხელს

შეუწყობს სასურსათო პროდუქტებზე ქვეყნის მოთხოვნილებათა პრობლემის გადაჭრას და მათი საექსპორტო პოტენციალის ზრდას. მაგრამ გადამმამუშავებელი მრეწველობისათვის, ბუნებრივია, აუცილებელია ენერგეტიკისა და მანქანათმშენებელი მრეწველობის შესატყვისი დარგების განვითარებასაც და მათი ხელახალი ტექნიკური და ტექნოლოგიური გადაიარაღება. ეს აუცილებელია თვით აგრარული დარგების განვითარებისთვისაც. საქართველოს "სამრეწველო წარმოების სრულყოფის დღევანდელ ეტაპზე არ არსებობს მკვეთრი გამყოფი ზღვარი აგრარულ და სამრეწველო დარგებს შორის". [30]

საქართველოს გააჩნია სამრეწველო განვითარების მნიშვნელოვანი პერსპექტივები _ დაწყებული ნავთობგადამამუშავებელი და სამშენებლო ინდუსტრიით და დამთავრებული ექსპორტის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია კარბიტის წარმოებით. სამრეწველო განვითარების მნიშვნელოვანი მიმართულება შეიძლება გახდეს გემთმშენებლობა და საზღვაო ტრანსპორტის განვითარება. საქართველო საზღვაო ქვეყანაა და მას შესატყვისი საზღვაო კომუნიკაციების ტექნიკური საშუალებები სჭირდება. იგივე შეიძლება ითქვას მთის პირობებისათვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალებათა განვითარების აუცილებლობაზე. ძვირადღირებული და არასაიმედო საგზატკეცილო სისტემის ნაცვლად, აქაც მისაღები უნდა იყოს საჰაერო-საბაგირო გზების განშტოებული სისტემის შექმნისა და მთის ავიაციის ეფექტიანად გამოყენება. თავის მხრივ, ყოველივე ეს საქართველოს სამრეწველო სტრატეგიის განვითარებას შეესაბამება.

თანამედროვე სამრეწველო წარმოების პრობლემაა არსებული ფიზიკურად და მორალურად თითქმის მთლიანად გაცვეთილი საწარმოთა კორექციისა ად რეკონსტრუქციის საკითხები. გარდა ამისა გადამწყვეტი მნიშვნელობისაა მცირე მექანიზაციის პრობლემის გადაწყვეტაც და მათთვის მტკიცე ენერგეტიკული ბაზის შექმნა. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ტერიტორიის თითქმის 80% მთაგორიანია. ამასთან

ინტეგრაციული პროცესები თანამედროვე მსოფლიოს განვითარების ყველაზე არსებითი ნიშან-თვისებაა. ისინი იძენენ როგორც რეგიონულ, ისე გლობალურ მასშტაბებს. საქართველოც ვერ ასცდება ამ პროცესებს და უნდა იქნეს შემუშავებული მთის პრობლემებში ოპტიმალური გზები და საშუალებანი.

დღემდის სამრეწველო საწარმოების მართვის საკითხები აგებული იყო ისეთ პრინციპებზე, რომ პასუხისმგებლობა დაკისრებოდა ქვედა დონეს, ხოლო ზედა რგოლი ჩართულიყო მხოლოდ მაშინ, როცა დარღვევებს ექნებოდა ადგილი. ამ შემთხვევაში საჭირო ხდება მიდგომების კორექტირება და მენეჯმენტის შეცვლა. აგრეთვე ერთ-ერთი მთავარი საკითხია ფუნქციების ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის შეხამება.

საგანგებო მნიშვნელობა აქვს სწორ სამრეწველო პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხოროციელებას, რაც პოლიტიკურ, ორგანიზაციულ-ეკონომიკურ და სოციალურ მომენტებთან არის დაკავშირებული.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დამოუკიდებელი სამრეწველო პოლიტიკა არასოდეს ჰქონია. მისი სამრეწველო დარგობრივი სტრუქტურა, განვითარების პრიორიტეტები, მასშტაბები განისაზღვრებოდა ერთიანი საკავშირო სახალხო მეურნეობის კომპლექსის განვითარების საერთო ინტერესებით. ქვეყნის მრეწველობა, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი (იგი იძლეოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის სამრეწველო პროდუქციის 1,6-1,8%), ცენტრში განისაზღვრებოდა ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ურთიერთობათა სქემაში “თამაშების წესების” მისთვის წინასწარ მინიჭებული უფლებით ფუნქციონირებდა წარმოების ცენტრალიზებული დაგეგმვისა და მართვის სისტემის სტიქიურად ლიკვიდაციის, ეკონომიკური საქმიანობის თვითდინებაზე მიშვების, ახალი სამეურნეო კავშირების მოშლის შედეგებმა სამრეწველო წარმოების მკვეთრი დაცემა გამოიწვია.

სამრეწველო წარმოება, როგორც საერთოდ ეკონომიკა, მართვის

(მიკრო და მაკრო დონეზე) ღრმა კრიზის განიცდის, გამოაშკარავდა საბაზრო მექანიზმების "ღვთაებრივი" ხასიათის, ბაზრის თვითრეგულირების უნივერსალური ბუნების "უხილავი ხელის" განსაკუთრებულობის და სხვა ილუზიების უსაფუძვლობა.

ცხრილი 3

სამრეწველო პროდუქციის ზოგიერთი უმნიშვნელოვანეს სახეობათა წარმოების დინამიკა [32]

პროდუქცია	1986	1990	1996
1. ელექტროენერგია (მლნ კვტ სთ)	14421	14246	7233
2. ნავთობი (ათ. ტ.)	552	186	128
3. ქვანახშირი (ათ. ტონა)	1674	956	22,5
4. თუჯი (ათ. ტონა)	882	625	-
5. ფოლადი (ათ. ტონა)	1441	1315	82,7
6. შავი ლითონის ნაგლინი (ათ. ტონა)	524	499	42,7
7. მანგანუმის მადანი (სასაქონლო ათ. ტ.)	2743	1252	99,9
8. ლითონ საჭრელი ჩარხები (ცალი)	3089	1568	18,0
9. კოშკურა ამწეები 8 ტ. და მეტი (ცალი)	561	547	3
10. სატვირთო ავტომობილები (ცალი)	22097	5736	95
11. მინერალური სასუქები (ათ. ტონა)	114	130	67,9
12. ქაღალდი (ათ. ტონა)	40	26,6	17[2]
13. მუყაო (ათ. ტონა)	59,2	42,5	147[2]
14. ცემენტი (ათ. ტონა)	1577	1290	84,7
15. ქსოვილები (ათასი მ^2)	122180	111312	1218
16. ხალიჩები (ათასი მ^2)	1224	826	5,7
17. თამბაქო ფერმენტირებული (ტ)	15539	7728	437
18. საყოფაცხოვრებო საპონი (ტ)	11702	6795	83,2
19. ქიმიური ბოჭკო და ძაფი (ტ)	28400	32400	939

დღევანდელი რთული სოციალურ-ეკონომიკურ სიტუაციაში აუცილებელია სახელმწიფომ კომპლექსურად განახორციელოს სამრეწველო პოლიტიკა "საქართველომ უნდა უზრუნველყოს თავისი ეროვნული ინტერესები ინტელექტუალური და ინდუსტრიული წარმოებით". [31]

დინამიკიდან ჩანს, თუ როგორ კლებულობს ნებისმიერი სამრეწველო პროდუქციის წარმოების ნებისმიერი სახეობა და დღესაც კლებულობს, ზოგიერთი კი სულ აღარ იწარმოება.

მნიშვნელოვანია სამრეწველო წარმოების შედეგების შეფასება ცხადია საკითხი საკამათო უნდა იყოს. კერძოდ, თუ განვიხილავთ ნეოკლასიკური კუთხით, ეს არის ჩადებული ინვესტიციებზე მიღებული კონკრეტული შედეგი. მაგრამ ცალკეულ დარგში მიღებული შემოსავალი შეიძლება ნაკლები იყოს საერთოდ საშუალო მაჩვენებელზე. ეს არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო პოლიტიკა წარუმატებელი იყო. საქმე ისაა, რომ მარტო ინვესტიციების ეფექტით სწორი არ იქნება განისაზვროს ამა თუ იმ დარგის სოციალური, ეკონომიკური როლი და მნიშვნელობა კონკრეტული ქვეყნისათვის. მხედველობაში უნდა მივიღოთ, ე.წ. გვერდითი ეფექტებიც, განსაკუთრებით სოციალური ეფექტი,[43] მაგალითად, დასაქმება მაღალი დამატებითი ღირებულების დარგებში, იმ დარგების განვითარება, რომლებზეც დამოკიდებულია სხვა დარგების და მთლიანად სამრეწველო მეურნეობის სიცოცხლისუნარიანობა. მაგალითად, ენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა, ქიმია და სხვა დარგების განვითარება და ა.შ.

XXI საუკუნეში საქართველოს მრეწველობის როლი უაღრესად გაიზრდება. "თანამედროვე პირობებში ქვეყნის კონკურენტული უპირატესობები ეფუძნება არა ბუნებრივ-კლიმატურ ან გეოგრაფიულ ფაქტორებს, არამედ ინტელექტუალური, კვალიფიციური შრომის, მეცნიერებატევადი წარმოების და პროდუქციის უპირატესობებს ისიც გასათვალისწინებელია, რომ კონკურენტული უპირატესობა, საბოლოო ჯამში, გამოიხატება შრომის ნაყოფიერებით, ეფექტიანობით, დამატებული ღირებულებით, რაც ყველაზე უფრო მაღალია გადამამუშავებელ

მრეწველობაში, მართალია, თანამედროვე პირობებში მრეწველობის ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტში შემცირდა და შესაბამისად ამაღლდა ინფორმაციული სექტორის ხვედრითი წილი თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს მრეწველობის როლის დაკნინებას, ჯერ ერთი, ეფექტიანობა მრეწველობაში მაღალია, მეორე, მრეწველობა ქმნის წარმოების ინდუსტრიალიზაციისა და ინფორმატიზაციის შესაძლებლობებს, ავტომატიზებული და ინფორმაციული წარმოების საშუალებებს და ტექნოლოგიებს და, ბოლოს, მესამე, მართალია, ვითარდება წარმოების ბიოლოგიზაცია, მაგრამ ბიოლოგიური ნედლეულის მასალების გადამუშავება მაინც მრეწველობაა, ბიოტექნოლოგიური მრეწველობა... საქართველომ უნდა უზრუნველყოს თავისი ეროვნული ინტერესები ინტელექტუალური და ინდუსტრიული წარმოებით". [31]

აღნიშნულზე დაყრდნობით, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში აქტუალური იქნება აქტიური სამრეწველო პოლიტიკის გატარება, რომლის ხელშემწყობი იქნება, ჯერ ერთი, ხელისუფლების მხრიდან მრეწველობის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებად მიჩნევა; მეორე, გადამამუშავებელი დარგებისა და ქვედარგების აქტიური განვითარებისათვის მხარდაჭერა, რომელთა პროდუქციაზე მოთხოვნა ფიქსირდება და საქართველოს შეუძლია მისი წარმოება; მეოთხე, ინვესტორებისათვის შესაბამის სამრეწველო წარმოებაში სახსრების დასაბანდებლად გარკვეული შეღავათების დაწესება; მე-5, სასურველი და აუცილებელია, ეკოლოგიაზე ზიანის მიუყენებლად ელექტროენერგეტიკის განვითარება; მე-6, საჭიროა მანქანათმშენებლობის იმ ქვედარგების უპირატესი განვითარება, რომელთაც შეუძლიათ ახალი ტექნოლოგიების საფუძველზე შექმნილი საწარმოების წარმოების საშუალებით უზრუნველყოფა, განსაკუთრებით ეს ეხება ელექტროტექნიკურ მრეწველობასა და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობას; მე-7, უპირატესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მეცნიერებატევადი დარგების

განვითარებას; მე-8, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის დარგებიდან რომლის ნედლეული (ბარიტი, კალციტი, ცელოლიტი და სხვ.). ქვედარგების განვითარების ხელშეწყობა. ნაწილობრივ კადრები და სიმძლავრეები ქვეყანას ჯერ კიდევ გააჩნია, მე-9, შავი და ფერადი მეტალურგიის საწარმოების განვითარების უზრუნველყოფა; მე-10, ხე-ტყის, ხის დამუშავებითი და ცელულოზა _ ქაღალდის მრეწველობის განვითარება და სხვა. მნიშვნელოვანია მსუბუქი მრეწველობის განვითარებისათვის სანედლეულო ბაზის გაძლიერება და მისი რაციონალური გამოყენება. ყველაზე უკეთესო პერსპექტივები კი, კვების მრეწველობას გააჩნია, როგორც ნედლეულის მრავალფეროვნების, ისე ეკოლოგიური ფაქტორის გათვალისწინებით.

საქართველოს საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოები მართვის მეტად მარტივი სქემით მუშაობენ. მიკრო საწარმოებს, რომელთა როლში თვლიან საწარმოებს 10 კაცამდე დასაქმებული ჰყავთ პრეზიდენტი, ვიცე პრეზიდენტი (ან დირექტორი), ბუღალტერი, მდივანი (იხ. ნახ. 3) ფირმებს 10-დან 20 დასაქმებულით მართვის სხვადასხვა სტრუქტურა გააჩნიათ. ზოგს ფუნქციონალური განყოფილებები, ზოგს კი მხოლოდ სამუშაო ადგილები აქვთ შექმნილი, როგორც ერთი, ისე მეორე შემთხვევაში. საწარმოთა მართვის სტრუქტურა იმეორებს ყოფილი საბჭოთა დროინდელ საწარმოთა სტრუქტურას.

საშენ-მასალათა მრეწველობის მცირე საწარმოებისათვის ამჟამათ მთავარი ახლებურად მუშაობაში ძირითადია საწარმოს მართვაა. იქიდან გამომდინარე, რომ წარმოების ხელმძღვანელები არ ინტერესდებიანი მენჯემენტის დაუფლებისათვის, რომ ყველაზე რთული საქმე სწორედ ფირმის მართვაა.

საზღვარგარეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში არა თუ მცირე არამედ უმცირეს საწარმოებშიც (3-5 კაციანი) კი მართვის პროცესი უმაღლეს დონეზე დგას. იქ კერძო საწარმოს გახსნა მხოლოდ ინტუიციაზე დაყრდნობით არ ხდება. იქაურ მოქალაქეს ფიქრადაც არ მოუვა ის, რომ ჯერ

გახსნას საწარმო და მერე შესძლოს მისი მართვა. საქართველოში ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. თუ ყველა არა, ყოველი მეორე მცირე საწარმო ისეა გახსნილი და ბევრი ამის "მერეც" არ აპირებს სწორ მართვას.



ნახ. 1. საშენ-მასალათა მრეწველობის მცირე საწარმოებში მართვის მოქმედი სტრუქტურა

საჭიროებას წარმოადგენს საწარმოს მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის აგება. "საწარმოების მართვის ორგანიზაციულ სტრუქტურაში მმართველობითი აპარატის ფუნქციები წარმოდგენილი უნდა იყოს თითო სამუშაო ადგილით, წვრილ საწარმოებში კი _ ფუნქციური სამსახურებით, ორივე შემთხვევაში მართვის აპარატის სტრუქტურაში უნდა ჩანდეს საწარმოს ბაზარზე (მომხმარებელზე) ორიენტაციის პრიმატი". [34]

მართვის სფეროში მომუშავეთა 30%-ზე მეტის დასაქმება მეტად სარისკო, მაგრამ ეს აუცილებელია. ლ. იაკოკა აღნიშნავს _"თუ თქვენ არ გყავთ საიმედო გუნდი, ძალიან ცოტა რამის გაკეთებას შეძლებთ". თუ კი ამას თანამედროვე საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოები გაითვალისწინებენ მნიშვნელოვანი იქნება მანამდე მაინც სანამ მოახდენენ ბაზრის გამოკვლევასა, ფინანსების პროგნოზირებას და საერთოდ ბიზნესის კეთებას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბაზრის შესწავლას, რომელსაც მარკეტინგის სამსახური უნდა ახორციელებდეს.

ბიზნესის სპეციალისტის ნიკოლოას სიროპოლისის აზრით, "მეწარმემ ფაქტების მოპოვებაში არ უნდა დაზოგოს ფული. რაც მეტი

ეცოდინება მას თავისი ბაზრის შესახებ, მით მეტი შანსი აქვს მოგების მიღების".[45] ამის გათვალისწინებით მარკეტოლოგმა უნდა შეარჩიოს ბაზარი. განსაზღვროს ბაზრის სტრატეგია და ტაქტიკა, დაადგინოს თავისი და მთავარი კონკურენტების პოლიტიკა, გამოყოს და შეისწავლოს ბაზარში მის წილზე ზემოქმედი მაკრო და მიკრო ფაქტორები, დაახასიათოს პროდუქციის მომხმარებლები და კონკურენტები დაადგინოს საქონლის მოსალოდნელი გაყიდვის მოცულობა და ა.შ.

ცხრილი 4

მარკეტინგის მართვის ჩარჩო

კომერციული მენეჯერი	კომერციული მენეჯერი	კომერციული მენეჯერი	კომერციული მენეჯერი
ბაზრის გამოკვლევა მარკეტოლოგი	ბაზრის გამოკვლევა მარკეტოლოგი "ა" საქონლის "ბ" საქონლის "გ" საქონლის	ბაზრის გამოკვლევა მარკეტოლოგი "ა" ბაზარი "ბ" ბაზარი "გ" ბაზარი	ბაზრის გამოკვლევა მარკეტოლოგი "ა" რეგიონი "ბ" რეგიონი "გ" რეგიონი
მგეგმავ-პროგნოზისტი	მგეგმავ-პროგნოზისტი "ა" საქონლის "ბ" საქონლის "გ" საქონლის	მგეგმავ-პროგნოზისტი "ა" ბაზარი "ბ" ბაზარი "გ" ბაზარი	მგეგმავ-პროგნოზისტი "ა" რეგიონი "ბ" რეგიონი "გ" რეგიონი
გასაღების მენეჯერი	გასაღების მენეჯერი "ა" საქონლის "ბ" საქონლის "გ" საქონლის	გასაღების მენეჯერი "ა" ბაზარი "ბ" ბაზარი "გ" ბაზარი	გასაღების მენეჯერი "ა" რეგიონი "ბ" რეგიონი "გ" რეგიონი
სქემა #1	სქემა #2	სქემა #3	სქემა #4
მარკეტინგის მართვის ორგანიზაცია ფუნქციების მიხედვით (საქონელი, ბაზარი, რეგიონი არ გამოიყოფა)	მარკეტინგის მართვის ორგანიზაცია საქონლების მიხედვით (ბაზრები და რეგიონები არ გამოიყოფა)	მარკეტინგის მართვის ორგანიზაცია ბაზრების მიხედვით (საქონლები და რეგიონები არ გამოიყოფა)	მარკეტინგის მართვის ორგანიზაცია რეგიონების მიხედვით (საქონლები და ბაზრები არ გამოიყოფა)

აღსანიშნავია, რომ საშენ მასალათა მრეწველობის სხვადასხვა მცირე საწარმოს მარკეტინგის მართვის ერთნაირი სტრუქტურა არ ექნებათ. კერძოდ, თუ იგი ერთი სახის პროდუქციას უშვებს (და ერთ ბაზარზე და ერთ რეგიონში მუშაობს), მაშინ მისი მარკეტინგის მართვის სტრუქტურა

ფუნქციების მიხედვით აიგება, თუ ორ და მეტ საქონელს, მაშინ ბაზრების მიხედვით. ასეთივემ ორ და მეტ რეგიონზე აგებული მარკეტინგის მართვის სტრუქტურაც.

მარკეტინგის მართვის ჩარჩო _ მოდელი დაამუშავა ამერიკელმა მეცნიერმა ი. ანსოფმა, რომელსაც საშენ-მასალათა მრეწველობის საწარმოსათვის ტრანსფორმირებულად ექნება შემდეგი სახე (იხ. ცხრ. 2).

მცირე საწარმოთა ბიზნეს მართვის ორგანიზაციის შესაძლო ვარიანტები.

ცხადია, საწარმოს საფინანსო სამსახური ახლებურ გააზრებას მოითხოვს, რომელიც გარდა ფინანსისტ-მენეჯერისა დაკომპლექტებისათვის საჭიროა მგეგმავ-პროგნოზისტი და ბუღალტერი. ხოლო წარმოების მენეჯერი მთელი 70 წლის განმავლობაში ეკონომიკა წარმოების პრიმატს ეფუძნებოდა და ამდენად წარმოების მენეჯერი ანუ მაშინდელი მთავარი ინჟინერი, დირექტორი მოადგილედ ითვლებოდა. მაშინ საწარმოს ყველა სფეროს საქმიანობას საწარმოო სფერო აპირობებდა. ამჟამად კი წარმოების მენეჯერიც მარკეტინლოგიებისგან ღებულობს დაკვეთებს პროდუქციის წარმოებაზე ან მის მოდერნიზაციაზე, საერთოდ პროდუქციის წარმოებიდან მოხსნასა და ახალი პროდუქციის ათვისებაზე. ასე რომ, ახალ პირობებში მომუშავე საწარმოს ბიზნესს, გასაღებსა და წარმოება მომარაგების სამსახურის ერთობლიობა ისეთ კონგლომერატად წარმოსდგება, რომელსაც ბიზნესი იძლევა.

თანამედროვე პირობებში საწარმოთა ბიზნეს საქმიანობა წინ სწევს მრეწველობის მცირე საწარმოს მართვის ორგანიზაციულ სტრუქტურას. საწარმოში ხელმძღვანელის (პრეზიდენტის) შემდეგ პირველ ადგილზე (ე.ი. ვიცე-პრეზიდენტად) ინიშნება არა წარმოების მენეჯერი, არამედ ეკონომიკის ან ბიზნესის სპეციალისტი, რომელიც, თავის მხრივ, ხელმძღვანელობს მარკეტინგულ, გასაღებით და საფინანსო სამსახურებს.

ვფიქრობთ მრეწველობის მცირე საწარმოთა მართვის სტრუქტურა ხშირად უნდა იცვლებოდეს და ესადაგებოდეს საწარმოთა გარემო პირობებს

და მის საჭიროებას. მცირე საწარმოს მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა საჭიროა მოქნილი იყოს და ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში ახლებურად გადაწყდეს.

საქართველოში საშენ მასალათა მრეწველობაში 2002 წლისათვის მოქმედებდა 236 მცირე საწარმო. ქვეყნის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობით, მათ შორის 193 ფირმა სპეციალიზებულია ერთი სახის პროდუქციის გამოშვებაზე, მათ შორის 34 მცირე საწარმოს პროდუქცია არა მხოლოდ საქართველოში იყიდება, არამედ გადის თურქეთში და ირანში _ მოსაპირკეთებელი ქვები (ნახევარფაბრიკატების ფორმით).

საწარმოს ბიზნესმენები, აუდიტის შედეგებზე დაყრდნობით ატარებენ SWOT ანალიზს, რაც საწარმოსა და მისი კონკურენტების სუსტი და ძლიერი მხარეების შეფასებაში მდგომარეობს. კონკურენტული სიძლიერის შეფასება ამჟამად საშენი მასალების მრეწველობის არც ერთ მცირე საწარმოში არ ხდება. SWOT ანალიზში შედის სეგმენტის მომგებიანობის ანალიზი, ე.ი. ბაზრის ის სეგმენტი, რომელიც მოცემული საწარმოს საქონელს უკავია. იგი იანგარიშება სეგმენტის შედეგების შეფასებით სეგმენტის დანახარჯებთან. მომგებიანობის სეგმენტური ანალიზი საშუალებას აძლევს საწარმოს ბიზნეს შეინარჩუნოს ბაზარზე ის საქონელი, რომელიც მეტი მომგებიანობით ხასიათდება.

ყოველი საწარმოს ბიზნესმენმა რაოდენობრივად უნდა გათვალოს და მისცეს მას შესაბამისი საშედეგო ფინანსური ექვივალენტი. მაგალითად, თუ საკედლე მასალის საწარმოს მარკეტინგის მიზანია, ბრუნვა გაზარდოს 700 ათასიდან 900 ათას ცალ ბლოკამდე, ისიც უნდა დააზუსტოს ამ მიზნის შესრულება რამდენი ათასი ლარით გაუზრდის მოგებას. საწარმოს მიზანი შეიძლება პროცენტითაც გამოიხატოს (მაგ., რეგიონულ ბაზარზე 15%-იანი წილის დაკავება და სხვა), მაგრამ უმჯობესია რაოდენობრივი გამოხატვა,[46] რადგან იგი საწარმოს უადვილებს სამუშაოს მიზნის მისაღწევად არჩეულ სტრატეგიულ ქმედებათა ეფექტიანობის გამოთვლას.

მიზნის დადგენის შემდეგ საწარმო ახდენს სტრატეგიის ანალიზს, რომლის საშუალებითაც მიაღწევს თავის მიზანს. ამისათვის იგი იწყებს ეგ. წ. Cap _ ანალიზს (Cap _ ინტერვალი) პროცედურებით. პროცედურებით. Cap _ ანალიზი იწყება საწარმოს მდგომარეობის პროგნოზით მომავალი საგეგმო პერიოდში, ექსპერტული შეფასებების მეთოდით, რომელიც დარგის სპეციალისტების ღრმა ცოდნასა და ინტუიციას ეყრდნობა. იმისათვის, რომ გადაწყვეტილება სუბიექტური არ იყოს, საწარმომ უნდა გამოიყენოს კოლექტიური ექსპერტული შეფასების მეთოდი. "ექსპერტულ შეფასებათა მეთოდებს თანამედროვე პირობებში დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოთ ისეთ მოვლენათა და ტენდენციათა პროგნოზირებაში, რომელთა შესწავლაც საგრძნობლად რთულდება მათ შესახებ საკმარისად სარწმუნო ინფორმაციის უქონლობის გამო". [47]

Cap _ ანალიზის საფუძველზე საწარმოს ექსპერტების მიერ მესამე წლისათვის შედგენილი საშენ მასალათა ნაკეთობებზე მოსალოდნელი რეალიზაცია თუ "ა" წერტილში მოხვდება, მაშინ როცა საწარმოს მიზანი "ე" წერტილში მოხვედრაა. ცხადია, გრაფიკზე, მიზანი მეტად დაშორებულია მოსალოდნელ რეალიზაციასთან. "ა" წერტილიდან "ე" წერტილამდე არსებული ინტერვალის დასაფარავად საწარმო გამოიყენებს მართვის ცნობილი სპეციალისტის ი. ანსოფის მატრიცას (იხ. ნახ. 4 და ნახ. 5). [38]



ნახ. 2 Cap ანალიზი მარკეტინგის მიზანი და სტრატეგია

ანფოსის მატრიცის მიხედვით გაყიდვის მოცულობის “ა” წერტილიდან “ბ” წერტილამდე საწარმოს დასჭირდება მხოლოდ ოპერაციული საქმიანობის პროდუქტიულობის ამაღლება. ამით დაიფარება “ა-ბ” ინტერვალი. “ბ” წერტილიდან “ე” წერტილამდე ინტერვალის შევსებისათვის ფირმამ უკვე უნდა შეცვალოს თავისი მოქმედების სტრატეგია ბაზარზე. მათ შორის “ბ” წერტილიდან “გ” წერტილამდე ინტერვალის დაფარვას დასჭირდება საწარმოს მიერ ი ანსოფის პირველი სტრატეგიის გამოყენება, კერძოდ დამატებითი მუშაობა არსებულ ბაზარზე (ფასების შემცირება, რეკლამის გაფართოვება, საქონლის შეფუთვის სრულყოფა და ა.შ.). “ბ” წერტილიდან “დ” წერტილამდე ინტერვალის დაფარვის _ მეორე და მესამე სტრატეგიის გამოყენება, კერძოდ ბაზრის გაფართოვება (საქონლის არსებული ასორტით ახალ ბაზარზე გასვლა) და

ახალი საქონლის გამოშვება (ახალი საქონლის გაყიდვა ძველ ბაზარზე). “დ” წერტილიდან “ე” წერტილამდე ინტერვალის დაფარვის ანუ საწარმოს საბოლოო მიზნის მიღწევას ანუ მეოთხე სტრატეგიის გამოყენება ანუ საქმიანობის დივერსიფიკაცია.

საშენ მასალების ძნელად ტრანსპორტირების გამო მცირე საწარმოებს, ალბათ, ნაკლებად გამოადგებათ მესამე სტრატეგია კერძოდ ახალი ბაზრების ათვისება, ცხადია, მაშინ როცა სხვა ქალაქებსა და რაიონებში ან საგარეო ბაზარზე გასვლა იგულისხმება. ამიტომ, მათ ეს სტრატეგია ან არ უნდა გამოიყენონ ან მისი გატარების მიზანშეწონილება სპეციალური ეკონომიკური გათვლებით უნდა დაასაბუთონ.



ნახ. 3 ი. ანსოფის მატრიცა (საქონელი/ბაზრები)

Cap _ ანალიზის ჩასატარებლად მცირე საწარმოებისათვის უპირატესობა ი. ანსოფის მატრიცას ენიჭება, საერთოდ. SWOT ანალიზით მცირე ფირმები კონკურენტულ სიძლიერეს მიაღწევენ, Cap _ ანალიზის მიხედვით კი, განვითარების სტრატეგიას აირჩევენ.

საწარმოსათვის ასევე აუცილებელია მომგებიანობის გრაფიკის გამოყენებაც. გრაფიკის დახმარებით გაირკვევა თუ როდის გახდება საწარმო უზარალო და დაიწყებს მომგებიან მუშაობას.

მომგებიანობის გრაფიკი სხვადასხვა ლიტერატურაში სხვადასხვა სახელით გვხვდება. მას უწოდებენ "უზარალობის გრაფიკს", "თვითანაზღაურების გრაფიკს", "მკვდარი წერტილის გრაფიკს" და ა.შ. ჩვენი აზრით, კი ყველას "მომგებიანობის გრაფიკი" სჯობია, რადგანაც საწარმოს მიზანი სწორედ მოგება-ბიზნესის განვითარებაა. მომგებიანობის გრაფიკის აგების არსი იმაშია, რომ ვიპოვოთ ის წერტილი, რომელსაც "მომგებიანობის გარდატეხის წერტილი" ეწოდება ამ დონეზე საწარმოს ზარალი აღარ აქვს და მოგების მიღებას ამ წერტილიდან იწყებს.

მომგებიანობის გარდატეხის წერტილის ანგარიშის ეკონომიკური არსი მდგომარეობს კონკრეტულის საქონლის (მომსახურების) მიწოდება _ მოთხოვნის ურთიერთკავშირში. ამასთან საწარმოს ფინანსურის სამსახურმა უნდა იცოდეს, რომ საქონლის მიწოდების მენეჯმენტი მას შეუძლია წარმოების დანახარჯებიც, ხოლო მოთხოვნის მენეჯმენტი არ შეუძლია. მომგებიანობის გარდატეხის წერტილი შეესაბამება პროდუქციის გარკვეულ მოცულობას, რომლის გაყიდვა საწარმოს ზარალს აღარ აძლევს და ასეთ დროს, საწარმოს შემოსავალი წარმოების ხარჯების ტოლია.

მომგებიანობის გარდატეხის წერტილია x _ განისაზღვრება წარმოების მუდმივი ხარჯებისა (FC) და ერთეული პროდუქციის p _ ფასისა და ერთეულ პროდუქციაზე მოსულ ცვალებად დანახარჯების _ (VC) სხვაობასთან ფარდობით

$$x = \frac{FC}{P - VC}$$

x _ მომგებიანობის გარდატეხის წერტი (რეალიზაციის მოცულობა ერთეულზე);.

P _ ერთეული პროდუქციის ფასი;

FC და VC _ შესაბამისად მუდმივი და ცვალებადი დანახარჯები ერთეულ პროდუქციაზე. [39]

საწარმოს შეუძლიან მომგებიანობის გარდატეხის წერტილი მართოს, თუ იგი შესძლებს პროდუქციის ფასების გაზრდას ბაზარზე, მაშინ უზარალო მოცულობას კიდევ უფრო შეამცირებს. იგი ასევე იკლებს, თუ საწარმო ცვალებად დანახარჯებს შეამცირებს.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია საწარმოებში საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობის ეკონომიკური მხარე. საწარმოებში საინვესტიციო საქმიანობა ძირითადად პირდაპირი ინვესტიციებით გრძელვადიან აქტივებშია (შენობა-ნაგებობების აშენება-შესყიდვა, მოწყობილობის, ტექნოლოგიების შექმნა-შესყიდვა), მოდერნიზაცია და ა.შ.) წარმოდგენილი, ხოლო საფინანსო მდგომარეობა კრედიტების აღება დაფარვით. ორივეს ეკონომიკური დასაბუთება საჭიროებს. საქართველოს საშენ მასალების მრეწველობის საწარმოები ფაქტიურად არ ახდენენ არც ინვესტიციური პროექტების ეკონომიკურ შეფასებას და არც კაპიტალის სტრუქტურის მენეჯმენტს.

დასავლეთის მეცნიერების გამოკვლევით დადგენილია, რომ 20-30 წლის წინ სხვა ქვეყნების მცირე საწარმოთა მენეჯერებიც თითქმის არ იცოდნენ ეს საქმე (მხედველობაში გვაქვს ინვესტიციური გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმი მხოლოდ ფასი არ იყოს, რომ მათ პროექტის ტიპიც მიიღონ მხედველობაში და რისკიც შეაფასონ, რასაც ისინი ამ პროექტის არჩევით სწევენ. მაგალითად, რ. სოლდოფსკი, რომელმაც 1971 წელს გამოიკვლია ავსტრალიის საწარმოები მწუხარება გამოთქვა იმის გამო, რომ მათი მენეჯერები “აბსოლუტურ უცოდინარობას ამჟღავნებენ ამ საქმეში”. იგივე დაადგინეს ბეილზმა და მაკნელმა ახალი ზელანდიის მცირე საწარმოების გამოკვლევის დროს 1984 წელს და აღნიშნეს, რომ “ისინი

ინვესტიციური პროექტების შეფასების რთულ მეთოდებს არ იყენებენ, იქ უფრო გამოყენებულია შეფასების მარტივი მეთოდები (მაგ., გამოსყიდვის ვადა გამოთვლილი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირების გარეშე) სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყნებში ჩაატარეს გამოკვლევები კლამერმა, ფრემგენმა, გოტმანმა, ფორესტერმა და სხვებმა და დაადგინეს, რომ შეიმჩნევა ინვესტიციური გადაწყვეტილებების შეფასების რთული მეთოდების ზრდის ტენდენცია მენეჯმენტშიც. [50]



ნახ. 4 მომგებიანობის გარდატეხის გრაფიკი

თუ საზღვარგარეთის პრაქტიკას გავითვალისწინებთ და მას პირდაპირ გადმოვიღებთ, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ საწარმოებმა ინვესტიციების პროექტების შეფასება უნდა დაიწყონ მარტივი მეთოდებით და გადავიდნენ რთულ მეთოდებზე, რათა არ დაზარალდეს ბიზნესი და აქედან გამომდინარე, მენეჯმენტი იყოს გამართული.

2.1.3 საქართველოს ეკონომიკაში მრეწველობის როლის და ადგილის განსაზღვრა

ნებისმიერი ქვეყნის მეურნეობა მოიცავს სხვადასხვა დარგებს სამეწარმეო და არასამეწარმეო სფეროსი, რომელიც ისტორიულად ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი შრომის დანაწილების შედეგად. მეურნეობის სტრუქტურა ასახავს მეურნეობის სექტორებს შორის პროპორციას: საწარმოო და არასაწარმოო სფეროებს შორის; ეკონომიკის პირველად, მეორად და მესამე სექტორებს. ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურის შესახებ ასევე შეიძლება ვიმსჯელოთ მოსახლეობის აქტივობით და ჩართულობით ეკონომიკის სხვადხვა დარგებში.ზუსტად ეს პროპორციები განსაზღვრავენ პირველ რიგში ქვეყნის კუთვნილებას.

სამრეწველო გადატრიალებამდე (სამრეწველო რევოლუციები XVIII-XX საუკუნეები) მსოფლიოში გამეფებული იყო აგრარული ტიპის ეკონომიკა. შემდგომ მან თანდათანობით ადგილი დაუთმო სამრეწველო ტიპს რომელმაც გაძლიერება დაიწყო მე-19 საუკუნიდან და 20 საუკუნის მეორე ნახევარში გახდა დომინანტი ინდუსტრიული სექტორი.

მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკური განვითარების მახასიათებლების ანალიზისას საერთაშორისო და ეროვნული ორგანიზაციები, სტატისტიკური ორგანოები, ეკონომისტები ფართოდ გამოიყენებენ სამ სექტორიან მოდელს მთლიანი შიდა პროდუქტის. ამ მოდელის თანახმად ყოველი სახელმწიფო იყოფა პირველად სექტორად (სასოფლო-სამეურნეო: სასოფლო, სატყეო, მეთევზეობა, ნადირობა); მეორად სექტორად (ინდუსტრიული: მომპოვებელი და დამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა; ელექტრო და გაზ მომარაგება); მესამე სექტორი (მომსახურება, ვაჭრობა, ფინანსები, უძრავი ქონება, კავშირგაბმულობა, ტრანსპორტი და სასაწყობე მომსახურება, საინფორმაციო მომსახურება, მეცნიერება, განათლება, ჯანდაცვა, საყოფაცხოვრებო მომსახურება, კულტურა, ტურიზმი, მართვა თავდაცვა).

მრეწველობა (ასევე გამოიყენება ტერმინი ინდუსტრია)- უმნიშვნელოვანესი და ტექნიკურად სრულყოფილი დარგია მატერიალური წარმოების, რომელსაც აქვს გადამწყვეტი გავლენა საზოგადოების ეკონომიკურ განვითარებაზე. სამრეწველო საწარმოებში იქმნება შრომის ხელსაწყოები, წრმოების საშუალებები და მოხმარების საგნები. არსებობს მრეწველობის მრავალრიცხოვანი დარგები.

წამყვანი სექტორი მსოფლიო ეკონომიკაში და მაღალგანვითარებულ ქვეყნების ეკონომიკაში ახლა უკვე არის მომსახურების სფერო. ხოლო განვითარებადი ქვეყნების უმეტესობა ჯერ მხოლოდ ახლა დგამენ ინდუსტრიალიზმის სტადიაში ფეხს. ასეთ ქვეყნებში მრეწველობის წილი იზრდება მთლიანი შიდა პროდუქციის შექმნაში.

კონტრასტი განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის ხასიათდება პირველ რიგში მათი მრეწველობის განვითარების დონით და მათი ინდუსტრიული პოტენციალით.

მრეწველობის განვითრებამ და ინდუსტრიული სექტორის მიერ წარმოებული პროდუქციის ზრდამ ბოლო ორი ასწლეულის განმავლობაში მიგვიყვანა კაცობრიობის ცხოვრებს წესის და პირობების გაუმჯობესებასთან.

მრეწველობის როლის შეფასებისას თანამედროვე საზოგადოებაში არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მომსახურების სფეროს ნაწილს უშუალო შეხება აქვს სამეწარმეო მომსახურებასთან და ეს ფუნქციები ადრე თვითონ სამრეწველო ფირმების მიერ ხორციელდებოდა. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ზუსტად მრეწველობის ზრდამ გახადა შესაძლებელი მომსახურების სფეროს წილის მატება მსოფლიო ეკონომიკაში. არსებობს მომსახურების სფეროს შიდა ინდუსტრიალიზაციის პროცესი, მაგალითად როდესაც ორგანიზაცია, რომელიც ვაჭრობს ჩაითი ახდენს მის დაფასოებას და შეფუთვას, ან როდესაც კომპიუტერებით მოვაჭრე ორგანიზცია თავად აწარმოებს მათ აწყობას.

მსოფლიო ეკონომიკაში მეორადი სექტორის კლება არც თუ ისე საგრძნობია თუ გავითვალისწინებთ ახალი ინდუსტრიული ქვეყნების სწრაფ განვითარებას. მაგალითად, ჩინეთის, ინდოეთის, მექსიკის, ბრაზილიის და ა.შ. უნდა ავღნიშნოთ რომ ქვეყნების უმეტესი ნაწილი ისევ ინდუსტრიული განვითარების საფეხურზე იმყოფებიან ან ეხლა უახლოვდებიან მას (აზიის და აფრიკის მეტ-ნაკლებად განვითარებული ქვეყნები).

ეკონომიკა ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია, თითოეული ჩვენგანი ვცხოვრობთ ეკონომიკურ გარემოში და შეგვაქვს ჩვენი წილი მის განვითარებაში. თითოეული ოჯახი აწარმოებს საკუთარ ეკონომიკურ პროცესებს.

საწარმოო ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს საწარმო (ფირმა) რომელიც აწარმოებს პროდუქციასა და მომსახურებას. ნათელია რომ საქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან გამოსვლისათვის აუცილებელია მრეწველობის აღორძინება სამრეწველო სექტორის განვითარების საკითხებზე მომუშავე გაეროს სპეციალურმა ორგანიზაციამ დაადგინა რომ სამრეწველო განვითარება სტატისტიკურად დაკავშირებულია მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაზე და რენტაბელურობაზე. მსგავსი დამოკიდებულება არსებობს სამრეწველო წარმოებასა და ექსპორტს შორის, რომლებიც თავის მხრივ ხელს უწყობენ შემოსავლების ზრდას. საშუალო განათლების დონე და უნარები ბოლო წლებში გაიზარდა მნიშვნელოვნად. ყოველ მეათე კომპანიაში დასაქმებულია მენეჯერები სამაგისტრო ან უმაღლესი ეკონომიკური განათლებით მათ შორის უცხოეთში მიღებული. ეს უფრო დამახასიათებელი კონკურენტუნარიანი კომპანიებისათვის, შედარებით მინიმუმ კონკურენტუნარიანი ფირმებთან. ყველაზე მწვავე სისტემური პრობლემა ყველა საქვეუწყებო და დეპარტამენტების საწარმოების დღეს არის ნაკლებობა კვალიფიციური პროფესიონალების, რომლეთანაც დაკავშირებულია ნაკლებობა ადეკვატური შრომის მიწოდების, და ნაკლებობა განვითარების შიდა ტრენინგის.

ზოგადად, კონკურენტულ საწარმოებს არ აქვთ აქტიურად სრულყოფილად მართვის სისტემა, შესაბამისად მუშაობა არ არის დაბალანსებული ტერიტორიებზე და სცილდება ნათელი განვითარების სტრატეგიას.

საქართველოში არიან დამსაქმებლები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ თუკი დასაქმებულს თავზე დამცავი ჩაფხუტი დაახურეს და უნიფორმა ჩააცვეს – ამით შრომის უსაფრთხოების პრობლემები გადაჭრეს. ეს, რასაკვირველია, არ არის სწორი. დამსაქმებლები ხშირად არ ითვალისწინებენ გარემო პირობებს, საველე პირობებში მუშაობის სირთულეს და სხვა... ამისათვის ყველა ქვეყანაში არსებობს კანონმდებლობა და ეს კანონმდებლობა დეტალურად არეგულირებს მსგავს საკითხებს. შრომის უსაფრთხეობა ისეთი საკითხია, რომელიც ამომწურავად უნდა იყოს კანონით დარეგულირებული. საქართველოში კი ხდება ის, რომ არათუ ამომწურავად, საერთოდ არ არის შრომის უსაფრთხოების საკითხები საკანონმდებლო კუთხით დარეგულირებული. დამსაქმებლები ამ საკითხს ან საკუთარი შეხედულებისამებრ უდგებიან, ან საერთოდ არ აქცევენ ყურადღებას.

იმის გამო, რომ შრომის უსაფრთხოების პრობლემის მოგვარება ფინანსურად თითქმის ყველა ტიპის საწარმოში მნიშვნელოვან ხარჯებთან არის დაკავშირებული (შესაძენია სათანადო ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებები. საჭიროა მონიტორინგის შესაბამისი პერსონალი), ეს ყველაფერი, საბოლოო ჯამში, ბიზნესის წარმოების ხარჯებზე აისახება. სწორედ ამიტომ, საქართველოს წინა ხელისუფლების დროს დამსაქმებელთა მიდგომა მაქსიმალურად ნაკლებ დანახარჯებს გულისხმობდა. იმ შემთხვევაშიც კი, თუკი დანახარჯების შემცირებით ადამიანების სიცოცხლე და ჯანმრთელობა დგებოდა საფრთხის ქვეშ.

საქართველოში არსებობენ ისეთი სამრეწველო საწარმოები სადაც აწარმოებენ სტანდარტების შესაბამის პროდუქციას მაგალითად „რუსთავის აზოტი“.

ნახევარსაუკუნოვანი ქიმიური საწარმო „რუსთავის აზოტი“ აზოტოვანი სასუქების ერთადერთი მწარმოებელია სამხრეთ კავკასიის რეგიონში. რუსთავის «აზოტის» ამოქმედების შესახებ მეტალურგიული ქარხნის პროდუქციის - კოქსის აირის არსებობის საფუძველზე 1947 წელს გადაწყვიტეს. 1956 წლის 27 თებერვალში ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებით მიიღეს პირველი ამიაკი. სწორედ ეს თარიღია მიჩნეული საწარმოს დაბადების დღედ.

„რუსთავის აზოტი“ მსოფლიო სტანდარტების შესაბამის პროდუქციას აწარმოებს და საქართველოს შიდა ბაზარზე, ასევე ამიერკავკასიის რესპუბლიკებში აზოტოვანი სასუქების ძირითად მიმწოდებელს წარმოადგენს. პროდუქციის მომხმარებლები არიან ხმელთაშუა და შავი ზღვის ქვეყნები (საბერძნეთი, ისრაელი, იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი, თურქეთი, სირია, მაროკო და სხვ).

დღეს საწარმოში მუშაობს 2313 ადამიანი, მათ შორის 947 ქალი. საწარმოო სიმძლავრეების სრული დატვირთვის შემთხვევაში 1 წლის განმავლობაში იძლევა 450 ათას ტონა მინერალურ სასუქს, 400 ათას ტონა ამიაკს, 10 ათას ტონა ციანიდის ნატრიუმს.

შექმნის დღიდან საწარმომ ბევრი მფლობელი გამოიცვალა. იყო რთული პერიოდებიც, როცა არ იყიდებოდა პროდუქცია, წარმოება გაჩერებული იყო, მაგრამ დღეისათვის, „რუსთავის აზოტი”სიდიდით საქართველოს პირველი სამრეწველო საწარმოა.

ისევე, როგორც სხვა განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში, საქართველოშიც, სამრეწველო სექტორმა დაუთმო პოზიციები მომსახურების სფეროს, როგორც მოსახლეობის დასაქმების ძირითად ფაქტორს და ეროვნული კეთილდღეობის ძირითად წყაროს. მრეწველობაში დასაქმების ხასიათი პასუხობს წარმოებაში არსებულ ძირითად ტენდენციებს, რომლებიც (ქვეყნის მრავალ რეგიონში) კომპანიების დახურვასთანაა დაკავშირებული. მრეწველობის დარგში დასაქმებულთა

რაოდენობა შემდეგნაირად გამოიყურება 1999 წლიდან 2013 წლის მესამე კვარტალის ჩათვლით. (იხ. ნახაზი 5)



ნახაზი 5. მრეწველობის დარგში დასაქმებულთა რაოდენობა1999-2013წწ.

პირველ რიგში ჩვენ გარკვეული ორიენტირები უნდა დავსახოთ, შევაფასოთ ჩვენი ეკონომიკის დღევანდელი მდგომარეობა, განვითარების ეტაპები და სასურველი ტემპები.

მომსახურების სფეროს როლის ზრდა ქართულ ეკონომიკაში მისი მსოფლიო ბაზართან ინტეგრაციის და გლობალური ინფორმაციის მოპოვების ბუნებრივი შედეგია. მოწინავე ეკონომიკაში მომსახურების სფეროზე მოდის მშპ_ს ნაწილი, რომელიც მრეწველობაზე და სოფლის მეურნეობაზე მეტია. ზოგიერთ მათგანში (საფრანგეთი, კანადა, აშშ) მომსახურების სფეროს წილი უკვე აღწევს 70 %_ს. მიუხედავად ამისა, განვითარებული ქვეყნების ისტორია გვიჩვენებს, რომ მომსახურება (საბანკო საქმისა და დაზღვევის ჩათვლით) ვითარდება ძლიერი მრეწველობის ირგვლივ და არა პირიქით. საქართველოს ეკონომიკის რეალიების თავისებურება და საშიშროება მდგომარეობს იმ არსებულ დისბალანსში, რომელიც ამ სექტორებს შორისაა. კომერციული და ფინანსური მომსახურების სფეროების ტენდენციების ზრდა (აგრარული

სექტორის დაბალი პროდუქტიულობის ფონზე) და მეორადი სექტორის საპროცენტო წილის მუდმივი შემცირება დასაქმებაში და მშპ_ში, საბოლოოდ, კი თვით მომსახურების სფეროს შეფერხებას გამოიწვევს და შესაძლოა, მთლიანად ეკონომიკის ჩამოქცევაც კი გამოიწვიოს.

მსოფლიოს ქვეყნები შეიძლება ოთხ დიდ ჯგუფად დავყოთ იმის მიხედვით, თუ როგორია მათი

1) უღარიბესი ქვეყნები - მშპ/სულზე ნაკლებია 1,000 დოლარზე;

2) განვითარებადი ქვეყნები - მშპ/სულზე არის 1,000-5,000 დოლარი;

3) საშუალო განვითარების ქვეყნები - მშპ/სულზე არის 5,000-12,000 დოლარი;

4) განვითარებული ქვეყნები - მშპ/სულზე 12,000 დოლარზე მეტია.

ეს კლასიფიკაცია, რა თქმა უნდა, პირობითია, განსაკუთრებით, როცა საქმე რიცხვებს ეხება. მთლიანობაში ის ემთხვევა საყოველთაოდ მიღებულ კლასიფიკაციას, თუმცა არის განსხვავება სხვადასხვა ჯგუფების ზღვრულ მაჩვენებლებში. ეს კლასიფიკაცია კარგად ასახავს ქვეყნების ძირითად ჯგუფებს ეკონომიკური განვითარების მიხედვით და მისი საშუალებით შეიძლება განვსაზღვროთ საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები.

საქართველოს მშპ/სულზე დაახლოებით 3500 ამერიკული დოლარია. ჩვენი უახლოესი და უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, საქართველო საშუალო განვითარების ქვეყნად ვაქციოთ, რისთვისაც საჭიროა 5000-6000 დოლარიან მშპ-ს მივაღწიოთ. ეს არის ეკონომიკური განვითარების ის მინიმალური დონე, საიდანაც შეიძლება საუბარი სოციალურ პროგრამებზე, მეცნიერებისა და განათლების განვითარებაზე. ეკონომიკური განვითარების ამ დონეზე გამოიკვეთება, თუ როგორი იქნება საქართველოს ეკონომიკის როლი და ფუნქციები გლობალურ ეკონომიკაში, რომელი დარგები გახდება წამყვანი. განსაკუთრებით ეს მრეწველობას ეხება.

2.2 საქართველოს სამრეწველო ბიზნესის მართვის მაკრო- და მიკროეკონომიკური პრობლემების დეფინაცია

თანამედროვე პირობებში, წარმოების მართვა დაკავშირებულია მართვის პრინციპების, მეთოდების, საშუალებებისა და ფორმების ერთობლიობასთან, რომელიც მიმართულია წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მოგების გაზრდისაკენ. მენეჯმენტი არის ბიზნესში მართვის განსაკუთრებული სისტემის პრაქტიკული ინსტრუმენტი და მოიცავს ორ პრაქტიკულ ასპექტს:

1. ბიზნესის სფეროში გადაწყვეტილებათა მიღების უზრუნველყოფას, რომელიც ითვალისწინებს მის ეფექტიანობაზე მოქმედ ფაქტორთა კომპლექსურ ანალიზს და

2. თანამშრომელთა ეფექტური მუშაობის ორგანიზაციას, რომელიც შემოსავლების გაზრდისაკენ არის მიმართული.

საქართველოში, და საერთოდ, სამრეწველო საწარმოთა მართვის პროცესი იწყება ფირმის პოლიტიკისა და მიზნების განსაზღვრით. ნებისმიერი ფირმის საქმიანობა დამოკიდებულია ბაზარზე (სამრეწველო პროდუქციაზე მოთხოვნასა და ფასებზე). ამიტომაც, გარეშე ფაქტორების ანალიზისა და შიდა ორგანიზაციის საფუძველზე საწარმო ღებულობს სტრატეგიულ გადაწყვეტილებას და აკონტროლებს თავის მიზნებს სისტემებისა და პროცედურების სახით.

სამრეწველო საწარმოს გარემო შედგება ორი ქვესისტემისაგან მიკრო და მაკრო არეებისაგან.

მიკრო არე, როგორც ქვესისტემაშია წარმოქმნილი პრობლემები უკავშირდება რესურსების და პროდუქციის ბაზრებს, რესურსების ბაზარზე მიმწოდებელ საწარმოებს, პროდუქციის ბაზარზე კი კონკურენტულ საწარმოთა მოქმედებებთან, სავაჭრო შუამავლებით, კლიენტთა გააზრებით, ინფორმაციის სამსახურებთან, ბირჟებთან და სხვ. ხოლო მაკრო ეკონომიკური პრობლემები მოიცავს მეურნეობრიობის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, დემოგრაფიულ და ეკოლოგიურ ფაქტორებს. სამეცნიერო

ტექნიკური პროგრესების და საზოგადოების კულტურულ თავისებურებათა განსხვავებებს.

სამრეწველო წარმოების მართვის მიკრო არის დროს მენეჯმენტი ძირითადად ორიენტირებულია წარმოებაზე ხარჯების სტრუქტურაში გადახრა ხდება წარმოებაზე დანახარჯებისაკენ. ამავე დროს სიტუაციური მენეჯმენტი ხორციელდება გარემოზე რეაგირებით და უწყვეტი ფუნქციონირებით დომინირებს შიგა საწარმოო პროცედურათა მართვა.

ტექნოლოგიური რესურსების თანამედროვე განსაზღვრა ეხება არა მარტო იმას, რაც საწარმოს გააჩნია შიგნით, არამედ იმასაც, რაც არსებობს მის ფარგლებს გარეთ, ამით თავს იჩენს ტექნოლოგიური საქმიანობის პოლიტიკა.

სამრეწველო საწარმოს მენეჯერს შეუძლია განახორციელოს ანალიზი, კონტროლი და მოახდინოს რეაგირება წარმოების ეკონომიკური და ფინანსური შედეგების და პროდუქციის გასაღების ფორმირების მართვის პროცესზე, როგორც მთლიანობით სისტემაზე, თუ კი გამოიყენებს სხვადასხვა მეთოდებს.

მეურნეობრიობა საბაზრო მექანიზმები დამოკიდებულია იმაზე თუ, რაოდენ უზრუნველყოფს იგი გაუმართლებელი რისკის თავიდან აცილებას მენეჯმენტში.

იმ შემთხვევაში, თუ საწარმო ფუნქციონირებს, როგორც ღია სისტემა, მაშინ მენეჯმენტი ეყრდნობა სისტემურ სიტუაციურ მიდგომას, ანუ საწარმოს საქმიანობის წარმატებების მთავარი წანამძღვრების ძიება ხორციელდება არა საწარმოს შიგნით, არამედ საწარმოს გარეთ, ეს წარმატება დაკავშირებულია თუ რაოდენ მოხერხებულად მოერგება საწარმო თანამედროვე ბიზნესის მოთხოვნებს. სიტუაციური მართვა გადამწყვეტია საწარმოს წარმატებისათვის გაჯერებულ ბაზარზე, სადაც გამძაფრებულია კონკურენციული ბრძოლა და საბაზრო-კომერციული გარემოცვა განცდის ხშირ და მოულოდნელ ცვლილებებს.

ბიზნესის გარემო არის ობიექტური და სუბიექტურ ფაქტორთა

ერთობლიობა, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნესის მიმართულებებზე, მის ტემპებსა და მასშტაბებზე, როგორც გარე, ისე შიდა მოქმედების გზით. გარემოს დახასიათებისას ავტორები მიუთითებენ, რომ რადგან ორგანიზაცია წარმოადგენს გახსნილ სისტემას, იგი გარეგან გარემოზე დამოკიდებულია რესურსებით, ენერგიით, კადრებით, მომხმარებლებით უზრუნველყოფის მხრივ.

საქართველოს სამრეწველო ბიზნესის გარემოს ყოფენ სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. კერძოდ, წარმოების ფაქტორების ზემოქმედების სისწრაფისა და უშუალობის მიხედვით გარემოს ყოფენ ორ ნაწილად: პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების გარემოდ. პირდაპირი გარემოს ფაქტორებია ისინი, რომლებიც უშუალოდ და დაუყოვნებლივ ზემოქმედებას ახდენენ საწარმოს საქმიანობაზე და თვითონაც განიცდიან საწარმოს საქმიანობის პირდაპირ გავლენას. მათ მიეკუთვნებათ მომწოდებლები, შრომითი რესურსები, კანონები და სახელმწიფო რეგულირების დაწესებულებები, მომხმარებლები და კონკურენტები. არაპირდაპირი ზემოქმედების გარემოს ფაქტორებია ისინი, რომლებიც საწარმოს საქმიანობაზე არ ახდენენ პირდაპირ და დაუყოვნებლივ ზემოქმედებას, მაგრამ თავის გავლენის კვალს ტოვებენ. ასეთი ფაქტორებია ეკონომიკის მდგომარეობა, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, საერთაშორისო მდგომარეობა, სოციალურ-კულტურული და პოლიტიკური ფაქტორები.

სამრეწველო წარმოების მიკრო გარემოში მოიაზრება:

1. საწარმო თავის საწარმოო ძალებით, რომლებიც ასრულებენ სხვადასხვა ფუნქციებს; პროდუქციის წარმოება; საწარმოო კოლექტივის მმართველობა; საფინანსო-ეკონომიკური სამსახური; სამეცნიერო და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამსახური; ბუხჰალტერია; დამხმარე წარმოება და მომსახურე მეურნეობა და სხვ.

2. მომწოდებლები _ სხვა ფირმები და ადამიანები, ანუ იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ ფირმას მატერიალური

და სხვა რესურსებით. კერძოდ, ფირმას ძირითადად შეიძლება მიეწოდებოდეს ნედლეული და მასალები, მოწყობილობა, ენერგია, კაპიტალი და სამუშაო ძალა.

ზოგიერთ შემთხვევაში მოცემულ რეგიონის ფირმებს პრაქტიკულად ერთი მიმწოდებელი გააჩნია. მაგალითად, ელექტროენერგიით საწარმოების უზრუნველყოფა. ამ შემთხვევაში ელექტროენერგიის ხარჯის ღირებულების ერთნაირი სატარიფო განაკვეთი. ცნობილია, რომ მბრძანებლობითი ეკონომიკის პირობებში მშენებლობას ემსახურებოდა 70-მდე დარგი და ქვედარგი. ამასთან, მომწოდებლების უმეტესი ნაწილი მატერიალურ რესურსებზე მოდიოდა. სამშენებლო ობიექტების კომპლექსების აგების ქსელური დამუშავების დროს დაშვებული იყო მასში ეჩვენებინათ რესურსების ჩართვის მომენტები. მშენებლობაში განსაკუთრებით რთულ პრობლემას წარმოადგენს დეფიციტური საშენი მასალებით (ცემენტი, წვრილი შემავსებლები, მინა, ხის ნაკეთობები, არმატურა და სხვ.) საწარმოო პროცესების უზრუნველყოფა. აღნიშნული სირთულე იწვევს რესურსების საწარმოო მარაგების გაბერვას საწყობების ფართობების გაზრდას და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების თვთიღირებულების გაძვირებას. იაპონიის სამშენებლო ორგანიზაციათა და მომწოდებლების საქმიანობის მკაცრი კოორდინირების საფუძველზე შესაძლებელი გახდა მთელი რიგი საშენი მასალების და კონსტრუქციების საწყობების ფართობი მინიმუმამდე შემცირებულიყო ან გაუქმებულიყო, წარმატებით გამოყენება “თვლებიდან მონტაჟის მეთოდი” და სხვ.

სამრეწველო წარმოების ფუნქციობისა და განვითარებისათვის საჭიროა არა მარტო ნედლეულისა და მასალების მომწოდებლები, არამედ კაპიტალის მომწოდებლებიც. კაპიტალის მომწოდებლები _ ინვესტორები არიან სახელმწიფო და კომერციული ბანკები, კომპანიები, კერძო პირები, საზღვარგარეთის ორგანიზაციები და სხვა.

მმართველობის ერთ-ერთი რთული და პასუხსაგები ფუნცქიაა სათანადო მაღალკვალიფიციური კადრებით საწარმოს უზრუნველყოფა.

განსაკუთრებით პრობლემებს წარმოადგენს ნიჭიერი მენეჯერების შერჩევა და გამოყენება.

3. მარკეტინგული შუამავლები _ ეხმარებიან საწარმოებს რეალიზაციის მიმართულებით, გასაღებაში და გავრცელებაში, კლიენტებისა და პარტნიორების მოძებნაში, რეკლამირებაში, საფინანსო-საკრედიტო ოპერაციებში და სხვ.

4. კლიენტები საწარმოს მიკროგარემოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. საწარმოს კლიენტურას წარმოადგენენ მისი პროდუქციის რეალური და პოტენციური მყიდველები. საწარმოს კლიენტურა – მომხმარებლები ბაზრის თავისებურებებით 5 ტიპად იყოფა: მომხმარებელთა, საწარმოთა, შუალედურ გამყიდველთა, სახელმწიფოთა დაწესებულებათა და საერთაშორისო ბაზარი.

5. კონკურენტები არიან სხვა ფირმები და ორგანიზაციები, რომლებიც არიან აგრეთვე მეწარმეები.

6. საკონტაქტო აუდიტორია, რომელიც დაინტერესებული ფირმის საქმიანობით და ზემოქმედებს მასზე დადებითად ან უარყოფითად ფირმის საქმიანობა ხორციელდება და ვითარდება შვიდი ტიპის საკონტაქტო აუდიტორიის გარშემო: ფინანსური წრეები; საინფორმაციო საშუალებები; სახელმწიფო დაწესებულებები; სამოქალაქო მოქმედების ჯგუფები; ადგილობრივი საკონტაქტო აუდიტორია; ფართო საზოგადოება; შინაგანი საკონტაქტო აუდიტორია.

7. პარტნიორები _ ის ფირმებია, რომლებიც საწარმოსთან ერთად საბაზრო საქონელს ამზადებს. ასეთი პარტნიორული საქმიანობა დამახასიათებელია მშენებლობისათვის, სადაც ერთი ობიექტის აშენების საქმიანობა გასწიოს რამდენიმე ფირმამ. პარტნიორობა ფირმის საქმიანობას ხელს უწყობს. მშენებლობაში პარტნიორობა განპირობებულია სამშენებლო პროდუქციის დიდი გაბარიტებით, მისი დამზადების ხანგრძლივობით, სამუშაოებების დიდი მრავალფეროვნებით და მოცულობით. აღნიშნულ საქმიანობაში ხანდისხან შეუთანხმებლობის პრობლემებიც იჩენს თავს.

სამრეწველო ბიზნესის მაკრო გარემოში შედის:

1. ეკონომიკური გარემო, იგი მოიცავს ყველა ეკონომიკურ ასპექტს, სტიმულსა და ბერკეტებს, რომელიც ქვეყანაში და წარმოების პროდუქციის მომხმარებლებში ფორმირდება; საწარმოთა შემოსავლისა და მოგების დონეს და პროდუქციის ფასებს; მის ინფლაციას; ფულად საკრედიტო სისტემას, მოსახლეობის შემოსავალს და მსყიდველობით უნარიანობას, უმუშევრობის დონეს და სხვ.

2. დემოგრაფიული გარემო _ მოიცავს მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივ შედგენილობას, შობადობას, დაბერებას, ტერიტორიულ სიმჭიდროვეს, ოჯახურ სტრუქტურას და მის ცვლილებას, მოსახლეობის მიგრაციას, განათლების დონის ცვლილებებს და სხვ.

3. ბუნებრივი გარემო _ აქ იგულისხმება ფირმაზე მოქმედი ის მდგომარეობა, რომელიც რეგიონში შექმნილია ბუნებრივი რესურსების მიზანშეწონილი გამოყენების, ეკოლოგიური წონასწორობის დაცვის, ენერგეტიკული რესურსებით ფირმის უზრუნველყოფისა და სხვა მსგავსი პრობლემების მიმართულებით.

4. სამეცნიერო ტექნიკური გარემო _ იგი საწარმოთა საქმიანობისაა და ბიზნესის განვითარების წარმმართველი ძალაა, მისი მეშვეობით სულ უფრო მეტ შესაბამისობაში უნდა მოვიდეს პროდუქციის წარმოებისა და მიმოქცევის (მოხმარების) სფეროები. მას ხელს შეუწყობს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ისეთი მიმართულებები, როგორიცაა ბიოტექნოლოგია, რობოტოტექნიკა, კომპიუტერიზაცია, საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია და სხვ. აღნიშნული საკითხები წარმოადგენენ თანამედროვე სამეცნიერო ტექნიკური გარემოს გადასაწყვეტ პრობლემებს.

5. პოლიტიკური გარემო _ წარმოების საქმიანობაში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პოლიტიკურ გარემოში მომხდარიო ცვლილებები, იგი განვითარებას ან ზღუდავს ქვეყანაში ბიზნესს, ბაზრის საქმიანობას, ქვეყნის საგარეო ეკონომიკურ კავშირებს (მაგალითად, ომები იწვევს სატრანსპორტო გადაზიდვებისა და სამეწარმეო კავშირების მოშლას, რეკეტობას, მაფიას და

ა.შ.).

სწორედ პოლიტიკური გარემოს ცვლილებებმა გამოიწვია საქართველოში ეროვნული მეურნეობის მოშლა, დარგების უკიდურესად პარალიზება და გაჩანაგება, მშენებლობის მართვის რეორგანიზაცია, მისი სატრანსპორტო კავშირების გაუარესება და სხვ.

6. კულტურული გარემო-გულისხმობს ადამიანთა შეხედულებას და ქცევის ნორმებს, რომლებიც ყალიბდებიან კონკრეტულ პირობებში, იგი გულისხმობს ადამიანებების ტრადიციებს, მათ მოთხოვნილებას პროდუქციისა და საწარმოს დიზაინისადმი, ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებას სხვადასხვა მიმართულებით.

საქართველოში მიმდინარე პროცესების ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვყოთ ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე. ისინი შეიძლება განვიხილოთ ორ ჭრილში: გარემო ფაქტორები, რომლებიც ქმნის კომპანიების განვითარებისათვის ზოგად პირობებს და ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება თვითონ საწარმოების მენეჯმენტს.

გარემო ფაქტორებიდან მცირე და საშუალო ზომის საწარმოების საქმიანობაზე განსაკუთრებით გავლენას ახდენს ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური სამართლებრივი მდგომარეობა. მათ განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა, ბოლო ათწლეულში, მოახდინა საქართველოში შექმნილმა პოლიტიკურმა სტაბილურობამ მართალია, ამჟამად, ქვეყანაში სოციალური კუთხით არასახარბიელო მდგომარეობაა, მაგალითად, სტატისტიკური ინფორმაციით, 2012 წლისათვის მოსახლეობა შეადგენდა მხოლოდ 4,3 მლნ ადამიანს, 2011 წელს დასაქმებულთა რაოდენობა აღწევდა 1,67 მლნ ადამიანს, უმუშევრობის დონე _ 15,1%, სიღარიბის ზღვარს მიღმა ადამიანების წილი _ 9,1% [69] მაგრამ იგი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას ხელს უწყობს სამუშაო ძალის მიწოდების კუთხით, რომელმაც ქვეყანას დახმარება უნდა გაუწიოს სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით.

უნდა აღინიშნოს, რომ მცირე და საშუალო საწარმოების სიცოცხლისუნარიანობა პირდაპირ უკავშირდება მენეჯმენტს, რომელმაც ისინი უნდა უზრუნველყოს დასახული მიზნების მიღწევას ყველაზე ეფექტური გზით ორგანიზაციული რესურსების დაგეგმვის, ორგანიზაციის, მოტივაციის და კონტროლის საფუძველზე, მხოლოდ კარგი მენეჯმენტის პირობებში, ამჟამად საქართველოში საწარმოთა მენეჯმენტის შეფასებისას, გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები: ჯერ ერთი, საწარმოთათვის კვლავ გადაუჭრელ პრობლემად დგას შეფასების მენეჯერებითა და კადრებით ორგანიზაციის დაკომპლექტება. გავრცელებული პრაქტიკაა, ქართულ ბიზნესსაწარმოებში დასაქმებულია მენეჯერები, რომელთა დიდ ნაწილს არ გააჩნია სპეციალური ცოდნა მენეჯმენტის შესახებ. არაკვალიფიციურობის გამო ადგილი აქვს კომპფლიქტურ სიტუაციებს შემცირებულია, მუშაობის ხარისხი და ადგილი აქვს ხანდისხან კრიზისებს. მეორე - ბიზნესში იმ სტრატეგიას შეუძლია მოუტანოს საწარმოს წარმატება, რომელიც სრულად შეესაბამება და ითვალისწინებს წარმოების გარშემო არსებულ ფაქტორებს და პოტენციალს, ქმნის კონკრეტულ უპირატესობას და უზრუნველყოფს ეფექტიანობის ამაღლებას; მესამე, საწარმოებისათვის მნიშვნელოვანი პირობაა, ერთის მხრივ, ეფექტიანი ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირება, მეორე მხრივ, ფორმირებული და პრაქტიკულად მოქმედ ორგანიზაციულ სტრუქტურებს შორის შესაბამისობა, მათ კომუნიკაცია, რის გამოც ადგილი აქვს ფუნქციური სამუშაოების დუბლირებას, რაც ამცირებს ორგანიზაციის ეფექტიანობას; მეოთხე, საწარმოთა ხელმძღვანელობისათვის დამახასიათებელია კომუნიკაციის ნაკლებობა თანამშრომლებსა და ხელმძღვანელებს შორის. ორგანიზაციაში ცალკე დგას მენეჯმენტი, ცალკე თანამშრომლები, ანუ მენეჯერები ახდენენ ძალაუფლების დემონსტრირებას, ისინი კი არ ცდილობენ გაითავისონ ორგანიზაციაში არსებული პრობლემები, არამედ მოქმედებენ ზედამხედველის პოზიციიდან. საქართველოში ბიზნესის განვითარებისათვის საჭიროა ამაღლდეს ბიზნესის რეგულირების

ბერკეტები, განსაკუთრებით სახელმწიფოსათვის პრიორიტეტულ დარგებში, იზრუნონ ეფექტური მენეჯმენტის შექმნაზე, მოხდეს აქცენტის გადატანა მართვის თანამედროვე მეთოდების გამოყენებასა და მსოფლიოში წარმატებული კომპანიების გამოცდილების გაზიარებაზე.

2.2 საქართველოს მრეწველობის კრიზისი და მისი გამომწვევი მიზეზების ანალიზი

„კრიზისის“ (კრიზის) ქვეშ ესმით: 1) გადაწყვეტა, შემობრუნების პუნქტი, ამოსავალი; 2) მძაფრი გაუარესება, მძიმე მდგომარეობა (დიდი საბჭოთა ენციკლობედია). ეკონომიკური კრიზისები მიჩნეული იყო საბჭოთა მეცნიერების მიერ კაპიტალიზმის პირმშოდ და მისი ეკონომიკის აუცილებელი ატრიბუტად. თანამედროვე გაგებით „ეკონომიკურ კრიზისებში“ იგულისხმება პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციას შორის თანაფარდობის დარღვევა, რაც იწვევს რიგი ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრების გაუარესებას. კრიზისები შეიძლება იყოს საყოველთაო (გლობალური) დარგობრივი (საბირჟო, ფინანსური, ენერგო, აგრარული), რეგიონალური (განვითარებული ქვეყნების ტერიტორიის ნაწილზე ან სახელმწიფოთა ჯგუფზე).

ეკონომიის განვითარების ისტორიული პრაქტიკა ადასტურებს მისი განვითარების უპირატესობას, დაფუძვნებულს კერძო საკუთრებათა და ინიციატივაზე, კერძო წარმოება განაპირობებს თავისუფალ კონკურენციას, ხოლო თავისუფალი კონკურენციის სტიქიური ძალა

განაპირობებს კერძო მესაკუთრეთა მისწრაფებას უსაზღვრო განვითარებისადმი, რაც თავისთავად უაღრესად პროგრესულია მამოძრავებელ საწარმოო ძალთა განვითარებისათვის. ცალკე მწარმოებელს, იქნება იგი ერთი პიროვნების ან რამდენიმეს კერძო საკუთრება, არ შეუძლია გვერდი აუაროს ტექნიკურ განვითარებას, მოწინავე ტექნოლოგიურ პროცესთა წარმოებაში დანერგვას. წინააღმდეგ შემთხვევაში მას სრული დამარცხება მოელის კონკურენციების მხრიდან.

როდესაც საქონლის დამზადებას ან მომსახურების გაწევას იწყებს, მესაკუთრემ იცის, რომ ამ სახის სამუშაოთა გაფართოება სრულიად უსარგებლოა, თუ შესაბამისი ბაზარი არ არსებობს. მეწარმის გადაწყვეტილება ბაზრის მოთხოვნილებაზე გავლენას ვერ მოახდენს და ამ შემთხვევაში მოგებაში შეიძლება დარჩეს მხოლოდ მისი კონკურენტები. ამასთან ერთად თუ ბაზრის მასშტაბი შემცირდა ანუ შემცირდა კონკრეტულ პროდუქციაზე მოთხოვნილება, პირველ რიგში დაზარალდება ის მესაკუთრე, ვინც ვერ შეძლო წარმოების მოცულობის თავისდროული გადიდება.

თავისუფალი კონკურენციის პირობებში იქმნება გარკვეული შეუსაბამობა წარმოებული საქონლის ან შეთავაზებული მომსახურების ზრდის ტემპებსა და ამ საქონელზე ან მომსახურეობაზე მოთხოვნილების ზრდას შორის. ყოველთვის არსებობს რაღაც დოზით გაუწონასწორებულობა. რაც უფრო იზრდება გაუწონასწორებლობის მასშტაბი, მით უფრო ვუახლოვდებით ეკონომიკური კრიზისის წარმოშობას.

თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოთხოვნა ისაზღვერება არასაზოგადოების წევრთა ფიზიკური და სულიერი მოთხოვნილებების სიდიდით, არამედ ამ მოთხოვნილებებთან. მსყიდველუნარიანობის შესაბამისობით. ამიტომ ხშირად იქმნება ისეთი სიტუაცია, რომ ვთქვათ ავეჯზე მოთხოვნილება ქვეყანაში ძალიან მაღალია, ბევრია აგრეთვე შეთავაზებული ავეჯის მოცულობაც, მაგრამ

მისი პირობითი სიძვირის გამო, ავეჯის გამოყენების ბაზარი ფრიად შეზღუდულია, ასეთივე მდგომარეობა შეიძლება იყოს ნებისმიერი დასახელების პროდუქციის ან მომსახურეობის მხრივ. ხშირია მესამე სამყაროს სახელმწიფოებში კრიზისული მდგომარეობის ისეთი სახე, როდესაც ბაზარი გადატვირთულია პირველადი – ფიზიოლოგიურად აუცილებელი საქონლით (პური, რძე, ხორცი, კარაქი და სხვა) არსებობს მასზე საზოგადოების მოთხოვნილება, მაგრამ საზოგადოების წევრთა უმეტესი ნაწილის არამსყიდველ უნარიანობის გამო, ქვეყანაში ასეთი სახის პროდუქციის მოხმარება საშუალოდ ფიზიოლოგიურ ნორმაზე ნაკლებია, როგორც ეს დღეს საქართველოშია.

მოთხოვნის შესახებ თავისუფალი კონკურენტია ყოველთვის ურთიერთსაპირისპირო ტენდენციით ხასიათდება. ერთი მუდამ მოთხოვნის გადიდებისკენაა მიმართული, მეორე კი შემცირებისაკენ. პირველი გამომდინარეობს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენით ფასების შემცირებიდან რაც ამ საქონლის ფართი მასებისათვის ხელმისაწვდომობას ზრდის, რის გამოც რეალური მოთხოვნილება ამ საქონელზე იზრდება. აღნიშნულის მაგალითებია აუდიო და ვიდეო აპარატები, კალკურატორები, იაფი ტანსაცმელი, იაფი ავეჯი და სხვა. მეორეს მხრივ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის წარმოებაში ფართო დანერგვა, საშუალებას იძლევა არნახულად გაიზარდოს შრომისნაყოფიერება, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს პროდუქციის მოცულობის გადიდებას, მომუშავეთა ნაწილობრივ გამონთავისუფლების შემთხვევაშიც კი. აქედან გამომდინარე იზრდება უმუშევრობა, ანუ იზრდება იმ ადამიანთა რიცხვი, რომელთა მსყიდველუნარიანობა კლებულობს, განსაკუთრებით ეკონომიკურად დაუძლურებული სახელმწიფოებში, რომლისკენაც საქართველოს ფაქტიური მდგომარეობაც მიისწრაფვის. ამიტომაც ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის პერიოდის კიდევ უფრო

განხარძლივება, პერსპექტივაში კიდევ უფრო შეუსაბამოს გახდის დისპროპოციას წარმოებასა და მოხმარებას შორის.

საქართველოს ეკონომიკა კაპიტალისტურია, თუმცა წარმოების საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ სახელმწიფო საკუთრებაშია. ეს არ არის ეკონომიკის მახასიათებელი გადამწყვეტი მომენტი, რამდენადაც მსოფლიო პრაქტიკა იცნობს ისეთ ინდისტრიულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს, რომელთა ეკონომიკაშიც სახელმწიფო საკუთრების წილი მნიშვნელოვანია (მაგალითად, საფრანგეთი, შვეცია). მაგრამ მას ხელი არ შეუშლია ამ სახელმწიფოთა ეკონომიკური განვითარებისათვის. აქ მნიშვნელოვანია ის, რომ იმერეთის ეკონომიკის თავისუფალ კონკურენციაზე ჯერ კიდევ მცირე დროა გასული მესაკუთრეთა მდგომარეობის ადექვატურ-ფსიქოლოგიური განწყობის ტრანსფორმაციისათვის. ისინი თავიანთი ფსიქიკით და მენტალიტეტით ჯერ კიდევ გარდამავალ ეტაპზე იმყოფებიან, თუმცა დროის დინამიკის გავლენით სულ უფრო ახლოსაა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების მომენტი.

შეუსაბამობის წარმოშობა ერთის მხრივ წარმოებასა და მეორეს მხრივ – მოხმარებას შორის, იწვევს ეკონომიკურ კრიზისს. ასე გამოვლინდება იგი საბაზრო ეკონომიკის განვითარებისთანავე. „სამრეწველო კრიზისი არის ღრმა და ვრცლად შერყევა საზოგადოებრივი მეურნეობის მთელი სისტემისა, იგი რთული კომპლექსია მრავალგვარი მოვლენებისა, თავისი ხასიათით გასაშტერებელი და სახიფათო ფასების ძლიერი დაცემა, აუარებელი სამრეწველო დაწესებულებათა განადგურება, მასიური უმუშევრობა და სხვადასხვა. აი რა არის სამრეწველო კრიზისი“.

ეკონომიკური კრიზისი სხვადასხვა დარგებში განსხვავებულად გამოვლინდებიან, მაგრამ მათ მაინც აქვთ საერთო კანონზომიერებანი. ამიტომ ახასიათებენ ეკონომიკურ კრიზისებს კლასიკური გაგებით. ამ თეორიის შესაბამისად გამოყოფენ საქმიან ციკლს, როგორც

ეკონომიკური განვითარების გარკვეულ ეტაპს ნახაზ 2-ზე წარმოდგენილია ტიპიური საქმიანი ციკლის ფორმა, ეკონომიკის საერთო აღმავლობის ფონზე, რომელიც წრფივი ხაზითაა აღნიშნული, საქმიანი ციკლი შეიძლება დაიწყოს ოთხ ფაზად. ისინი საქმიანი ციკლის ფაზებად იწოდებიან და ეკონომიკურ ლიტერატურაში მოიხსენიება საუკუნეზე მეტი დროის განმავლობაში.



ნახ. 6. ეკონომიკური განვითარების ტიპიური საქმიანი ციკლი

აღრიცხვა იწყება წერტილიდან, რომელიც წოდებულია „ციკლის პიკად“. აღნიშნული წერტილი ციკლის ყველაზე განვითარებული წარმოების აღმნიშვნელია. ამასთანავე მოცემული ციკლისთვის ამ წერტილშივე იწყება წარმოების დაცემის პროცესი. „დაცემის ფაზაში“ წარმოებული პროდუქციის რეალური მოცულობა თანდათანობით მცირდება და დროის განსაზღვრული პერიოდის შემდეგ აღწევს წარმოების მოცულობის მინიმალურ სიდიდეს ე.წ. „ფსკერს“, რომლის შემდგომაც იწყება „წარმოების გაფართოების“ ფაზა, იგი გრძელდება დროის განსაზღვრულ პერიოდში, რომლის შემდეგაც მიიღწევა „საქმიანი ციკლის პიკის“ ფაზა. ესაა ამ ციკლის უკანასკნელი ფაზა, რომლის შემდგომაც ანუ ამავე წერტილიდან დასაწყისს იღებს ახალი საქმიანი ფაზა.

ასეთი საქმიანი ციკლი მისაღებია და ამის გარეშე ეკონომიკური განვითარება შეუძლებელია აღნიშნულის საილუსტრაციოდ. ისიც კამრა, რომ მსოფლიოს მოწინავე ინდუსტრიულმა სახელმწიფოებმა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ რამდენიმე ასეთი საქმიანი ციკლი გავლეს, მაგრამ დაცემის ფაზის არსებობა არ გულისხმობს აუცილებლად ეკონომიკურ კრიზისს, რამდენადაც პრაქტიკაში დაცემის დროის პერიოდი რამდენიმე თვით განისაზღვრება და პროდუქციის რეალური მოცულობა მხოლოდ რამდენიმე პროცენტული პუნქტით ეცემა. ეკონომიკურ კრიზისს ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც დაცემის ქვედა ზღვარი – „ფსკერი“ დროის გარკვეულ ხანგრძლივ პერიოდში გრძელდება, ამასთანავე „პიკის“ პირველ ფაზასა და „ფსკერს“ შორის აბსოლუტურ მაჩვენებელთა სხვაობა საგრძნობია.

ევროპისა და ამერიკის ეკონომიკამ კრიზისების რამდენიმე შემთხვევა გაიარა. იგი კლასიკური ფორმით მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდანაა ცნობილი. ამ საუკუნეში საქმიანი ციკლი 10-12 წლიანი პერიოდი ხასიათდება შემდგომში საქმიანი ციკლის ხანგრძლივობა 20-22 წლიან პერიოდამდე გაიზარდა. ეკონომიკური კრიზისები მოჰყვა პირველ და მეორე მსოფლიო ომებს, დამარცხებულ სახელმწიფოებში. უკანასკნელი ყველაზე საგრძნობი კრიზისი, ომების გარეშე გასული საუკუნის 30-იან წლებში განვითარდა, რაც „დიდი დეპრესიის“ სახელწოდებითაა ცნობილი. ამ მსოფლიო კრიზისის დაძლევის გზების ძიებამ წარმოშვა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების თეორია, რომელიც სხვაგვარად კეინსიანიზმად იწოდება და დღეისათვის ყველაზე გავრცელებული და პრაქტიკაში გამოყენებადი ეკონომიკური თეორიაა.

საბჭოთა პერიოდში მიღებული იყო ეკონომიკური სკოლების დაყოფა მარქსიზმად და ბურჟუაზიულ ეკონომიკურ მეცნიერებებად. დღეისათვის კი ცნობილია რამდენიმე ეკონომიკური მიმდინარეობა, რომელთაგან უმთავრესია მერკანტილიზმი, კლასიციზმი, მარქსიზმი,

კეინსიალიზმი, მონეტარიზმი, ნეოკლასიციზმი, რაციონალური ლოდინის და სხვა სკოლები. ყველა ჩამოთვლილი ეკონომიკური მიმდინარეობა მაკროეკონომიკურ ძირითად მახასიათებლად მიიჩნევენ წარმოებული პროდუქციის მოცულობას, უმუშევრობის დონეს და ინფლაციის სიდიდეს. ისინი აგრეთვე თანხმდებიან ეკონომიკური კრიზისის გამოვლენისას ჩამოთვლილ პარამეტრთა გაუარესებაში. კრიზისი აუცილებლად გულისხმობს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის საგრძნობ შემცირებას, რაც გამოწვეულია პროდუქციის რეალიზაციის შეუძლებლობით, უფრო ზუსტად რეალიზაციაში შეფერხებებით, მას კი თავის მხრივ მოჰყვება ბაზარზე ფასების დაცემა, ამიტომ მწარმოებელი იძულებულია შეამციროს წარმოება, ადგილი აქვს უმუშევრობის დონის გადიდებას, ყოველივე ეს კი მიუთითებს ეკონომიკის ან მისი რომელიმე დარგის მძიმე მდგომარეობაზე, ანუ კრიზისის დადგომაზე.

ეკონომიკური კრიზისების კლასიფიკაციაში უმთავრეს დაყოფას წარმოადგენენ მათი განცალკავება მოქმედების არეალის მიხედვით და კერძო ეკონომიკური კრიზისები.

სიტყვა „გლობალური“ ფრანგულია და თავის მხრივ იგი წარმოშობილია ლათინური გლობუსიდან (გლობუს) და ორი მნიშვნელობით იხმარება: 1) მთელი დედამიწის მომცველობა, საყოველთაოდ, 2) მრავალმხრივი, სრული, უნივერსალური სიტყვის შინაარსის ასეთი გაგებით გამომდინარე მსოფლიო კრიზისები რა თქმა უნდა გლობალურს განეკუთვნება. გლობალურად უნდა ჩაითვალოს მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ევროპაში განვითარებული კრიზისი და ასევე გლობალურს მიეკუთვნება პოსტსაბჭოთა სივრცეში განვითარებული კრიზისები, რომლებიც თავის მხრივ უამრავი განსხვავებული ნიშნითაც გამოირჩევიან.

გლობალურ ეკონომიკურ კრიზისს საჭიროა მივაკუთნოთ კრიზისი განვითარებული სახელმწიფოების ეკონომიკაში, რამდენადაც მისი

მოსახლეობისათვის კრიზისი ყველა დონეზე დამანგრეველ გავლენას ახდენს და ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესია.

გლობალური ეკონომიკური კრიზისებიდან გამოიყოფა ერთ-ერთი

სახეობა – დარგობრივი კრიზისი. ასეთი სახის კრიზისი ვითარდება არა მთლიანად ეკონომიკაში, არამედ მის რომელიმე დარგში. მაგალითად, 70-იანი წლების ენერგეტიკული კრიზისი ინდუსტრიულ სახელმწიფოებში. საქართველოში ადგილი აქვს გლობალურ ეკონომიკურ კრიზისს, რომლის ფონზეც განვითარდა დარგობრივი ეკონომიკური კრიზისები. თუ წარმოების მოცულობის მიხედვით ვიმსჯელებთ, ბოლო 15 წლის განმავლობაში მშპ-ის წარმოება დაეცა საქართველოში 12-ჯერ, რაც საკმაოდ გლობალური კრიზისის მახასიათებელია. მის ფონზე განვითარებული ეკონომიკის კრიზისი მრეწველობაში კერძო სახისაა, მაგრამ განვითარების მეტი ტემპით გამოვლინდა. ეკონომიკის აღნიშნული 12-ჯერადი დაცემი ფონზე მრეწველობის დაცემა იგივე პერიოდში 35-ჯერ და მეტად განხოციელდა ანუ ამ კრიზისის გამოვლენის დონე უფრო მწვავეა, რაც შეეხება იმერეთის რეგიონის მრეწველობას აქაც გლობალურის ფონზე განვითარებული კერძო კრიზისთან გვაქვს საქმე, სადაც გამოშვებული პროდუქციის მოცულობა 23-ჯერ და მეტადაა შემცირებული ამავე დროის პერიოდში.

დარგობრივი ეკონომიკური კრიზისების ეკონომიკური მაჩვენებლებით ასახვისათვის მეცნიერ-ეკონომისტებს შორის არ არის განსხვავებული შეხედულებები, რამდენადაც თითქმის ყველა აღიარებს დარგობრივი კრიზისების შეფასება დარგის მახასიათებელი ძირითადი ეკონომიკური პარამეტრებით. ასეთებად კი დარგის მიერ წარმოებული ან რეალიზებული პროდუქციის მოცულობა და ამ დარგში დასაქმებულთა ამავე დროს მნიშვნელოვნად აისახება საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვის მახასიათებლებით და პროდუქციის რენტაბელობის დონით. ამ უკანასკნელის შემცირება შედარებით სხვა

დარგებთან მოცემული დარგში კრიზისის მოახლოების (დადგომის) სიმპტომატიური მაჩვენებელია.

დინამიკაში პროდუქციის მოცულობის ანალიზი ახასიათებს ამ დარგის განვითარებას ან პირიქით – რეგრესიულობის დონეს. დარგის ფუნქციონირების მასშტაბებზე უპირველესად გავლენას ახდენს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევები. მეცნიერული აღმოჩენებით და მის საფუძველზე მიღწეული პრაქტიკული გადაწყვეტილებით შესაძლებელია დარგის მიერ შექმნილ პროდუქციაზე ფასების ბუნებრივი ცვლილება. ამ შემთხვევაში წარმოებული პროდუქციაზე მოთხოვნილების შემცირება შესაბამისად წარმოების მოცულობასაც შეამცირებს, რაც თავისთავად ადგილობრივი კრიზისის მიმანიშნებელია. თუმცა ამ შემთხვევაში მეტად დიდია კრიზისის ბუნებრიობა, რომლის დროსაც მისი გავლენა ქვეყნის და რეგიონის ეკონომიკის საერთო მდგომარეობაზე მინიმალურია.

ხშირად კრიზისული დარგის მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობის შემცირება გამოწვეულია არა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით, არამედ დარგში ეფექტიანობის დონის შემცირებით. დარგის მიერ გამოშვებული პროდუქციის რენტაბელობის დონე თუ ნაკლებია, ვიდრე ანალოგიური მაჩვენებლები სხვა დარგებში, მაშინ ადგილი აქვს ინვესტიციების გადინებას, რაც სერიოზულ გარემოებად ყალიბდება და მოითხოვება საგანგებო ღონისძიებათა გატარება უარყოფითი ტენდენციების შესაცვლელად.

ბოლო წლების განმავლობაში ქვეყნის მრეწველობასა და მათ შორის რეგიონის მრეწველობაში გამოშვებული პროდუქციის მოცულობის მცირე ზრდა გამოიკვეთა, მაგრამ ეკონომიკური კრიზისის დაძლევაზე ლაპარაკი ჯერ კიდევ არ შეიძლება ამ ზრდის მასშტაბებიდან გამომდინარე.

კრიზისულმა მოვლენებმა საქართველოს და მათ შორის ეკონომიკაში ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე იჩინა თავი,

მისი უპირველესი მიზეზი 80-იანი წლების ბოლოსათვის ინფლაციური პროცესების განვითარება იყო. ამ და სხვა მიზეზების შესახებ, რომლებმაც გამოიწვია სამრეწველო კრიზისი იმერეთის რეგიონში და ქ. ქუთაისში შემდეგ თავში იქნება საუბარი. ამდენად, აქ ამაზე არ შევჩერდებით.

ბოლო ათწლეულში მთლიანად ქვეყნის მრეწველობა დაღმავალი გზით მიექანება და პერმანენტულ კრიზისში გადაიზარდა. რაც შეეხება კრიზისის გამომწვევი მიზეზების შესწავლის და მისი დაძლევის ეკონომიკური თეორიის შემუშავებას საფუძველი დაედო რამდენიმე ეკონომიკურმა თეორიამ. ამ თეორიებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი კეინსიანიზმია. 1936 წელს გამოცემულმა ჯონ მეინარდ კეინსის წიგნმა „დასაქმების და ფულის ზოგადმა თეორიამ“ სწრაფად ჰპოვა აღიარება და მალე გავრცელდა მაშინდელ ახალგაზრდა ეკონომისტებს შორის, ისინი კეინსიანისტები გახდნენ. აღნიშნული თეორია საშუალებას იძლევა თავიდან იქნას აცილებული „ღრმა ვარდნის“ პროცესი ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების საშუალებით. ეს იყო თანამედროვე ეკონომიკური პროცესების შესწავლის პირველი, მაგრამ რა თქმა უნდა არა ბოლო მიდგომა. ეს თეორია მართალია იძლეოდა რეკომენდაციებს ღრმა ეკონომიკური კრიზისის თავიდან აცილებისათვის, რასაც თან სდევს უმუშევრობის და ინფლაციის დიდი მასშტაბები, მაგრამ ამ თეორიის კრიტიკული გააზრება და მას გამოუჩნდა მოწინააღმდეგენი „მონეტარისტების“ სახით. აღნიშნული მიმართულები ფუძემდებლად ითვლება ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი ილტინ ფრიდმენი. მონეტარისტებს ხელაღებით არ უყვართ კეინსის თეორია, უფრო მეტიც - ისინი დაეთანხმნენ კრიზისის გამომწვევი მიზეზების აღიარებაში. გარდა ინფლაციის ასპექტისა და ეს სინამდვილეშიც ასე იყო. მონეტარისტების ძირითადი კრედო ინფლაციური პროცესების მართვაში გამოიხატება, ფულის მასის რეგულირების გზით.

მონეტარიზმისა და კეინსიანიზმის გარდა ფართო გასაქანი ჰპოვა ე.წ. „ნაციონალური ლოდინის მაკროეკონომიკურმა სკოლამ“. მისი ფუძემდებელი იყვნენ იგივე ჩიკაგოს სკოლის პროფესორები რობერტ ლუკსის ხელმძღვანელობით. მას მოემხრო მინესიტისა და სტანფორდის პროფესორი ტომს სერჟენტი. ამ სკოლის მიხედვით კრიზისების გამომწვევი შეიძლება გახდეს მწარმოებელთა და მომხმარებელთა ფსიქოლოგიური განწყობა მომავალი პროცესებისადმი და მათი სოციალური მდგომარეობა.

დღეისათვის მაკროეკონომიკურ მართვაში დასავლეთში გამოყენებულია სამივე ეს მიმდინარეობა კომბინირებულად, რაც შეიძლება მოკლედ ჩამოყალიბდეს ეკონომიკური პროცესების მართვის სახელმწიფო რეგულირებაში, მონეტარული პოლიტიკის რაციონალურ განხორციელებაში და ლოდინის ფსიქოლოგიური განწყობის თეორიაში. სხვა სიტყვებით ეკონომიკის ნორმალური, პროპორციული და დაბალანსებული განვითარება მიიღწევა, თუ დაცულია თანაფარდობა მიწოდებისა და მოთხოვნილებას შორის, ამავე დროს მოთხოვნილება შესაბამისობაში იმყოფება მოსახლეობის კულტურის და განათლების დონესთან, ხოლო მოწოდება შეიძლება გაიზარდოს განყენებული-ღირებულებითი მაჩვენებლებით, რამდენადაც სახელმწიფოებს შორის კოოპერაცია სხვაგვარი მეთოდების გამოყენებას გამორიცხავს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ მრეწველობაში კრიზისულმა მოვლენებმა ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის განცხადებაზე იჩინა თავი. მისი უპირველესი მიზეზი 80-იანი წლების ბოლოსათვის ინფლაციური პროცესების განვითარება იყო. 1991 წელს რუსი მეცნიერის ს. რიმანის გათვლებით სსრკ-ს ტერიტორიაზე ნაღდი ფულის სიდიდე მიმოქცევაში 139 მლრდ. მანეთი იყო და გარდაქმნის პერიოდში (1986-1990წ.წ.) გაიზარდა 2-ჯერ, მაშინ როცა პროდუქციის და მომსახურების მოცულობა მხოლოდ 1,4-ჯერ დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილების მოცულობა 238 მლრდ. მანეთს შეადგენდა და იგივე პერიოდში – 4-ჯერ

გაიზარდა. მხოლოდ 1991 წლის იანვარში იძულებითმა დანაზოგმა 5,5 მლრდ. მანეთი შეადგინა უფრო უარესი მდგომარეობა შეიქმნა საქართველოში და მით უმეტეს იმერეთის რეგიონში 1985 წელს ყველა წინა წელთან შედარებით ჩვენს რესპუბლიკაში ყველაზე მაღალი ემისიის დონე იყო. მიუხედავად ამისა მომდევნო ხუთწლედში სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტებმა მოსახლეობის შემოსავლების დონე 2,6 მლრდ. მანეთით დაგეგმა, ვიდრე ხარჯები. ასეთი მაჩვენებელი წინა ხუთ წელიწადში 773 მლრდ. მანეთით იყო [42]. ანუ ამ უარყოფითი მაჩვენებლის მატება თითქმის 3,5-ჯერ მეტი სიდიდით დაიგეგმა, ხოლო პრაქტიკულმა რეალიზაციამ გაცილებით მაღალი სიდიდე აჩვენა, რის გამოც შეიქმნა დისპროპორციები, როგორც სამომხმარებლო ბაზარზე, ასევე სამრეწველო საწარმოთა მომარაგების მხრივ. საწარმოებს გააჩნიათ საბრუნავი საშუალებები ფულის სახით, მაგრამ ვერ ხდებოდა მისი რეალიზაცია, ხარჯვა. ამიტომ ეს საწარმოები ვერ უზრუნველყოფდნენ უმეტესწილად ფართო მოხმარების საქონლის წარმოების მოცულეობებს, ხოლო ზოგჯერ ძირითად მაპროფილებელი პროდუქციის წარმოებასაც კი, რომლის მოცულობაც ცენტრალიზებულად განისაზღვრებოდა და მისთვის ნედლეულისა და მასალების მიწოდებაც, ასევე გარანტირებული იყო ცენტრალიზებულად. ყოველივე ამან მცირე მასშტაბის, მაგრამ გარკვეული დისბალანსები წარმოშვა პროდუქციის წარმოების მოცულობებსა და მასზე მოთხოვნილებას შორის, მაგრამ არა ისეთი დისბალანსი, რომლის კლასიკური ნიმუშია თავისუფალი ბაზრის პირობებში შესაბამისობის დარღვევა წარმოება-მოხმარებას შორის.

საბჭოთა კავშირში არსებობდა შეუსაბამობა დახარჯული შრომის ანაზღაურებასა და შრომის მოცულობას შორის. ამ ქვეყნის წლებისათვის იყო, რაც შეიძლება დღევანდელ 200 აშშ დოლარს გავუტოლოთ უხეშად, რადგან ოფიციალური კურსი მანეთისა მეტი იყო ვიდრე დოლარის (1 აშშ დოლარი – 0,86 მანეთი), მაგრამ შავ ბაზარზე თანაფარდობა გაცილებით უარყოფითი აღინიშნებოდა (1 აშშ დოლარი იყიდებოდა 2

მანეთად და მეტად). ამ დროს კი მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლების სიდიდე იაპონიაში, რომელიც ამ მაჩვენებლის პირველ ადგილზე გავიდა, შეადგენდა 23 ათას აშშ დოლარს წელიწადში, თვეში 1900 აშშ დოლარს, შესაბამისი მაჩვენებელი გერმანიაში იყო წლიურად 21100 აშშ დოლარი. თვეში 1758 აშშ დოლარი, ამერიკაში 18163 წლიურად, თვეში – 1513, შემდეგ შემოსავლების მიხედვით მოდიოდა იტალია, ინგლისი და ა.შ. [43]. ამ სახელწიფოებში შრომის ანაზღაურების დონე რამდენჯერმე მაღალი იყო, ვიდრე საბჭოთა კავშირში. ამიტომ დემოკრატიული პროცესების განვითარებასთან ერთად, აუცილებელი ხდებოდა ამ მაჩვენებლის გაუმჯობესებაც, რომლისთვისაც მაშინდელმა ხელისუფლებამ ყველაზე ცუდი-ემისიის გზა აირჩია. შედეგად მოსკოვის ეკონომიკის ინსტიტუტის მონაცემებზე, მანეთის კურსი ყოველწლიურად ეცემოდა 8,4%-ით; 1989 წლისათვის კავშირის მასშტაბით ბრუნვაში იყო 750 მლრ. მანეთი, მათგან 310 მლრდ. ბანკში ინახებოდა საქართველოს ბანკებში არსებული თანხები დაახლოებით 1,5 მლრდ. მანეთის ტოლი იყო. [44].

ემისიური პროცესების უარყოფითი გავლენის შესუსტებისათვის 1990 და 1991 წლებში, განხორციელდა ფულის რეფორმა, რომელიც უშუალოდ საქართველოსაც შეეხო, რადგან იგი ჯერ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, ხოლო შემდეგ სამანეთო ზონაში იმყოფებოდა აღნიშნული რეფორმები ეხებოდა მხოლოდ ნაღდი ფულის ნიშნებს და ამიტომ მნიშვნელოვანი ცვლილებები სამრეწველო საწარმოთა ანგარიშებზე არსებული ფულადი მასისათვის არ მოუხდენია. შესაბამისად რჩებოდა ის ურაყოფითი მოვლენები, რაც გამოწვეული იყო თანხის არსებობით და მისი სასაქონლო დაუბალანსებლობით.

გაცილებით რთული მდგომარეობაში შეიქმნა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, რამაც კიდევ უფრო გააუარესა სამრეწველო საწარმოთა მომარაგება – ნედლეულით და მასალებით. როგორც რუსეთიდან, ასევე ხარჯვის სხვა

რესპუბლიკებიდან გარკვეული პრობლემები გაჩნდა წარმოებული პროდუქციის გასაღების მხრივაც. ამას ემატებოდა ნაღდი და ანგარიშებში არსებული ფულადი მასების სხვადასხვა მსყიდველუნარიანობაც. ამიტომ 1991 წლიდან საქართველოში და მათ შორის იმერეთის რეგიონში სამრეწველო პროდუქციის მოცულობა მცირდებოდა. თუმცა ეს შემცირება არც ისე მასშტაბური იყო და თავისუფლად ჯდებოდა ჩვეულებრივი საწარმოო კრიზისების გამოწვეული ვარდნის პარამეტრებში. საწარმოთა ფუნქციონირების ასეთ შესაძლებლობებს განაპირობებდა მარაგებს საკმაო სიდიდეები სამრეწველო საწარმოებში, როგორც მატერიალურ ფასეულობათა სახით, ისე ანგარიშზე ფულადი მასის სახითაც.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ყოფილი რესპუბლიკები და მათ შორის საქართველო რჩებოდნენ სამანეთო ზონაში. ამასთან ერთად საქართველოს ცენტრობანკი (შემდეგ ეროვნული ბანკი) ახორციელებდა ფულის ემისიას, რა თქმა უნდა უნაღდო ფულის სახით, რამაც ძალიან გაზარდა შეუსაბამობა ნაღდ და ანგარიშზე არსებული ფულად მასას შორის. ამ პროცესს თან სდევდა სამრეწველო საწარმოთა კუთვნილი თანხების პროპორციული გაუფასურება, ილეოდა საწარმოო მარაგები მატერიალურ ფასეულობათა სახით, ხოლო ანგარიშზე არსებული თანხები მიუხედავად მათი რიცხობრივი სოლიდარობისა, უმნიშვნელო შეიქმნა ყოველივე ამას კი მოჰყვა სამრეწველო საწარმოთა წარმოების მოცულობების მკვეთრი შემცირება. აღნიშნული პროცესები კიდევ უფრო გარღმავდა საკუთარი ფულადი ნიშნების - კუპონების შემოღებამ და ე.წ. ლიბერალურ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებამ. 1993-1994 წლებში ასეთი ლიბერალური პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებას არავითარი ეკონომიკური გამართლება არ მოეძებნება. საწარმოთა ანგარიშზე რიცხული თანხები მანეთიდან ავტომატურად გადადიოდა კუპონებზე, ხოლო კუპონის შემოღებისათვის 1993 წლის აპრილში ორასი კუპონით შეიძლებოდა 1 აშშ დოლარის ყიდვა, ან 1 კუპონით 1

მანეთის შეძენა, 1994 წლის დასაწყისისათვის ინფლაციამ ისეთ მაღალ ტემპებს მიაღწია, რომ აშშ დოლარის შესაძენად საჭირო იყო 2 მილიონ 300 ათასი კუპონი, ხოლო 1 რუსული რუბლისათვის – 4 ათასი კუპონი. კუპონის შემოღების შემდეგ, დროებით ფულად ერთეულად, მისმა ინფლაციამ, არსებობის ორი წლის მანძილზე არნახული დონეს მიაღწია და მისი ღირებულება 38-40 ათასჯერ დაეცა. ინფლაციის ასეთი ტემპი გაუმართლებელი საკრედიტო პოლიტიკის გატარებით იყო განპირობებული. აღნიშნულით საწარმოთა საბრუნავი სახსრები გაუფასურდა. ისინი ფაქტიურად სახსრების გარეშე დარჩენ და მარაგების ამოწურვის შემდეგ ფუნქციონირება შეწყვიტეს. მომდევმნო პერიოდში მართალია მოხდა კუპონის ნაწილობრივი გამყარება და დღევანდელი მოქმედი ვალუტის - ლარის შემოღების პერიოდისათვის (1995 წლის ოქტომბერი) 1 აშშ დოლარის შესაბამისობა კუპონთან ტოლი იყო 1:1300 ათასისა, მაგრამ ასეთი თანაფრდობაც, რა თქმა უნდა მიმდინარე უარყოფით პროცესებს ვერ შეაჩერებდა. ამიტომ საქართველოს მთლიანად და იმერეთის რეგიონის მრეწველობა ჩავარდა ღრმა ეკონომიკურ კრიზისში, რომლის დაძლევაც უკვე ძალიან რთული შეიქნა. ამას ადასტურებს ისიც, რომ ევროკომისიის მრჩეველთა ჯგუფის მიერ მომზადებულ რეკომენდაციებში, საქართველოს სახალხო მეურნეობის დარგებს შორის ყველაზე სავალალო შეფასებას სწორედ მრეწველობა იმსახურებს. აღნიშნულმა მრჩეველთა ჯგუფმა თავიანთი ანგარიში 1994 წლის დეკემბრისათვის მოამზადეს. მასში ხაზგასმით აღნიშნულია: „საქართველოს მრეწველობის დაქვეითებამ, რომელიც გამოწვეული იყო საბჭოთა კავშირის დაშლით და აგრეთვე თვით საქართველოში არსებული ეკონომიკური ხასიათის პრობლემებით, ისეთი მასშტაბები მიიღო, რომ ამჟამად მრეწველობის აღდგენის შესახებ მსჯელობა მოკლე პერიოდის განმავლობაში, უწინდელად თუნდაც მცირედ მიმსგავსებული ფორმით, შეუძლებელია. საჭიროა თავის შეკავება იმ ცდუნებისაგან, რომ ტექნიკური დახმარება იქნება ეს თუ

კაპიტალდაბანდების პროექტებისათვის მხარდაჭერა, მიმართული იქნას წინათ არსებული სამრეწველო პოტენციალის ფორმალურად აღსადგენად. საწარმოებს არა აქვთ სხვა ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ თვით მოძებნონ ახალი დამკვეთებიც და მომწოდებლებიც და არ დაეყრდნონ სახელმწიფო საგეგმო სისტემას [45].

მართალია კრიზისში იყოფება საქართველოს ეკონომიკა მთლიანად, მაგრამ იმერეთის რეგიონში განსაკუთრებულად უარყოფითი ტენდენციებით ხასიათდება. აღნიშნულის საილუსტრაციოდ შეიძლება ვისარგებლოთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილით, სადაც მოცემულია სამრეწველო პროდუქციის მოცულობათა შედარება ნატურალურ მაჩვენებლებში 1980 წ. და 1995 წლისათვის. ქ. ქუთაისი მაგალითზე იხ. ცხრილი 9.

როგორც, ცხრილიდან ჩანს სამრეწველო პროდუქციის მოცულობამ 1995 წელს 1990 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად იკლო.

მრეწველობის ასეთი ფართო მასშტაბით დაცემა ბევრი ობიექტური და ბევრიც სუბიექტური ფაქტორებით არის გამოწვეული. სამრეწველო პროდუქციის მოცულობის შემცირებამ შესაბამისად ამ სფეროში დასაქმებულთა მაღალკვალიფიციური კადრების შემცირება გამოიწვია. 1995 წელს მუშაკთა საშუალოწლიური რიცხოვნობა იმერეთის რეგიონში შეადგენდა 40,5 ათას კაცს, ხოლო 2002 წელს ამ მაჩვენებელმა შეადგინა 17,7 ათასი კაცი მრეწველობაში კადრების დაუსაქმებლობა უარყოფითად მოქმედებს ახალგაზრდა ტექნიკური კადრების მომზადებაზე. ქვეყნის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლები უკვე ინჟინერთა მომზადების დეფიციტს განიცდის და მომზადების დონეც შედარებით დაბალია, შესაბამისი პრაქტიკის გავლის შეუძლებლობის გამო. ამიტომ საინჟინრო სპეციალობები დღევანდელი საქართველოს ახალგაზრდებში ვერ სარგებლობს შესაბამისი ავტორიტეტით, რაც უარყოფითად მოქმედებს საქართველოს და მით უმეტეს იმერეთის რეგიონში მრეწველობის აღორძინებაზე.

ცხრილი 5

მრეწველობაში სახეობათა პროდუქციის წარმოება ნატურალურ გამოსახულებაში ქ. ქუთაისში 1990-1995 წლებში

№	პროდუქციის დასახელება	ზომ. ერთ.	1990	1991	1992	1993	1994	1995	1995წ %-ით 1990 წელთან შედ.
1.	ავტომანქანები	ც.	5736	2670	650	384	137	209	3,6
2.	ელექტრომან-ქანა ,,პედ"	ც.	11265	8669	2759	2257	-	-	-
3.	მოტობლოკი ,,სუპერ 600"	ც.	7523	5396	3459	1999	971	840	11,1
4.	ლითოფონი	ტ.	16441	10255	3901	2619	587	58	0,4
5.	შაბიამანი	ტ.	7818	4775	-	-	-	-	-
6.	ფორმირებული რეზინის ტექნიკური ნაკეთობა	ტ.	5601	3933	480	1361	200	72	1,3
7.	არაფორმირებ.	ტ.	681	425	425	18	5,3	3	0,4
8.	რეზინის ტექნიკური ნაკეთობა	ათას იკვ/თ	816340	528959	658081	511106	423288	443181	54,3
9.	ელექტროენერგ.	ათასი გრძ.მ	597	489	-	207	0,5	-	-
10	შალის ნართი	ათასგრძ.მ	20452	13567	3741	1918	465	373	1,8
11.	აბრეშუმის ქსოვილი	ათ. წყვ.	2811	1729	473	325	42	7	0,3
12	ფეხსაცმელი	ტ.	11943	4783	473	325	47	167	1,4
13.	საკონდიტრო ნაწარმი	ათ.პირ	17065	11742	2404	3115	1212	814	4,8
14	კონსერვი	ქილა	1027	688	430	194	86	85	8,3
15	ღვინო	ათ.დეკ	711	619	305	223	167	151	21,2
16	ლუდი	ლიტ.	80774	78171	68584	68070	60482	48493	60,0
17	ფქვილი	ათ. დეკ	1050	541	97	18	25	4	0,4

შემდეგი ძირითადი მიზეზი ასეთი ღრმა კრიზისის განვითარებისა მდგომარეობს გაუმართლებელ საპრივატიზაციო პროცესსა და კაბალურ საგადასახადო სისტემაში. საწარმოების უმეტესობა ნულოვან აუქციონზე მიზერული ფასად გაიყიდა, მაშინ როცა საგადასახადო გარემო მისი ფუნქციონირების საშუალებას

ფაქტიურად არ იძლეოდა. ამიტომ მესაკუთრეებმა, ჩაიგდეს რა ძალიან იაფად საწარმოო სიმძლავრეები ხელში, მათი ამუშავების მაგიერ, მიმართეს საწარმო სიმძლავრეების, უმეტესად მანქანა-მოწყობილობების ექსპორტირებას უცხოეთში და ჯართის სახით. რამდენადაც საგადასახადო კანონმდებლობისაგან გამომდინარე შემოსავლები, რაც შეიძლება ნაკლები ეჩვენებინათ. არსებული კანონით, ექსპორტი განთავისუფლებულია გადასახადისაგან, დ.ღ.გ. იბეგრება ნულოვანი განაკვეთით, ამიტომ სახელმწიფოს და საზოგადოებას ამ პროცესიდან თითქმის არავითარი შემოსავლები არ მიუღია, მაშინ როცა საწარმოო სიმძლავრეები თითქმის სრულად გავიდა ქვეყნიდან. დღეისათვის დარჩენილია მხოლოდ ის მანქანა-მოწყობილობები, რომელთა მომხმარებელი უცხოეთში ვერ მოიძებნა. ამ პროცესთა გავლენით შემცირდა ძირითადი ფონდების მოცულობები როგორც საქართველოს მრეწველობაში მთლიანად ისე იმერეთის რეგიონში. უმნიშვნელოა ინვესტიციებიც ამ დარგში.

აღნიშნული ფაქტორებს დაემატა სსრკ-ს დროს ჩამოყალიბებული მჭიდრო კოოპერირებადი კავშირების მოშლა. საქართველოს მრეწველობის საწარმოები რუსეთიდან შემოტანილი ნედლეულზე მუშაობდა, რისი მოწოდებაც შეწყდა. მთავრობის მიერ გატარებულმა ზოგიერთმა – უმეტესად ერთჯერადმა ღონისძიებებმა მდგომარეობა ვერ გამოასწორა და მივიღეთ ის სურათი, რაც დღეისათვის არსებობს: უკიდურესად შემცირებული საწარმოო სიმძლავრეები, უმოქმედოთ არსებული სამრეწველო საწარმოები, დასაქმებულთა მიზერული რაოდენობა შრომისუნარიან მოსახლეობასთან მიმართებაში. **მშპ**-ის უკიდურესი შემცირება, მოსახლეობის შემოსავლების ძალიან დაბალი დონე – მოკლედ ღრმად განვითარებული ეკონომიკური კრიზისი, რომლის აღმოფხვრაც მეცნიერულად დასაბუთებული ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით, ხელისუფლების და მოსახლეობის ერთიანი ძალისხმევით თუ მიიღწევა.

2.3 მრეწველობის განვითარების მაკროეკონომიკური პრობლემები და მისი გადაჭრის გზები

საბაზრო ურთიერთობების განვითარება გულისხმობს დამოუკიდებელი ეკონომიკური ერთეულების თავისუფალი ურთიერთობებს. ამ შემთხვევაში საფინანსო, შრომითი და სასაქონლო ნიშნით განსაზღვრული კავშირები ყალიბდებიან და ქრებიან ბაზარზე, ამის შესაბამისად დღის წესრიგში დგება საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარება, ისე, რომ იგი იყოს მოხერხებული კომერციული ოპერაციების განხორციელებისათვის.

დღეისათვის საბაზრო ინფრასტრუქტურა მოიცავს ძირითადად 4 სახის ბაზარს. სავალუტო, საფინანსო, სასაქონლო და შრომითს. სპეკულაციური ნიშნის გავლენის მინიმუმადე შემცირების მოთხოვნილების გამო, ბაზრები საჭიროა იყვნენ ორგანიზაბულნი, წარმომადგენელი შესაბამისი ბირჟების სახით და რეგულირებადი, როგორც მსოფლიოში აღიარებული წესებით, ასევე ქვეყანაში მოქმედი კანონებითა და ნორმატიული აქტივებით.

საქართველოს საბაზრო ინფრასტრუქტურიდან დღეისათვის ჩვენთან ყველაზე მოწესრიგებულად მიიჩნევა სავალუტო ბაზარი, იგი გულისხმობს სავალუტო ურთიერთობებს ეროვნულ და კომერციულ ბანკებს, კომერციულ და საკრედიტრო დაწესებულებებს, კომერციულ-საკრედიტო ინსტუტიტებსა და კლიენტებს შორის. ეროვნული ბანკსა და სხვა კომერციულ საკრედიტო ინსტიტუტებში ურთიერთვაჭრობა, რაც განსაზღვრავს ეროვნული ვალუტების კურსის შესაბამისობას სხვა ქვეყნების ვალუტებთან მიმართებაში ხორციელდება უპირატესად საქართველოს ეროვნული ბანკთან „ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე“. ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურად ფუნქციონირებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია ეროვნული ვალუტის სტაბილური გაცვლის კურსების შენარჩუნება სხვა წამყვან სახელმწიფოთა ეროვნული ვალუტებთან

მიმართებაში, ასევე ვალუტის ინფლაციის ტემპების ისე შენარჩუნება, რომ იგი არ გამოვიდეს საყოველთაოდ აღიარებული ინფლაციის ტემპების გარეთ.

საქართველოს მოქმედი ეროვნული ვალუტა – „ლარი“ მიმოქცევაში შემოვიდა 1995 წლის ოქტომბრიდან. მანამდე 1993 წლიდან მიმოქცევაში იყო ე.წ. გარდამავალი ფულის ერთეული „კუპონი“. ამ უკანასკნელის შემოღებიდან აღებული იქნა ოფიციალური კურსი 1 კუპონი=1რუბლს, მაგრამ აშშ დოლარი 200 კუპონად იყიდებოდა. კუპონის შემოღებიდანვე, უკვე ერთ წელიწადში 1 აშშ დოლარი 2 მილიონ 300 ათასი კუპონი იყო ანუ მისი კურსი 11500-ჯერ დაეცა. აღნიშნულის მიზეზი სახელმწიფოს მხრიდან გატარებული ყოვლად გაუმართლებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა გახლდათ. ბუნებრივია 1993-95 წლებში ლარის შემოღებამდე კუპონის ავტორიტეტი ნულის ტოლფასი იყო ეკონომიკური სუბიექტებისა და მოსახლეობისათვის. იგი სრულყოფილად ფულის ვერც ერთ ფუნქციას ასრულებდა. ლარის შემოღებიდან ეროვნული ბანკი მის მიმართ ატარებდა „მართვადი მცურავი კურსის" პოლიტიკას. 1996 წელს ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 3,1 პროცენტით დაეცა (1,27-დან 1,28-მდე). 1997წელს ლარის კურსი აღნიშნულთან მიმართებაში კიდევ 3%-ით დაეცა (1,28-დან 1,32-მდე). 1998 წლის 5-6 სექტემბერს (არასაბანკო დღეებში) ვალუტის გადამცვლელი პუნქტებში უეცრად დაეცა და ერთი აშშ დოლარი უკვე 1,8-2 ლარზე იცვლებოდა. ლარის კურსის შესანარჩუნებლად ეროვნულმა ბანკმა დაიწყო მასშტაბური ინტერვენციის განხორციელება სავალუტო ბირჟზე, რასაც მართალია ვალუტის დროებითი გამყარება მოჰყვა, მაგრამ მისი უარყოფითი შედეგები გაცილებით დიდი იყო. ლარის ნდობის დაკარგვის გამო უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნილება, მაღალი იყო, ვიდრე ბანკთაშორის სავალუტო ბირჟა აფიქსირებდა. ეს კი იძლეოდა საფუძველს ფართო მასშტაბიანი სპეკულაციისათვის, რაშიც მონაწილეობდა კომერციული ბანკებიც. ბანკები ბირჟაზე აშშ დოლარს

ყიდულობდა შედარებით დაბალი ფასით და მის გადაცვლას შესაბამის პუნქტებში ახორციელებდა გაცილებით მაღალი კურსით, ამით მცირდება სახელმწიფოს სავალუტო რეზერვები და ცუდად მოქმედებდა საწარმოთა დაკრედიტებაზე.

საქართველოს ეროვნული ფულადი ერთეულის ერთეული „ლარის“

კურსის ცვლილება მისი გაიაფების თუ გამყარების მიმართულებით დროის მცირე მონაკვეთებში უარყოფითად მოქმედებს მისდამი ნდობის ფაქტორის ამაღლებაზე და შესაბამისად საწარმოო აქტივობაზე, მათ შორის სამრეწველო საწარმოების კომერციული გეგმების წარმატებით გატარებაზე, ამიტომ 2004 წლის დასაწყისში „ლარის“ კურსის თითქმის 10 %-იანი გამყარება – მისი კურსის ცვლილება 1 აშშ დოლართან მიმართებაში 2,25-დან 1,9750-მდე თითქმის ერთი შეხედვით დადებითად შეიძლება შეფასდეს ეკონომიკური ცხოვრების რიგ სეგმენტებში, მაგრამ მატერიალური წარმოების აქტივობის მხრივ მისი გავლენა პირუკუ ხასიათის მატარებელია.

საბაზრო ინფრასტრუქტურის შემდეგი სეგმენტი – საფინანსო ბაზარი, ანუ როგორც მას უწოდებენ, ფასიანი ქაღალდების ბირჟა საქართველოში ეხლა იკიდებს ფეხს და მისი სრულად ამოქმედებისათვის მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორებია ხელისშემშლელი. უპირველესი მიზეზი ფასიანი ქაღალდების ბაზრის განუვითარებლობისა ჩვენთან შექმნილი სააქციო საზოგადოებების აქციათა ღირებულების არარეალობაში ძევს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ჩამოყალიბებულია საკამო რაოდენობის სააქციო საზოგადოებები, აქციებიდან რეალურ შემოსავალს იღებენ მხოლოდ ის მესაკუთრეები, რომლებიც აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელი არიან. სხვა „წვრილი“ აქციონერების მიერ მიღებული დივიდენდები ან ძალიან მცირეა აქციათა ღირებულებასთან მიმართებაში, ან სრულებითაც ვერ იღებენ დივიდენდებს, რამდენადაც ოფიციალური დოკუმენტაციით, მცირე გამონაკლისის გარდა, ეკონომიკური

სუბიექტები საფინანსო წელს ზარალით ან მინიმალური მოგებით ამთავრებენ

ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებაში მნიშვნელოვანი ბერკეტები გააჩნდა და დღესაც გააჩნია სახელმწიფოს. სახელწიფო საწარმოების მნიშვნელოვანი ნაწილი გარდაიქმნენ რა სააქციო საზოგადოებებად, აქტივების პრივატიზაცია მოახდენს ტენდერის გამოცხადებით ან ქონების მართვის სამინისტროში გამართული აუქციონებზე. მაშინ როცა უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა აქციათა ნომინალურ ღირებულების უფრო დიფერენციაცია და ამ აქციათა ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე რეალიზაცია. ეკონომიკის სამინისტროს დღესაც შეუძლია საპრივატიზაციო ობიექტების ნაწილის პრივატიზება მაინც მოახდინოს ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის ორგანიზებული სტრუქტურა ჩამოყალიბებულია. მისი სრულად ამოქმედებისათვის აუცილებლობას წარმოადგენს საწარმოებში სააღრიცხვო საქმის მოწესრიგება, ობიექტების აქციათა ბირჟის მეშვეობით, რეალიზაცია და ბირჟაზე გამოტანილი აქციების რაოდენობის გაზრდა ვაჭრობაში მონაწილე სააქციო საზოგადოებათა რიცხვის ზრდის საშუალებით.

საფონდო ბირჟის ნორმალურად ფუნქციონირების შემთხვევაში, იგი ეფექტიანი და პროგრესული საწარმოების დაკრედიტების ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს. გაყიდული აქციების ღირებულებით შესული თანხები სამრეწველო საწარმოებს, რომლებიც აუცილებლად წარმოადგენენ განვითარების პერსპექტივის მქონეს, მათთან ადგილზე ბაზრის არსებობის გამო, გაუჩნდათ ფულადი სახსრები ძირითადი კაპიტალის განახლებისათვის და საბრუნავი საშუალებების მნიშვნელოვნად შესავსებად. ამასთან საფონდო ბიჟაზე აქტივების კოტირებით შესაძლებელია ამა თუ იმ საწარმოს რეალური საბაზრო ფასის დადგენა და მისი ცვლილების დინამიკის ანალიზი. ამასთან სრულად მოქმედი საფონდო ბირჟები საბაზრო ეკონომიკის ძირითადი

პრინციპის – კერძო ინიციატივის – ერთ-ერთი ყველაზე მეტად გამოხატული სფეროა.

საბაზრო ინფრასტრუქტურა ვერ იქნება სრულყოფილი თუ საქართველოში ფართო გასაქანი არ მიეცა სასაქონლო ბირჟების ქსელს.

სასაქონლო ბირჟების შექმნა, როგორც წესი წინ უსწრებს სავალუტო და საფინანსო ბირჟების ფორმირებას, ჩვენთან კი ფაქტიური მდგომარეობა ასეთია: ფუნქციონირებს ბირჟების დანარჩენი სასკომები, გარდა სასაქონლო ბირჟებისა. 1990 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარირებისას, როდესაც იგი ჯერ კიდევ არ იყო არც ერთი სახელმწიფოს მიერ აღიარებული, თბილიშსი შეიქმნა რამდენიმე სასაქონლო ბირჟა, მათ შორის ღვინის და ჩაის ბირჟები, მაგრამ მათ დიდი გასაქანი ვერ ჰპოვეს და 1992 წლისათვის უკვე აღარ ფუნქციონირებდნენ.

დღეისათვის საქართველოში რეგისტრირებულია რამდენიმე სასაქონლო ბირჟა, მაგრამ მათი ფუნქციონირება ვერ ხორცილდება. ამის მიზეზი შესაბამისი საბირჟო კანონმდებლობის უქონლობასთან ერთად მრეწველობის სტაგნაცია, კლანური ეკონომიკა, ეკონომიკაში კორუფციული სფეროს დიდი წილი და პარალელურად სხვა სახის ბირჟათა არასაკმარისი განუვითარებლობაა. საერთოდ, სასწრაფოდაა მისაღები ზომები სასაქონლო ბირჟების ორგანიზაციის უზრუნველსაყოფად, რომელიც აუცილებელი ატრიბუტია სამრეწველო საწარმოების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების და პროდუქციის გასაღების ეფექტური ორგანიზაციული სტრუქტურის ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

საბაზრო ინფრასტრუქტურის აუცილებელ ატრიბუტს, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი აკისრია ეკონომიკური კრიზისის დაძლევის საქმეში, წარმოადგენს შრომითი ბირჟები. შრომითი ბირჟების ქსელი თითქმის ყველა, საშუალოდაც კი განვითარებული სახელმწიფოებშიც ფართოდაა წარმოდგენილი. ისინი კადრების დასაქმების ძირითადი

ამოცანის პროცესებსაც წარმართავენ. ამავე დროს შრომითი ბირჟების მონაცემები ზუსტად უნდა ასახავდეს ნებისმიერი კატეგორიის უმუშევართა რიცხოვნობას შესაბამისი ორგანიზაციულ ტექნიკური ღონისძიებების გატარებისათვის. საქართველოში კი ასეთი ბირჟები, მართალია ფუნქციონირებენ, მაგრამ მათი ავტორიტეტი მოსახლეობაში და სამუშაოს მაძიებლებში ძალზე დაბალია. ეს გამოწვეულია უპირველესად მისი ფინანსური უზრუნველყოფის არასაკმარისობით, რამდენადაც ყოველი დასაქმებული ხელფასიდან აღნიშნული ბირჟისათვის განკუთვნილი დასაქმების ფონდში გადარიცხავს მხოლოდ 1%-ს გამოწერილი – თავდაპირველი ხელფასიდან, ამიტომ შესაბამისად მცირეა აღნიშნული ფონდის შემოსაველბიც, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ მიმართებით ბოლო 8 წლის განმავლობაში თანხები არ გამოყოფილა.

შრომითი ბირჟების წვლილი დასაქმებულთა საერთო რიცხოვნობაში ძალიან მოკრძალებულია. ინფლაციური სტატისტიკით ისინი მხოლოდ 2-3 ათასი კაცის დასაქმებას ახერხებდა და ამ დასაქმებულთა შრომითი მოწმობის ადგილზე დაყოვნების დროც ძალიან მცირეა – ერთ წლამდე. ამასთან უმუშევრობის გამო დახმარების სიდიდე ძალიან მცირეა. ამიტომ უმუშევართა უმეტესობა რეგისტრაციას არ გადის შრომითი ბირჟაზე. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით დაქირავებული შრომითი დაკავებულთა რიცხოვნობას განსაზღვრავს 600 ათასი კაცით, ხოლო მცხოვრებთა რიცხოვნობას 4,3 მლნ. კაცით, ანუ შრომისუნარიანი მოსახლეობის რიცხოვნება ამ შემთხვევაში 2,15 მლნ. კაცი მაინცაა, აქედან სამუშაოს მაძიებლები არ შეიძლება 2 მლნ.-ზე ნაკლები იყოს და ფაქტიურად უმუშევართა დონეც რამდენჯერმე აღმატება ოფიციალურად განცხადებულს.

საქართველოს ეკონომიკის განთავისუფლება კლანებისაგან, საგადასახადო სისტემის გამარტივება, საკრედიტო დაწესებულებათა ქსელის განვითარება მაკროეკონომიკურ ღონისძიებებთან ერთად

შექმნის წინა პირობებს საბაზრო ინფრასტრუქტურის – ძირითადი საბაჟო სტრუქტურების, წარმატებით განვითარებისათვის.

ეკონომიკის ცალკეულ სექტორებში კრიზისის აღმოსაფხვრელად უდიდესია სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკის რეგულირების როლი. საქართველოს მთავრობა, საყოველთაოდ აღიარებული სახელწიფო რეგულირების სისტემიდან, უმეტეს მექანიზმებს პრაქტიკაში არ იყენებს. ჯერჯერობით საქართველოს მაკროეკონომიკური მმართველობა ხასიათდება ეფექტიანობით. მის გარეშე კი შეუძლებელია შეიქმნას წარმატებული სამეწარმეო და ბიზნეს გარემო. თუ კონკრეტული საწარმოთა ფუნქციონირების შედეგები უმეტესწილად თვით ამ საწარმოს მენეჯმენტებით და მასთან დაკავშირებული ადგილობრივი ფაქტორებით განისაზღვრება, როდესაც საქმე გვაქვს ეკონომიკის დაცემასთან ან მისი რომელიმე დარგის ჩვენს შემთხვევაში იმერეთის მრეწველობის კრიზისთან.

მაკროეკონომიკური პრობლემის ერთ-ერთი უმთავრესი გამოვლენა, რაზეც დამოკიდებულია იმერეთის და ქ. ქუთაისის მრეწველობის ეფექტიანობა, მნიშვნელოვანად განისაზღვრება მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით და მის ბაზაზე ჩამოყალიბებული საგადასახადო გარემოთი.

საგადასახადო გარემოს განსაზღვრავს საგადასახადო კოდექსი და მის შესაბამისობაში არსებული საბაჟო კოდექსი. საგადასახადო კოდექსის დამთგუნველი მოქმედებას დღეისათვის უკვე აღიარებენ არა მარტო ეკონომიკურ და ბიზნეს წრეებში, არამედ სახელწიფო სტრუქტურებშიც. მომზადდა კიდევ ცვლილებები საგადასახადო კოდექსში ფინანსთა სამინისტროს მიერ, იგი მიიღო პარლამენტმა და ძალაშია 2005 წლის იანვრიდან.

საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული იყო 19 დასახელების გადასახადთა გამოყენება, ამათგან 15 დასახელება

მიჩნეული იყო ცენტრალური ბიუჯეტის გადასახადებად, ხოლო 4 ადგილობრივი სახის გადასახადებად.

მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოებში გამოყენებული საგადასახადო სისტემა ეკონომიკურ მეცნიერებაში კლასიფიცირდება სხვადასხვა ნიშნების მიხედვით და მისგან დამოკიდებულებით უმეტესწილად განასხვავებენ: პროპორციულ და არაპროპორციულ, რეგრესიულ და სხვა საგადასახადო სისტემებს. საქართველოს საგადასახადო სისტემა შეიძლება დახასიათდეს, როგორც პროპორციული, არადიფერენცირებული, მკაცრი სისტემა, რადგანაც იგი არ ითვალისწინებს გადასახადთა ტარიფების დიფერინცირებას ცალკეული დარგების და ეკონომიკის სექტორების მიხედვით. ამასთან გადასახადთა სახეობები მრავალრიცხოვანია, განაკვეთები მაღალია, გამოანგარიშების წესი ერთის მხრივ რთულია, ხოლო მეორეს მხრივ - ხშირად იძლევა ერთი და იგივე მოვლენების რამდენიმე სახით ინტერპრეტაციის საშუალებას.

ზემოთთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველოს საგადასახადო გარემო ამუხრუჭებს ადგილობრივი წარმოების განვითარებას, უფრო ახალისებს იმპორტიული პროდუქციის შემოტანას და ხელს უწყობს კონტრაბანდას, რამდენადაც ყველა მეზობელ სახელმწიფოებში რუსეთში, თურქეთში, სასომხეთში თუ აზერბაიჯანში – შედარებით უფრო ლიბერალური საგადასახადო გარემოა, ვიდრე საქართველოში.

საქართველოს თავისუფლად შეუძლია ისეთი საგადასახადო გარემოს ჩამოყალიბება, რომელიც ადგილობრივ, ჩვენს შემთხვევაში იმერეთის მრეწველობას წაახალისებს, ხელს შეუწყობს ადგილობრივი ნედლეულის იმერეთშივე დამუშავებას და ამით უზრუნველყოფს ამ სექტორში ბიზნესის განვითარებას და რეგიონიდან შემოსავლების მკვეთრ ამაღლებას.

საგადასახადო კანონის გათვალისიწნებული გადასახადებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ბიზმნესმენებისა და მომუშავებისათვის შემდეგია: დამატებული ღირებულების, მოგების, სოციალური დაზღვევის და საშემოსავლო გადასახადები.

მოქმედი საგასახადო გარემო განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებდა შიდა წარმოების შესაძლებლობაზე. აღნიშნულის საილუსტრაციოდ ასეთი მარტივი მაგალითის მოყვანაც შეიძლება: ავიღოთ ქუთაისის ავეჯის წარმოება, ვთქვათ ავეჯის, რომელიმე სახის დამზადებისათვის მოითხოვება 100 კლარის სუფთა ღირებულების მატერიალური საშუალებები, ნედლეულის, მასალების და სხვა დანახარჯების სახით. მომუშავებზე გასაცემი სუფთა ხელფასი, ანუ წმინდა ცოცხალი შრომის დანახარჯები შეადგენს – 100 ლარს, მაშინ გამოდის, რომ წმინდა თვითღირებულება, ყოველგვარი გადასახადის, გათვალისწინების გარეშე - 200 ლარია (100+100). დავუშვათ, რომ წარმოების რენტაბელობაც ძალიან მაღალი 100 პროცენტია. მაშინ სარეალიზაციო ფასი 400 ლარი იქნება, ანუ საბალანსო მოგება ამ შემთხვევაში 200 ლარს უტოლდება ე.ი. გვაქვს:

განვითარებული შრომის დანახარჯები – 100 ლარი,

ცოცხალი შრომის დანახარჯები – 100 ლარი,

წარმოების წმინდა დანახარჯები – 200 ლარი,

საბალანსო მოგება (დამატებითი ღირებულება) – 200 ლარი,

სარეალიზაციო ფასი – 400 ლარი.

არსებული საბალანსო მოგებიდან (200) ლარი ბიზნეს ერთეულს – ფირმას მხოლოდ ზემოთაღნიშნული 4 სახის გადასახადის მიხედვით ბიუჯეტში შესატანი იქნება.

1.დამატებული ღირებულების გადასახადი – 76 ლარი (400X20:100).

2. საშემოსავლო გადასახადი – 40 ლარი (200X20:100).

2. მოგების გადასახადი – 42,6 ლარი (200–76–40) 15:100.

სულ 158,6 ლარი.

ანუ მოცემული მაგალითში, თითქოს და წარმოუდგენელი ძალიან მაღალი 100 პროცენტიანი რენტაბელობის პირობებშიც კი, ამ სამი გადასახადის შემდგომ საწარმოს განკარგულებაში მხოლოდ 41,4 ლარი რჩება და აქედან სხვა გადასახადებია გადასახადი. ამავე გაანგარიშებაში, ისე როგორც პრაქტიკაში ერთ კაზუსთან გვაქვს საქმე, კერძოდ დაქირავებული მომუშავე დაინტერესებულია იმ თანხის სიდიდით, რომელსაც იგი მიიღებს სუფთად ხელზე ანუ ჩვენს შემთხვევაში 100 ლარით. მას არ აინტერესებს გადასახადების სიდიდე, ამიტომაც გადასახადები ბიზნესმენს ეკისრება. იგი იხდის საშემოსავლოს ხელფასად გამოწერილი თანხიდან, ამიტომაც ადვილად შესაძლებელია მოქმედი კანონმდებლობით იგი საბალანსო მოგების სიდიდეშიც ვერ ჩაეტიოს და დაზრალდეს ფინანსურად.

საგადასახადო გარემოს ასეთი არაწამახალისებელი საწარმოო მიმართულების გამო ბიზნესმენები იძულებული არიან დამალონ გადასახადები, მოახდინონ შემოსავლების ჩვენების მანიპულირება, რაც თავისთავად ზრდის ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბებს და ხელს უწყობს ეკონომიკური პოლიტიკის პოზიციებიდან კორუფციის მასშტაბების გაფართოებას.

მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებულია, რომ კორპორაციული (ფირმის) გადასახადების საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მისი შემოსავლების მეოთხედს, წინააღმდეგ შემთხვევაში საგადასახადო გარემო არ მოქმედებს წამახალისებლად სამეწარმეო აქტივობაზე. ასეთივე მიმართულებით მოითხოვება საგადასახადო გარემოს გაუჯობესება საქართველოში. ამით სწრაფად დაიწყება კრიზისის დაძლევა, საგადასახადო გარემოს გაუმჯობესება, ამასთან მიმზიდველს გახდის საინვესტიციო გარემოსაც.

აშშ-ს ფედერალური ბიუჯეტის შემოსავლებზე წარმოდგენას იძლევა მე-18 ცხრილის მონაცემები; საიდანაც ჩანს, რომ ძირითადი დატვირთვა მოდის საშემოსავლოზე, იგი იკავებს შემოსავლების 44 პროცენტს,

სოცდაზღვევა – 33 პროცენტს, ხოლო კორპორაციული მოგების გადასახადი ძალიან მცირეა ხულ 12 პროცენტი.

ცხრილი 6

აშშ-ს ფედერალური ბიუჯეტის შემოსავლები

1999 წ-ს

გადასახადი	შემოსავლები მლრდ $	შემოსავლები ერთ სულ.-ზე $	შემოსავლების წილი. %
საშემოსავლო გადასახადი	590	2243	44
სოცდაზღვევის გადასახადი	485	1842	36
გადასახადი კორ. მოგ.	157	597	12
აქციზი	58	219	4
სხვა	61	233	4
სულ	1351	5135	100

საშემოსავლო გადასახადი აშშ-შიც და ევროკავშირის სახელმწიფოებშიც დიფერენცირებულია. აშშ-ში იგი იცვლება 15-დან 39,6 პროცენტამდე, ამასთან 3900 $-ის შემოსავალი დაუბეგრავი მინიმუმია.

ევროკავშირის სახელმწიფოებში დიფერენცირებულია დღგ-ს გადასახადი. მაგალითად, გერმანიაში იგი მერყეობს 0-დან 15 პროცენტამდე. ჩვენთან კი ასეთი დიფერენცირება არ არის გათვალისწინებული.

ახალი საგადასახადო კოდექსით, რომელიც ნაწილობრივ შესულია ძალაში, ხოლო დღგ.-ს განაკვეთი ამოქმედდა 2010 წ-ის 1 ივლისიდან, შემცირდა გადასახადთა რაოდენობები და სიდიდეები. ცენტრალური ბიუჯეტის გადასახადებს ეხლა წარმოადგენს მხოლოდ საშემოსავლო, მოგების, დღგ და აქციზი, ხოლო ადგილობრივს. ქონების და სათამაშო ბიზნესის გადასახადი. ცენტრალური ბიუჯეტის გადასახადთა განაკვეთები, ასეთია: საშემოსავლო 20%, მოგება -15%, დღგ-18%. რაც საქართველოს პირობებში მრეწველობისათვის ძალიან მაღალია. ამ კოდექსის ამოქმედებით პრობლემა არ გადაჭრილა, მით

უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ახალი საგადასადო კოდექსის მიერ გამუქმებულ შეღავათებს წარმოების საშუალებების იმპორტირებისას. ინდუსტრიულ სახელმწიფოში გადასახადები როგორც წესი პროგრესულია, რაც მეტია შემოსავალი, მით მეტია საგადასახადო განაკვეთი. ვფიქრობთ ჩვენი საგადასახადო კანონმდებლობაც ამ მხრივ განვითარებას საჭიროებს, რამდენადაც ასეთ სისტემაში უპირველესად ხელი ეწყობა წარმოების გაფართოებას და მეორეს მხრივ საზოგადოება სოციალური სამართლიანობისაკენ მიისწრაფის.

ქვეყნის მრეწველობის განვითარება საერთოდ განისაზღვრება უპირველესად მისი საფინანსო-საკრედიტო უზრუნველყოფის დონით, რამდენადაც ამ სფეროს არასათანადოდ განვითარება დიდად უშლის ხელს საწარმოო პროცესების ორგანიზაციას საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

საფინანსო-საკრედიტო უზრუნველყოფის საკითხები. მრეწველობის ფუნქციონირებაში, შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგ 3 ძირითად შემადგენლად: ფულის მიმოქცევა და ინფლაცია; საკრედიტო სისტემის განვითარების დონე; საკრედიტო ორგანიზაციებთან მწარმოებელთა ურთიერთობის ინტესივობა და ურთიერთსამართლიანობა, საქართველოში არსებული ნაღდი ფულის სიდიდე მიმოქცევაში, საკორესპოდენტო ანგარიშებზე და სავალდებულო რეზერვების სახით 1,5 მლრდ. ლარამდეა. მისი მოცულობა დინამიკაში იზრდება ბოლო წლების განმავლობაში. ფულის ეს მასა სრულად შეესაბმება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონეს, მაგრამ მიუხედავად ამისა იგი მნიშვნელონვად ჩამორჩება გასული საუკუნის 80-იანი წლების მაჩვენებელს. მაშინ არსებული ფულის ჯამური სიდიდე შეადგენდა 7 მილიარდ მაშინდელ მანეთს, ანუ დაახლოებით 16 მლრდ. ლარს, რაც 12-ჯერ მეტია დღეს მიმოქცევაში არსებული თანხის ჯამურ სიდიდეზე. აღნიშნული განპირობებულია უპირველეს ყოვლისა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების შედარებით დაბალი დონით. რამდენადაც

მშპ-ის მოცულობის ვარდნის სიდიდე დაახლოებით შეესაბამება ფულადი მასის ვარდნის სიდიდეს.

სამეწამეო საქმიანობის აქტივობაზე გავლენას ახდენს საბანკო სისტემის განვითარება. მათ მფლობელობაში არსებული თანხების სიდიდეები და მასთან ეროვნული ვალუტისადმი წლების ფაქტორის სიდიდეც.

სამრეწველო საწარმოების მიერ საწარმოო აქტივობის შემცირება. გამოიწვია ფულად-საკრედიტო სისტემის არამდგრადობაც. რაც არ შეიძლება აიხსნას რაიმე ერთჯერადი მოვლენით და იგი განპირობებულია ფულად-საკრედიტო სისტემის არასაიმედობით თითქმის ოცწლიანი პერიოდის განმავლობაში.

საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში თავი იჩინა შეუსაბამობამ დახარჯული შრომის ხელფასით ანაზღაურებასა და შრომის მოცულობას შორის. ამ ქვეყნის არსებობის წლებში ხელფასის სიდიდე 200 მანეთის ფარგლებში იყო. ასევე იყო იმერეთის მრეწველობაშიც. იგი შეიძლება მაშინდელ 200 აშშ დოლარს (1$=0,86მანეთს ოფიციალურად) ამ დროს კი ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის სიდიდე იაპონიაში 23 ათას აშშ დოლარს აღწევდა წელიწადში, ანუ თვიურად 1900 დოლარს. გერმანიაში შესაბამისი მაჩვენებელი იყო წლიურად - 21160 დოლარი (თვეში 1758), ამერიკაში – 18163 დოლარი წლიურად (თვეში 1513). შემდეგ შემოსავლების მიხედვით მოდიოდა იტალია, ინგლისი, საფრანგეთი და სხვა ინდუსტრიულად განვითარებული კაპიტალისტური სამყაროს სახელმწიფოები, ანუ ამ სახელმწიფოებში, შრომის ანაზღაურების დონე რამდენჯერმე მაღალი იყო, ვიდრე საბჭოთა კავშირში, ამიტომ დემოკრატიული პროცსების განვითარებასთან ერთად აუცილებელი ხდებოდა ამ მაჩვენებლის გაუმჯობესებაც, რომლისთვისაც მაშინდელმა ხელისუფლებამ ყველაზე ცუდი – ემისიის გზა აირჩია. შედეგად მოსკოვის ეკონომიკის ინსტიტუტის მონაცემებით, მანეთი ყოველწლიურად უფასურდება 8,4%-

ით. 1989 წელს ბრუნვაში კავშირის მასშტაბით, იყო 750 მილიარდამდე მანეთი, მათგან 310 მლრდ. ბანკებში ინახებოდა. საქართველოს ბანკებში არსებული შენახული თანხები დაახლოებით 1,5 მლრდ. მანეთის ტოლი იყო.

ემისიური პროცესების უარყოფითი გავლენის შესუსტებისათვის 1990 და 1991 წლებში განხორციელდა ფულის რეფორმა, რომელიც უშუალოდ შეეხო საქართველოსაც, რადგან იგი ჯერ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, ხოლო შემდეგ სამანეთო ზონაში იმყოფებოდა. აღნიშნული რეფორმები ეხებოდა მხოლოდ ნაღდი ფულის ნიშნებს, ამიტომ მნიშვნელოვანი ცვლილებები იმერეთის მრეწველობის საწარმოების ანგარიშზე არსებული ფულადი მასისასთვის არ მოუხდებოდა, შესაბამისად რჩებოდა ის უარყოფითი მოვლენები, რაც გამოწვეული იყო თანხების არსებობით და მისი სასაქონლო დაუბალანსებლობით.

1991 წლიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ კიდევ უფრო გაუარესა სამრეწველო საწარმოთა მომარაგება ნედლეულითა და მასალებით, როგორც რუსეთიდან, ისე სსრკ-ს სხვა რესპუბლიკებიდან. პრობლემამ იჩინა თავი წარმოებული პროდუქციის გასაღების მხრივაც. ამას დაემატა ნაღდი და ანგარიშებზე არსებული ფულადი მასალების სხვადასხვა მსყიდველუნარიანობაც. ამიტომ 1991 წლიდან იმერეთში სამრეწველო პროდუქციის მოცულობა მცირდება. თუმცა ეს შემცირება არც ისე მასშტაბური იყო და თავისუფლად ჯდებოდა ჩვეულებრივი საწარმოო კრიზისებით. ეს კი განპირობებული იყო მარაგების საკმაო სიდიდეებით სამრეწველო საწარმოებში, როგორც მატერიალურ ფასეულობათა სახით, ასევე ანგარიშებზე ფულადი მასის სახითაც.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ყოფილი რესპუბლიკები და მათ შორის საქართველოც რჩებოდა სამანეთო ზონაში. ამასთან ერთად საქართველოს ცენტრალური ბანკი (შემდეგ ეროვნული ბანკი) და

შესაბამისად იმერეთის რეგიონშიც, ახორციელებდა ფულის ემისიას, რა თქმა უნდა უნაღდო ფულის სახით, რამაც ძალიან გაზარდა შეუსაბამობა ნაღდ და ანგარიშზე არსებული ფულად მასას შორის, ამ პროცესს თან სდევდა სამრეწველო საწარმოთა კუთვნილი თანხების პროპორციული გაუფასურება, ილეოდა საწარმოთა მარაგები მატერიალურ ფასეულობათა სახით, ხოლო ანგარიშზე არსებული თანხები, მიუხედავად მათი რიცხვობრივი სოლიდარობისა, უმნიშვნელო შეიქმნა. ყოველივეს კი მოჰყვა სამრეწველო საწარმოთა წარმოების მოცულობების მკვეთრი შემცირება. აღნიშნული პროცესები კიდევ უფრო გააღრმავა საკუთარი ფულადი ნიშნების – კუპონების შემოღებამ და ე.წ. ლიბერალური ფულადი საკრედიტო პოლიტიკის გატარებამ. 1993-1994 წლებში ასეთი ლიბერალური პოლიტიკური გამართლება არ მოიძებნება. საწარმოთა ანგარიშზე რიცხული თანხები მანეთიდან ავტომატურად გადავიდა კუპონებზე, ხოლო თუ კუპონის შემოღებისათვის 1993 წლის აპრილში, 200 კუპონით შეიძლებოდა 1 აშშ დოლარის ყიდვა, ან 1 კუპონით 1 მანეთის შეძენა, 1994 წლის დასაწყისისათვის ინფლაციამ ისეთ მაღალ ტემპებს მიაღწია, რომ 1 აშშ დოლარის შესაძენად საჭირო იყო 2 მილიონ 300 ათასი კუპონი, ინფლაციის ასეთი ტემპი შეუძლებელია გამოწვეული ყოფილიყო წარმოების მოცულობის დაცემით, ის უმეტესწილად არნახული ემისიის და გაუმართლებელი საკრედიტო პოლიტიკის გატარებით იყო განპირობებული. შედეგად სამრეწველო საწარმოთა კუთვნილი საბრუნავი სახსრები ფულის ფორმით თითქმის ნულის ტოლი გახდა, რასაც ლოგიკურ შედეგად მოჰყვა მათი ფუნქციონირების შეჩერება. მომდევნო პერიოდში მართალია მოხდა კუპონის ნაწილობრივ გამყარება და დღევანდელი მოქმედი ვალუტის ლარის - შემოღების პერიოდისათვის (1995 წელის ოქტომბერი) 1 აშშ დოლარის შესაბამისობა კუპონთან მიმართებაც, რა თქმა უნდა მიმდინარე უარყოფით პრცესებს ვერ შეაჩერებდა. ამიტომ მრეწველობა ჩავარდა ღრმა ეკონომიკურ

კრიზისში, რომლის დაძლევაც უკვე ძალიან რთული შეიქმნა. ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ევრო-კომისიის მრჩეველთა ჯგუფის მიერ მომზადებული რეკომენდაციებში, ყველაზე სავალალო შეფასებებს მრეწველობა იმსახურებს, აღნიშნულმა მრჩეველთა ჯგუფმა თავიანთი ანგარიში 1994 წლის დეკემბრისათვის მოამზადეს. აი რას ვკითხულობთ მასში: „საქართველოს მრეწველობის დაქვეითებამ, რომელიც გამოწვეული იყო საბჭოთა კავშირის დაშლით და აგრეთვე თვით საქართველოში არსებული ეკონომიკური ხასიათის პრობლემებით, ისეთი მასშტაბები მიიღო, რომ ამჟამად მრეწველობის აღდგენის შესახებ მსჯელობა მოკლე პერიოდის ფორმით შეუძლებელია. საჭიროა თავის შეკავება იმ ცდუნებისაგან, რომ ტექნიკური დახმარება იქნება ეს, თუ კაპიტალდაბანდების პროექტისათვის მხარდაჭერა, მიმართულ იქნას წინათ არსებული სამრეწველო პოტენციალის ფორმალურად აღსადგენად.

საწარმოებს არა აქვს სხვა ალტერნატივა გარდა იმისა, რომ მოძებნონ ახალი დამკვეთებიც და მომწოდებლებიც და არ დაეყრდნონ სახელმწიფო საგეგმო სისტემებს“.

სამრეწველო საწარმოებისადმი ასეთი არასახელმწიფოებრივი მიდგომის გამო ბოლო ათწლეულის განმავლობაში იგი უკიდურესად ღრმა კრიზისში აღმოჩნდა. რის გამოც სამრეწველო პროდუქციის მოცულობა თითქმის 20-ჯერ შემცირდა თუ 1985 წელს სამრეწველო პროდუქციის გამოშვებამ შეადგინა 13 მლრდ. მანეთი, 2014 წლისათვის იგი დაეცა 4 მლრდ. აშშ დოლარამდე. გამომდინარე, რომ მრეწველობის დაცემის ტემპი უფრო მაღალია, ვიდრე მთლიანად ეკონომიკის, ბუნებრივია შეიცვალა ეკონომიკაში მრეეწველობის სტრუქტურული შემადგენლობაც.

უარყოფითად აისახა მრეწველობის ფუნქციონირებაზე ეროვნული ვალუტის – „ლარის“ არათანაბარი ინფლაციაც. 1998 წელს ლარის გაცვლის კურსი დოლართან თანაფარდობაში ერთბაშად დაეცა

1,35-დან 3,5-მდე, შემდეგ დასტაბილურდა 2,2 ნიშნულამდე. 2003 წელსაც დოლართან მიმართებაში ლარის დამოკიდებულება რამდენჯერმე მყისეულად შეიცვალა. ბოლოს მიმდინარე პერიოდში (2014 წ-ის ნოემბერი - 2015 წლის მაისი) ლარი პერმანენტულად განიცდის დევალვაციას. მისი კურსი დაეცა 1,71 ლ=1$-დან 2,30 ლ. =1 $-მდე.

მრეწველობის საბაზრო სისტემაში ეფექტურად ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია კოოპერაციული ბანკების ქსელის განვითარება. ამ მხრივ მთლიანად საქართველოში არც თუ ცუდი მდგომარეობაა. საქართველოს ყველა დიდ ქალაქში და რაიონში არსებობს რამდენიმე კომერციული ბანკი და მისი ფილიალები, თუმცა მათი მომსახურების მომცველობა ჯერ კიდევ არასაკმარისია.

კომერციული ბანკები სესხებს გასცემენ უმეტესწილად მოკლევადიან ოპერაციებზე საკმარისზე მეტი საგარანტიო უზრუნველყოფით, ამიტომ ბანკების მომსახურეობის იმედზე, განსაკუთრებით გრძელვადიანი საკრედიტო დაფინანსებისათვის, საწარმოები ვერ იქნებიან, ამდენად ისინი შემოსაზღვრულნი არიან თავიანთ დამფუძვნებელთა ფინანსური შესაძლებლობებით. ეს კი უარყოფითად აისახება მათ სამეწარმეო აქტიურობის ხარისხზე. საქართველოს ფინანსური ბაზარი ერთ-ერთ მაღალრიცხოვან ბაზარს წარმოადგენს მსოფლიოში, ამიტომაც აქ არსებული კომერციული ბანკების მიერ გაცემული კრედიტები მაღალი საპროცენტო განაკვეთებით ხასიათდებიან. აღნიშნული კი ხელს უშლის სამრეწველო საწარმოების ეფექტიანად მუშაობის წარმართვაში.

საფინანსო-საკრედიტო სისტემის გაუმჯობესების საქმეში დიდია სახელმწიფოს როლი. მას შეუძლია და უნდა მიაღწიოს სისტემის საყოველთაო გამომყენებლობას.

2.4 მრეწველობის განვითარების მიკროეკონომიკური პრობლემები და მისი გადაჭრის გზები

მრეწველობა ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ეკონომიკის სხვა დარგების მსგავსად მძიმე კრიზისულ მდგომარეობაშია. სახეზეა წარმოების როგორც რაოდენობრივი ისე ხარისხობრივი მაჩვენებლების მკვეთრი დაცემა, საწარმოო სიმძლავრეებისა და პერსონალის ქრონიკური დაუტვირთაობა.

მიგვაჩნია, რომ მრეწველობის განვითარების ერთ-ერთი მიკროეკონომიკური პრობლემა უშუალოდ საწარმოთა მართვის დონეზეა, რამეთუ მათი ამჟამინდელი მოუქნელი მმართველობითი აპარატი, მენეჯერული პერსონალი, მოძველებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და თვითდინებაზე მიშვებული ოპერაციები ჩვენი დროის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.

სამრეწველო საწარმოებში ამჟამად შექმნილი გარკვეულწილად უნიკალური სიტუაცია სპეციფიკურ მიდგომებს მოითხოვს, რომლებიც გამიზნული იქნება უშუალოდ მიკროეკონომიკური სუბიექტების გააქტიურებისაკენ. ჩვენი აზრით სამამულო მრეწველობის აღორძინება მხოლოდ კონკრეტული სამრეწველო ერთეულების (სამრეწველო საწარმოების) გამოცოცხლებას შეუძლია, რაც თავის მხრივ ამ უკანასკნელთა მართვის საფუძვლიანმა გაუმჯობესებამ უნდა უზრუნველყოს.

საწარმოთა მართვის გაჯანსაღების უპირველეს ეტაპად დასახული იქნა რესტრუქტურიზაცია. მან უნდა უზრუნველყოს მართვის დირექტიული მეთოდების ეკონომიკური მეთოდებით ჩანაცვლება, მუშაკთა შრომის მოტივაციის ამაღლება, საწარმოს მოქნილობის და ადაპტირების მაღალი დონე, ნოყიერი ნიადაგის შექმნა მმართველობითი, ტექნოლოგიური და სხვა ინოვაციებისათვის.

აღსანიშნავია, რომ რესტრუქტურიზაცია ზოგიერთ საწარმოში უკვე დაიწყო, მაგრამ იგი ე.წ. „ჭარბი ქონების“ რეალიზაციის ან კონერვაციის, ზოგჯერ კი მსხვილ საწარმოთა მექანიკური დანაწევრების ნიშნით მიმდინარეობს. მას თან ახლავს შინაგანი სტრუქტურული ცვლილებების მართვისა და ორგანიზაციულ სისტემებში, რის გარეშეც სტრუქტურული დანაწევრებას პოზიტიური შედეგები არ მოაქვს. აუცილებელია საზღვარგარეთ ამ სფეროში უკვე დაგროვილი შესაბამისი გამოცდილების ადაპტირება ჩვენს პირობებში, ცხადია საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინება.

უცხოური გამოცდილების შესწავლა კი ცხადყოფს, რომ ბოლო ათწლეულების მანძილზე დასავლეთის მრავალი კომპანიისათვის დამახასიათებელი იყო ფართომასშტაბიანი რეორგანიზაციები დეცენტრალიზაციის მიმართულებით, რაც გამოიხატება შემდეგში:

1. სტრუქტურული ქვედანაყოფები გადადიან თვითანაზღაურებადი საწარმოო ერთეულების - ე.წ. „მოგების ცენტერის“, ანუ „სტრატეგიული სამეურნეო ცენტრების“ - რანგში. ისინი ფუნქციონირებენ როგორც საკმაოდ დამოუკიდებელი და მოქნილი მცირე ფორმები;

2. უშუალოდ საწარმოო და სხვა ოპერაციების დონეზე იქმნება ჯგუფური და ბრიგადული სტრუქტურები. თითოეული ასეთ მცირერიცხოვან ჯგუფში (არაუმეტეს 15-20 კაცის შემადგენლობით) რეალურადაა შემცირებული მუშაკის გაუცხოების ხარისხი საკუთარი შრომის შედეგებთან და პროცესებთან.

3. ფართოდ გავრცელდა მოწყობილობათა განლაგების შესაბამისი ე.წ. „უჯრედული“ ფორმა, რაც გულისხმობს ტექნოლოგიურად დასრულებული ნაკეთობის (მზა ნაწარმი, კვანძი) წარმოებისათვის საჭირო ყველა მანქანა-მოწყობილობის და ნედლეულის, აგრეთვე ყველა მუშაკის ერთად დაჯგუფებას, რითაც მუშაკთა თითოეული რგოლი მთლიანად პასუხისმგებელი ხდება კონკრეტული კვანძის ან ნაკეთობის დამზადებაზე;

4. ინოვაციური საქმიანობის გააქტიურობის მიზნით გამოიყენება შიდასაფირმო მეწამეების ანუ ინტრაპრენერობის სხვადასხვა ფორმები. ცალკეულ თანამშრომელთა პოტენციურად ფასეული სამეცნიერო-ტექნიკური იდეების მომგებიან საქმიან პროექტებად რეალიზებისათვის იქმნება ვენჩურული ფონდების ქსელი. ასეთი ტიპის რეორგანიზაციების შედგია მსხვილი სამრეწველო კომპანიის აგება ავტონომიური ქვედანაყოფების დეცენტრალიზებული კონგლომერატის სახით, სადაც უზრუნველყოფილია საშუალო რგოლის მენეჯრთა მოტივირების მაღალი ხარისხი და შენარჩუნებულია მჭიდრო კონტრაქტები მენეჯერთა და უშუალო, შემსრულებლებს შორის. საბოლოოდ ანგარიშით მიიღწევა თითოეული ქვედანაყოფის და ამიტომ მთელი კომპანიის მართვის დიჯნამიურობის და ოპერატიულობის მაღალი დონე.

საზღვარგარეთული გამოცდილების და ადგილობრივი პირობების გათვალისიწნებით, ჩვენს მიერ სააქციო საზოგადოება „რუსთავის აზოტისათვის“ დამუშავებულია რესტრუქტურიზაციის ღონისძიებათა კონკრეტული პროექტი, რაც ზოგადად გულისხმობს:

– მისთვის, როგორც საშუალო ზომის საწარმოსათვის მართვის ფუნქციონალური სტრუქტურის დანერგვას;

– რიგი საწარმოო და კომერციული ქვედანაყოფების ბაზაზე სხვადასხვა ხარისხით დამოუკიდებელი, მაგრამ იურიდიული პირის უფლების არმქონე ფინანსური პასუხისმგებლობის ცენტრების ჩამოყალიბებას;

– ეკონომიკური მიზანშეწონილობის შემთხვევაში ზოგიერთი ოპერაციის გადაცემას იურიდიულად დამოუკიდებელ შვილობილ ფირმებზე;

– შრომის ორგანიზაციის ბრიგადული და ჯგუფური ფორმების ფართოდ დანერგვას.

ხაზი უნდა გაესვას, რომ რესტრუქტურიზაცია (პრივატიზაციასთან ერთად) სამრეწველო საწარმოთა მართვის რეფორმის აუცილებელი, თუმცა

მხოლოდ საწყისი ეტაპია. მას უნდა მოჰყვეს ძირეული ცვლილებები მართვის მოქმედ პრაქტიკაში, განსაკუთრებით ისეთი მიმართულებით, როგორიცაა ტექნოლოგიური განვითარება, მარკეტინგი, მუშაკთა სტიმულირების სისტემა და დაგეგმვის მექანიზმი.

უნდა გააქტურდეს მარკეტინგული საქმიანობა. სისტემატური ხასიათი უნდა მიეცეს, კონკრეტული ბიზნესის შესწავლას, რის საფუძველზეც უნდა დამუშავდეს მარკეტინგული ღონისძიებათა მიზნობრივი კომპლექსები.

უნდა დაინერგოს შრომის სტიმულირების ისეთი სისტემები, რომლებიც მიზეზშედეგობრივად დააკავშირებენ ერთმანეთს შრომის შედეგებსა და შესაბამის მატერიალურ ანაზღაურებას. ამავე სისტემებმა უნდა უზრუნველყოს ობიექტური პარამეტრების შექმნა სამუშაოს შედეგიანობის შეფასებისა და აქედან გამომდინარე პოზიტიური ან ნეგატიური სტიმულირებისათვის.

უნდა დამუშავდეს დაგეგმვისა და პროგნოზირების ახალი, ჩვენი დროის შესაბამისი სისტემები რისთვისაც აუცილებელია განვითარებული ქვეყნების სამრეწველო ფირმებში გამოყენებული შესაბამისი მოდელების ჩვენთან ადაპტირება. დაგეგმვა ის ფუნქციაა, რომელმაც უნდა შეაერთოს საწარმოს განვითარების ცალეკული მიმართულებები და მის მთელ საქმიანობას მიზნობრივი ორიენტაცია მისცეს. მაშასადამე კომპლექსური, მოქნილი უნდა იყოს და ცალეკულ პრიორიტეტებს უნდა ითვალისწინებდეს.

მრეწველობის განვითარების ერთ-ერთ ძირითად პრობლემად წარმოების დაბალი ტექნიკური დონე გვევლინება. მისი ჩამორჩენილობის ძირითადი მიზეზი უკანასკნელი 20-25 წლიან პერიოდში მუშა-მანქანების და მოწყობილობების პარკის განუახლებლობა უნდა მივიჩნიოთ. საწარმოთა სტაგნაციის გავლენით არსებული მაღალმწარმოებლური მოწყობილობების უმეტესობა ჩამოიწერა და ჯართის სახით ექსპორტირებულ იქნა, ხოლო დარჩენილ მოწყობილობებს თითქმის არ

ჩატარებიათ კაპიტალური რემონტი და მოდერნიზაცია. ყოველივე ამის გამო საწარმოთა უმეტესობაში ძირითად მოწყობილობათა საშუალო ასაკი 30-35 წლიანი პერიოდით განისაზღვრება. ყოველივე ამის გამო ვერ ხერხდება მსხვილსერიული და მასიური წარმოების ორგანიზება, რამდენადაც დამზადებული პროდუქცია მაღალი თვითღირებულებისაა, ხოლო პროდუქციის ხარისხობრივი პარამეტრები მნიშვნელოვნად ჩამორჩება შესაბამის უცხოურ ანალოგებს. ხარისხობრივი პარამეტრებით ქართული მრეწველობის პროდუქცია ვერ შეედრება არა მარტო ბელგიური, იტალიურ, ფრანგულ და სხვა განვითარებულ ინდუსტრიულ სახელმწიფოებში წარმოებულ პროდუქციას, არამედ იგი შეუსაბამობაშია პოსტსაბჭოურთა სივრცეში წარმოებულ პროდუქციის ხარისხობრივ პარამეტრებთანაც. ამიტომაც იგი საერთოდ არ გაიტანება ექსპორტზე. ამასთან ადგილობრივი მოსახლეობაშიც იმპორტირებული პროდუქციის ხვედრითი წილი, მოხმარების საერთო რაოდენობაში ძალიან მაღალია, ექსპორტების შეფასებით, დაახლოებით 60-70%-ი. წარმოების ტექნიკური დონის ჩამორჩენილობა სამრეწველო საწარმოებში ბუნებრივია იწვევს გამოყენებული ტექნოლოგიის ჩამორჩენასაც. ამასთან ნაკლებად ხორციელდება გამოშვებული პროდუქციის დიზაინური დამუშავება და საკუთარი სტილის შეთავაზება მომხმარებლისათვის.

სამრეწველო საწარმოები დღეისათვის უმეტესად დაკავებულნი არიან მცირე და საშუალო ზომის საწარმოები, რომლებშიც ტექნიკური დონის ამაღლებისადმი მიმართული ღონისძიებები გამოიხატება ინდივიდუალური მოხმარების თანამედროვე ინსტრუმენტების გამოყენებით.

დაბალი ტექნიკური მახასიათებლებითაა წარმოდგენილი არა მარტო მუშა-მანქანები და მოწყობილობები, არამედ არსებული ძირითადი კაპიტალის მთელი სპექტრი: ძლიერი მანქანა-მოწყობილობები, გადამცემი მოწყობილობები, სატრანსპორტო საშუალებები და ტრანსპორტიორები, საშრობი და სამღებრო დანადგარები.

ტექნიკური დონის ამაღლება დღეისათვის შეუძლებელია თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკის-პერსონალური და ჯგუფური მოხმარების კომპიუტერების გარეშე. მისი გამოყენებით შესაძლებელია არა მარტო ეკონომიკური განგაარიშებების სწრაფი განხორციელება, არამედ ნაწარმის კონსტრუქციის ოპტიმალური ვარიანტების, ინდივიდუალური კომპლექსის შემადგენლების, საამწყობო ერთეულების სხვადასხვა კომბინაცია არსებული პირობების გათვალისწინებით, ტარისა და შეფუთვის ეკონომიკური ვარიანტის ამორჩევა და სხვა მრავალი.

გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებითაა შესაძლებელი თანამედროვე პროგრესული მართვის ჩარხების გამოყენებაც, რომელიც საშუალებას ილძევა მიუხედავად ჩარხების მაღალი ღირებულებისა, მასზე დამზადდეს სხვადასხვა ნომენკლატურის პროდუქცია მცირე პარტიებად, დაბალი ხვედრითი დანახაჯებით.

ტექნიკური დონის ამაღლებისადმი მიმართული ღონისძიებები მაშინაა გამართლებული, თუ ისინი მოითხოვენ დანახარჯების უფრო მცირე სიდიდეს, ვიდრე ტრადიციული მეთოდები. ოპტიმალური პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელი მნიშვნელობა ენიჭება ტექნიკური საკითხების გადაჭრას ისეთნაირად, რომ იგი შეესაბამებოდეს მსოფლიოს სტანდარტებს და მოთხოვნებს, აქედან გამომდინარე ჩვენი ქვეყნის მონაცემები ტექნიკური ბაზის მხრივ უნდა უთანაბრდებოდეს მოწინავე ქვეყნების ტექნიკურ შესაძლებლობებს.

ამდენად, წარმოების ტექნიკურ დონის ამაღლების საფუძვლად გვევლინება კონკრეტულ შემთხვევაში დამუშავების კონკრეტული მეთოდის შერჩევა და მისი პრაქტიკულად მიღწევის ტექნიკურ შესაძლებლობები.

არსებული სამრეწველო საწარმოები გასული საუკუნის 90-იან წლებამდე წარმოდგენილნი იყვნენ მსხვილი მასშტაბური საწარმოების სახით, სადაც თითოეულში რამდენიმე ათასი კაცი იყო დასაქმებულნი. მაგალითად ქ. ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში მუშა-მოსამსახურეთა

საშუალო წლიური რიცხოვნობა 14000 კაცს აჭარბებდა. შედარებით ნაკლები იყო დასაქმებული სატრაქტორო ქარხანაში ტრიკოტაჟის ფაბრიკაში, მაუდის, ავეჯის კომბინატებში და ა.შ. ამ პერიოდის შემდეგ განხორციელდა საწარმოთა პრივატიზება. ისინი უმეტეს შემთხვევაში ჩამოყალიბდნენ სააქციო საზოგადოებად, სადაც აქციონერთა არც თუ მცირე რიცხვი ჩამოყალიბდა ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების გავლენით საწარმოებმა ვერ მოახერხეს საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვა, უმეტესად ისინი გაჩერდნენ, რამაც ზოგიერთ შემთხვევაში მსხვილ აქციონერთა შორის წარმოიშვა კონფლიქტური სიტუაციები, ხოლო მათი გადაჭრის მიზნით მოხდა საწარმოო სიმძლავრეების გაყოფა, ანუ ჩამოყალიბდა შედარებით მცირე სიმძლავრის საწარმოები. ასეთი პროცესები განვითარდა ქ. ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში, ელექტრომექანიკური ქარხანაში, ქ. ქუთაისის ტყავ-ფეხსაცმელების და ავეჯის კომბინატებში. ყოფილი მსხვილი საწარმოების ბაზაზე ჩამოყალიბებულია რამდენიმე იურიდიული პირის სტატუსის მქონე საწარმოო, რომელთა ფუნქციონირების გაგრძელება შესაძლებელია მცირე და საშუალო ბიზნესის სახით.

მცირე და საშუალო ბიზნესის სტანდარტები სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვაა და ისინი ეკონომიკის ძირითად შემადგენლებს წარმოადგენენ. მცირე და საშუალო ბიზნესის წილი აშშ-ის მთლიან შიდა პროდუქტში 75%-მდე აღწევს და მხოლოდ მეოთხედითაა წარმოგენილი მსხვილი ბიზნესი. ანალოგიური მდგომარეობაა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში. იაპონიაში და კორეაში მცირე და საშუალო ბიზნესზე მოდის მშპ-ის 60-65%-ი. ანალოგიური ციფრობრივი მაჩვენებლებით ხასიათდება რუსეთის ფედერაცია, უკრაინა და ბელორუსია, ამიტომ ამ სახის ბიზნესის განვითარებისადმი ხელშეწყობა საქართველოსათვის აქტუალურია. მით უმეტეს მრეწველობაში, სადაც ობიექტური მიზეზების გამო სამრეწველო პროდუქციის წარმოების პერსპექტივები სულ უფრო ნელი ტემპით იზრდება.

აშშ-ის კანონმდებლობით მცირე ბიზნესის წარმომადგენლებს მიეკუთვნება იურიდიული პირები, რომელთა წლიური შემოსავალი 1 მლნ. დოლარამდეა, ანალოგიური სტანდარტია მიღებული ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში. საშუალო ბიზნესად განიხილება საწარმოები, რომელთა წლიური შემოსავალი 1-დან 5 მლნ. დოლარამდეა, ხოლო დანარჩენი მსხვილ ბიზნესს განეკუთვნება.

საქართველოს კანონმდებლობით, მიუხედავად პრაქტიკაში „მცირე და საშუალო ბიზნესის“ მცნებათა ხშირი გამოყენებისა, ნორმატიულად არ ემიჯნება ბიზნესი შესაბამის კატეგორიებად და მისი ხმარება ძალზედ პირობითია. მხოლოდ საქართველოს საგადასახადო კოდექსით აფიქსირებს „მცირე ბიზნესის გადასახადს“, საიდანაც ირკვევა, რომ საქართველოს ოფიციალური სტრუქტურები „მცირე ბიზნეს“ მიაკუთვნებენ იმ საწარმოებს, რომელთა წლიური შემოსავალი არ აღემატება 100000 ლარს და ამასთან არ გამოიყენება დაქირავებული შრომა, ანუ მცირე ბიზნესის წარმომადგენლებად ითვლებიან ის ეკონომიკური სუბიექტები, რომლებშიც არ ხდება მუშა-მოსამსახურეთა დაქირავება და ამ ობიექტთა წევრები შეიძლება იყოს ინდივიდი მისი ოჯახის წარმომადგენლები, ანუ ისინი ერთობლივად ახორციელებენ სამეწარმეო საქმიანობას.

მცირე და საშუალო ბიზნესის ეფექტურად მუშაობას განაპირობებს რიგი უპირატესობანი მსხვილ ბიზნესთან შედარებით, ამათგან უმთავრესია ადგილობრივ ბაზართან სიახლოვე და მომხმარებელთა მოთხოვნილებაზე სწრაფი ადაპტირების უნარი. მცირე პარტიებად პროდუქციის წარმოება, რაც მსხვილი საწარმოებისათვის არამომგებიანია. ადგილობრივი ნედლეულის სრული გამოყენების უნარი; მენეჯმენტში ზედმეტი რგოლების გამორიცხვა და მართვის გამარტივება.

მცირე ბიზნესის ფუნქციონირებას ამავე დროს აქვს ეკონომიკის საერთო გაჯანსაღებისკენ მიდრეკილება, რამდენადაც აქ ყველაზე სრულყოფილად გამოიყენება თავისუფალი კონკურენცია, იქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები. მცირე და საშუალო ბიზნესით ამოივსება

ბაზრის დეფიციტური ადგილები, სრულად ხორციელდება ადგილობრივი შრომითი და მატერიალური რესურსების გამოყენება.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ყველა ინდუსტრიული ქვეყანაში გამოირჩევა მხარდაჭერით, რაც მიუთითებს ამ ბიზნესის როლზე ქვეყნის წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაჭრის გზაზე. ეს სისტემა თანაბრად მომგებიანია ქვეყნის ეკონომიკისადმი მთლიანად და თითოეული მცხოვრებლისათვისაც. უკანასკნელი გამოიხატება სახელმწიფოს მხრიდან რიგი ღონისძიებების გატარებით ამ მიმართულებით, რომელთაგან უპირველესად გამოიყოფა შეღავათები გადასახადებში; საქმის წარმოების და ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებული სქემებში; ინვესტიციურ მხარდაჭერაში, ინფორმაციული უზრუნველყოფის გამარტივებაში და ა.შ.

რუსეთის ფედერაციაში უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში მიღებულია 12-მდე ნორმატიული აქტი მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად. მათგან უმთავრესია: „ფედერალური კანონი მცირე მეწარმეობის მხარდასაჭერად“ (12.05.1995); „ფედერალური კანონი მცირე მეწარმეობის გადასახადების, აღრიცხვისა და ანგარიშების გამარტივების შესახებ“ (08.10.1996) და სხვა, რაც ქმნის წინა პირობებს მეწარმეობის განვითარებისათვის. ასეთივე კანონმდებლობა არსებობს ინდუსტრიულ სახელმწიფოებსა და პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში, ხოლო საქართველო ამ მიმართებით რამდენადმე ჩამორჩება, რაც გამოიხატება საქართველოს კანონმდებლობით მცირე ბიზნესის გადასახადები მცირე განაკვეთის გავრცელებით მხოლოდ მეტად შეზღუდული მეწარმეთა ჯგუფზე. საქართველოს ძველი საგადასახადო კოდექსით გამოიყოფოდა „მცირე ბიზნესის გადასახადი სოციალურ გადასახადთა სისტემაში. კოდექსის თანახმად მცირე ბიზნესის გადასახადის განაკვეთი საკმაოდ მცირეა, სულ 5 პროცენტია, ჩვეულებრივი 27 პროცენტის ნაცვლად, მაგრამ იგი ვრცელდება მხოლოდ იმ ბიზნესზე, რომლის წლიური ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება წელიწადში 10000 ლარს და ამასთან გადახდის

ობიექტი განისაზღვრება კოდექსით 39-ე მუხლის შესაბამისად და შემოსავლებში იგულისხმება „ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები, რომლებიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან“, ანუ საქონლის მიწოდებით მიღებული შემოსავლები, საწარმოს დახურვით მიღებული შემოსავალი და ძირითად საშუალებათა რეალიზაციით მიღებული შემოსავლები.

მცირე და საშუალო ბიზნესისადმი საგადასახადო მხარდაჭერას საქართველოში არ არსებობდა და ასეთი პოლიტიკა დღესაც გრძელდება.

ახალ საგადასახადო კოდექსში საერთოდ არ არის ნახსენები მცირე ბიზნესის გადასახადი. აქ ჩამოთვლილია მხოლოდ ის ფიზიკური პირები, რომლებიც არ იყენებენ დაქირავებული პირთა შრომას და დამოუკიდებლად ახორციელებენ მხოლოდ „ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კალსიფიკატორის“ შესაბამისად განსაზღვრული ეკონომიკური საქმიანობიდან ერთ-ერთს“ (მუხლი 168, 1 ნაწილი, „ლ“ ქვეპუნქტი). ასეთი სახის საქმიანობას კი მიეკუთვნება მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანა, ინდკერვა და ა.შ.

მცირე ბიზნესის როლი მრეწველობის განვითარებაში დღესდღეობით ვერ პასუხობს მოთხოვნებს, ეს აიხსნება წარმოების საერთო დაცემით და საწარმოო კავშირის გადაწყვეტით. ამასთან მცირე ბიზნესისადმი სახელმწიფო მხარდაჭერა აშკარად არასაკმარისია, თუმცა დეკლარირების დონეზე მისდამი დახმარება გათვალისწინებულია. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მცირე ბიზნესისადმი სახელმწიფო დახმარების გარეშე, ამ სფეროს განვითარება შეუძლებელია.

მრავალ ინდუსტრიულ სახელმწიფოში ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტები ითვალისიწნებს მცირე ბიზნესისადმი მხარდაჭერის ფონდების შექმნას. მაგალითად, იაპონიაში ამ მიზნით ყოველწლიურად გამოიყოფა 2-3 მილიარდი აშშ დოლარი, ევროკავშირის წამყვან სახელმწიფოებში, გერმანიისა და საფრანგეთს და ინგლისში 1,5-2,5 მილიარდი, ასეთივე ფონდების არსებობას ითვალისწინებს აღმოსავლეთ

ევროპის პოსტსოციალისტური სახელმწიფოებიც საქართველოს ბიუჯეტში 1998 წლიდან მოყოლებული არსებობს სამეწარმეო მხარდაჭერის ფონდი, მაგრამ რეალურად მას 2013 წლის ჩათვლით არც ერთი თეთრი და დაფინანსება არ მოყოლია. მრავალი უცხოურ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად არსებობს სპეციალური საფინანსო საკრედიტო დაწესებულებები. ასეთებია აშშ-ში „მცირე საქმეთა ადმინისტრაცია“, მცირე ბიზნესის სადაზღვევო კრედიტირების კორპორაცია“ – იაპონიაშია, „კრედიტი მცირე და საშუალო ბიზნესისათვის" – საფანგეთში და ა.შ. საქართველოში ამ ტიპის სახელმწიფო სტრუქტურა არ არსებობს, თუმცა აქაც რამდენიმე საზოგადოებრივი და არასამთავრებო ორგანიზაციები, რომლებიც მოწოდებულია შედარებით მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად, როგორებიცაა „კომერციულ ბანკთა ასოციაცია“, „საქართველოს მეწარმეთა ასოციაცია“ და რამდენიმე სხვა, მაგრამ ამ ორგანიზაციათა წვლილი მცირე ბიზნესის განვითარებასა და მათი ინტერესების დაცვაში ძალიან მოკრძალებულია, შესაბამისად ფინანსური რესურსების უქონლობის გამო.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან უცხოეთში ფართო მხარდაჭერით სარგებლობს მცირე და საშუალო ბიზნესი. მცირე ბიზნესის ორგანიზება განსაკუთრებით ეფექტური აღმოჩნდა ინოვაციური პროცესების საქმეში, მშენებლობასა და რემონტში, სამომსახურეო და სავაჭრო სფეროში, აგრეთვე ავეჯის წარმოებასა და მუსიკალური ინსტრუმენტების დამზადებაში, მსუბუქ განსაკუთრებით სამკერვალო წარმოებაში და ა.შ. გამოცდილებით გამოვლინდა, რომ მცირე საწარმოები მოითხოვენ შემდეგ სახის მხარდაჭერას.

– ფინანსური დახმარება, გამოიხატული რისკის მაღალი დონის მქონე კაპიტალის წყაროების ხელმისაწვდომობაში;

– მატერიალურ-ტექნიკური დახმარება, გამოიხატება შეღავათიან ფასებში შენობა-ნაგებობების, ტექნიკის და სამეცნიერო-ლაბორატორიული მოწყობილობების შეძენაში;

– ინფორმაციული დახმარება, გამოიხატება ინფორმაციული ქსელის შეღავათიან ფასად გამოყენებაში, ტექნიკური ბიბლიოთეკების და მონაცემთა ბანკებთან ხელმისაწვდომობაში;

- კონსულტაციური დახმარება, გამოიხატება უფასო სკოლების ორგანიზებაში მცირე ბიზნესის მენეჯმენტის, ბუღალტრული საქმის წარმოების, საგადასახადო სისტემის შესწავლის, მარკეტინგის, დაგეგმვის და ა.შ. უახლოეს მეთოდთა სწავლებაში.

მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად განსაკუთრებულ ღონისძიებად უნდა იქცეს ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფა, ასევე სხვა ღონისძიებები. (ცხრილი 19).

ბოლო წლებში ანალიზი ცხადყოფს, რომ მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად მიზერული თანხები მაგალითად, ქუთაისის 2001 წლის ბიუჯეტში 30000 დაიხარჯა შესაბამისი სრულყოფილი მექანიზმის უქონლობის გამო.

როგორც ანალიზი და გამოცდილება გვიჩვენებს, მცირე ბიზნესის თანხების მიმართვა საბანკო სესხის საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირების წესით მათი გამოყენების ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა.

ასეთი შეღავათიანი (მეწამეობისათვის უპროცენტო) სესხის მიზანი გახდება ბიზნესმენთათვის საბანკო სესხები ხელმისაწვდომი გახდეს ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრიორიტეტულ დარგებსა და სფეროებში.

სამრეწველო პოლიტიკის განხორციელების მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის ღონისძიებები 2003-2005 წლებში მოცემულია მე-20 ცხრილში.

ცხრილი 7

მრეწველობის მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი ღონისძიებები

№	ღონისძიებათა გატარება	პასუხისმგებელი შესრულება	წარსადგენი ორგანო
1	2	3	4
1	მრეწველობაში ჩრდილოვანი საქმიანობის მიზეზების კვლევა და მისი მასშტაბების შემცირების წინადადებათა მომზადება	ადგილობრივი ეკონომიკური სამსახური, სტატისტიკის სამხარეო სამმართველო საოლქო საგადასახადო ინსპექცია	რწმუნებულის აპარატი, შესაბამისი სამინისტროები, სახელმწიფო კანცელარია
2	იმპორტით შემოტანილი აღურიცხავი საქონლის და ჩრდილოვან სექტორში წარმოებული პროდუქციის შეფასება სამრეწველო პროდუქციის სხვადასხვა ჯგუფების მიხედვით	აპარატის ეკონომიკური სამსახური, სტატისტიკის სამხარეო სამმართველო, საგადასახადო ინსპექცია	სამხარეო სათათბირო
3	საინვესტიციო საქმიანობის სტიმულირების წინადადებათა მომზადება	სტატისტიკის სამმართველო, სავაჭრო-სამრეწველო პალატა, აპარატის ეკონომიკური სამსახური.	სამხარეო სათათბირო
4	საინვესტიციო საქმიანობის სტიმულირების წინადადებათა მომზადება	საერთაშორისო თანამშრომლობის საბჭო, ბიზნესის ხელშემწყობი ცენტრი, აპარატის	რწმუნებულის აპარატი
5	რეგიონისათვის უმნიშვნელოვანესი	ეკ. სამსახური	რწმუნებულის აპარატი

	საერთაშორისო პროექტების სახელმწიფო მხარდაჭერისა და მონაწილეობის შესახებ წინადადებათა მომზადება		საერთაშორისო ორგანიზაციები
1		საერთაშორისო თანამშრომლობის საბჭო, ბიზნესის ხელშემწყობი ცენტრები, აპარატის ეკ. სამსახური	4
6	2		რწმუნებულის აპარატი, საერთაშორისო ორგანიზაციები
7	საერთაშორისო საფანანსო ინსტიტუტებ-თან, დონორ ქვეყნებთან, ორგანიზაციებ-თან და ფირმებთან, თანამშრომლობა	3	რწმუნებულის აპარატი, საერთაშორისო ორგანიზაციები
8	საექსპორტო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მხარდაჭერა-საექსპორტო პროდუქციის წარმოების განვითარების მიზნობრივი პროგრამების შემუშავება	საერთაშორისო თანამშრომ-ლობის საბჭო, მრჩეველი ბიზნესის საკითხებში	სახელმწიფო კანცელარია შესყიდვების სააგენტო
9	სახელმწიფო შესყიდვების სამრეწველო საწარმოთა მონაწილეობის მუდმივი მონიტორინგი და ანალიზი. შესყიდვის სააგენტოს რეგიონულ რგოლზე	საერთაშორისო თანამშრომლობის საბჭო, მრჩეველი ბიზნესის საკითხებში, სავაჭრო	რწმუნებულის აპარატი

	წინადადებათა მომზადება	სამრეწველო პალატა	
10	მრეწველობაში დასაქმებულთა აღრიცხვის სისტემის სრულყოფა, ახალი სამუშაო ადგილების ეკონომიკური სტიმულირების წინადადებათა მომზადება	აპარატის ეკონომიკური სამსახური	რწმუნებულის აპარატი, ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტრო
11	მრეწველობაში მცირე და საშუალო ბიზნესის კვლევა მათი გააქტიურების წინადადებათა მომზადება	სტატისტიკის სამმართველოს, ეკონომიკური სამსახური	სამხარეო სათათბირო
12	სამრეწველო საწარმოთა რესტრუქტური-ზაციის, მართვის სრულყოფის და რეაბილიტაციის ღონისძიებათა წინადადებების მომზადება	აპარატის ეკონომიკური სამ-სახური, სავაჭრო-სამრეწვე-ლო პალატა, სტატსამმართ-ველო, საერთაშორისო თანამშრომლობის საბჭო	სამხარეო სათათბირო, ფინანსთა სამინისტრო, სახელმწიფო კანცელარია
1	საწარმოებზე რიცხული საგადასახადო დავალიანებისა და საჯარიმო სანქციების ანალიზი, მათი შემდგომი რესტრუქტური-ზაციის ან ჩამოწერის თაობაზე წინადადებათა მომზადების მიზნით	სავაჭრო-სამრეწველო პალატა, სტატსამმართველო	4
13	2	საგადასახადო ინსპექცია სავაჭრო-სამრეწველო პალატა	ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტრო
14	მრეწველობაში სახელმწიფო მოზნობრივი პროგრამების შემუშავების	3	სამხარეო სათათბირო, სახელმწიფო

	კრიტერიუმების განსაზღვრა და მათ საფუძველზე მიზნობრივი პროგრამების შემუშავება		კანცელარია, საერთაშორისო ორგანიზაციები
15	ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის შექმნასა და მომსახურებაში მრეწველობის და სამრეწველო ინფრასტრუქტურის საქმიანი მონაწილეობისათვის წინადადებათა მომზადება	სავაჭრო-სამრეწველო პალატა, ეკონომიკური და რეგიონალური პრობლემების ინსტიტუტის რეგიონული ცენტრი	რწმუნებულის აპარატი
16	ტერიტორიულ ერთეულებში მცირე ბიზნესის განვითარებისა და საბანკო სესხის საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირების წესის განსაზღვრა	საერთაშორისო თანამშრომლობის სავაჭრო-სამერწველო პალატა	რწმუნებულის აპარატი, საერთაშორისო ორგანიზაცია
17	პერსპექტიულ და სიცოცხლისუნარიან საწარმოთა დადგენა და საინვესტიციო მონაცემთა განთავსება-გაახლება საინფორმაციო საშუალებებში	ეროვნული ბანკის რეგიონალური ფილიალი იმპორტის ეკონომიკური სამსახური	ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტრო
18	რეგიონის ტერიტორიული ერთეულების პროგრამებში მონაწილეობის მიღება, სათანადო კონსულტაციებისა და დახმარების გაწევა.	აპარატის ეკონომიკური სამსახური, სავაჭრო-სამრეწველო პალატა, გაეროს განვითარების პროგრამა	სამხარეო სათათბირო

საქართველოში მცირე სამრეწველო საწარმოები განიცდიან უმეტესად შემდეგ წინააღმდეგობებს:

_ ძირითადი პრობლემაა არასაკმარისი რესურსული ბაზა, როგორც მატერიალურ-ტექნიკური, ასევე ფინანსური;

_ შემდეგ პრობლემად უნდა ჩაითვალოს საკანონმდებლო ბაზა, მაღალი ტექნოლოგიების მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში დანერგვა მოითხოვს მნიშვნელოვან ინვესტიციებს, რომელთა მოზიდვა ერთის მხრივ _ გაძნელებულია და მეორე მხრივ _ არ არსებობს ამ ინვესტიციათა დაცვის რეალური გარანტიები, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფილების გამო;

_ შემდეგ პრობლემას წარმოადგენს კადრები. სამრეწველო საწარმოებში დასაქმებულნი არიან ის კადრები, რომლებიც წარმატებით ართმევდნენ თავს საწარმოთა გაძღოლის დირექტიული ეკონომიკის პირობებში, მაგრამ ახალ საბაზრო ურთიერთობათა ათვისება უჭირთ, ნაკლებად რეაგირებენ ბაზრის კონიუნქტიურაზე და ახალ მოთხოვნებზე;

_ ერთ-ერთი სერიოზული პრობელმა საქართველოში არასახარბიელო საინვესტიციო გარემოარომელიც რბილად, რომ ვთქვათ, არასაკამარისია საქართველოში მოქმედი კანონები, როგორებიცაა ,,ადმინისტრაციული კოდექსი", ,,კანონი პრივატიზების შესახებ˜, ,,საქართველოს კანონი ანტიმონოპოლიური საქმიანობის შესახებ˜, ,,საგადასახადო კოდექსი˜, ,,საქართველოს პრეზიდენტის რიგი ბრძანებულებები და მთავრობის დადგენილებები არ იღვალისწინებს შეღავათებს მცირე ბიზნესის სფეროში მომუშავეთათვის, ამასთან არასაკმარისია სასაქონლო ბირჟების რეგულირების კანონმდებლობა, რომელიც ხელს უშლის სასაქონლო ბირჟების ქსელის განვითარებას, ხოლო ასეთი ლოკალური ქსელების გარეშე გაძნელებულია მცირე ბიზნესის საჭიროებისათვის ტექნიკური და სანედლეულო საშუალებების შეძენა, აგრეთვე საკუთარი პროდუქციის და მომსახურეობის ბირჟებზე რეალიზება.

დასკვნა

ჩატარებული კვლევა იძლევა საშუალებას გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები და ჩამოვაყალიბოთ წინადადებები საქართველოს მრეწველობის აღორძინებისა და განვითარების მიმართულებების შესახებ:

1. საქართველოს ეკონომიკას და ქვეყნის მოსახლეობას აქვს მოთხოვნილება სამრეწველო პროდუქციაზე, რომელიც უმეტესწილად უცხოეთიდან შემოტანილი იმპორტირებული საქონლით კმაყოფილდება. ჩვენთან არსებოს ყველა აუცილებელი პირობა მრეწველობის აღორძინებისათვის, ასეთებია ადგილობრივი სანედლეულო ბაზა და საწარმოო სიმძლავრეები, რომლებიც 20-25 წელიწადში მასშტაბურად შემცირდა, მაგრამ არსებულიც უმნიშვნელოდაა დატვირთული;

2. მრეწველობა და ცალკეული საწარმოები დღეისათვის მნიშვნელოვან სიძნელეებს განიცდიან. მრავალჯერ შემცირდა სამრეწველო წარმოების მოცულობა. 1995-2014 წლებში ძირითადად აღინიშნებოდა კლების ტენდენციები, თუმცა მისი როლი და ადგილი საქართველოს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე გაცილებით მნიშვნელოვანია და ამ მიმართულებით აუცილებელია მუშაობის გააქტიურება;

3. მრეწველობის განვითარება მე-19 საუკუნის ბოლოსსა და მე-20 საუკუნის დასაწყისიდან იღებს სათავეს. ამ დროისათვის წარმოიშვა რამდენიმე მსხვილი საწარმო და სახელოსნო. ამავე დარგში საქმიანობდა სხვადასხვა მანუფაქტურები. რამდენიმე მსხვილი სამრეწველო საწარმო. ეს პროცესი კიდევ უფრო გააქტიურდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში. გასული საუკუნის 70-80-იან წლებში კი მრეწველობის განვითარებამ გარკვეულ პიკს მიაღწია. გასული საუკუნის 90-იან წლებიდან მოყოლებული კი დარგი დეგრადაციის გზას ადგას, იგი ღრმა ეკონომიკური კრიზისშია;

4. მრეწველობის განვითარების ძირითადი პრობლემებია:

ა) არასწორის მონეტარული პოლიტიკა, რომელიც ხორციელდება ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლების განმავლობაში და შემდეგ დამოუკიდებელ საქართველოშიც. შედეგად სამრეწველო საწარმოები იმერეთში და ქუთაისში საბრუნავი სახსრების გარეშე აღმოჩნდნენ, ამოწურეს საწარმოო მარაგები და ახლის შეძენისათვის ფინანსური სახსრების უქონლობამ მათი სტაგნაცია გამოიწვია.

ბ) არამიზანდასახული და ეკონომიკურად გაუმართლებელი პრივატიზების პროცესი და კაბალური საგადასახადო სისტემა. საწარმოთა უმეტესობა ნულოვან აუქციონზე მიზერული ფასად გაიყიდა, მაშინ როცა მათი ფუნქციონირებისათვის არახელსაყრელი საგადასახადო გარემო არსებობდა. ამან კი ხელი შეუწყო საწარმოთა გაჩერებას და არსებული საწარმოო სიმძლავრეების უცხოეთში ექსპორტს, უმეტესად ჯართის სახით.

გ) ტრადიციული მჭიდრო, უმეტესად კოოპერირებული სამეურნეო კავშირების მოშლის ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებთან, რის გამოც აუცილებელი გახდა მომარაგების სისტემის სასწრაფოდ შეცვლა, რაც ვერ მოხერხდა საბაზრო ურთიერთობებისათვის, დამახასიათებელი საბირჟო სტრუქტურის ჩამოყალიბების გამო. ამასთან მოსაძებნი შეიქნა პროდუქციის გასაღების ბაზარიც. მისი ათვისება კი პროდუქციის დაბალი ხარისხობრივი პარამეტრების და არაკონკურენტუნარიანობის გამო უკიდურესად გაჭირდა.

5. მრეწველობის წარმატებული ფუნქციონირებისათვის აუცილებლობას წარმოადგენს საბაზრო-საბირჟო ინფრასტრუქტურის განვითარება, რამდენადაც საბაზრო ეკონომიკის, კერძო საკუთრების და თავისუფალი კონკურენციის პირობებში საწარმოთა მომარაგების და მზა პროდუქციის რეალიზაცია უმეტესწილად სასაქონლო ბირჟების მეშვეობით უნდა ხორციელდებოდეს, მიუხედავად იმისა, რომ

საქართველოში მიღებულია კანონი „სასაქონლო ბირჟების შესახებ“, მათი ორგანიზება ვერ ხერხდება. რისი ძირითადი მიზეზიცაა ეკონომიკაში გამეფებული კორუფცია და კლანურობა. აღნიშნულის გამოსწორების გზაზე საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფაც და სახელმწიფო ხელშეწყობაც. ეს უკანასკნელი კი მიღწევადია საპრივატიზაციო ობიექტების, მათ შორის სააქციო საზოგადოებების აქციების ბირჟებზე რეალიზაციით. ამასთან ბირჟების მეშვეობით სახელმწიფო მარაგებისათვის საჭირო ნაწარმის შეძენა სტიმულს მისცემს საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარებას, მისი როლისა და ავტორიტეტის ამაღლებას, რომელიც ჩვენი აზრით ინდიკატორი ეფექტის მომტანია.

6. საქართველოში, როგორც ძველი, ასევე მოქმედი საგადასახადო სისტემის არასრულყოფილია. იგი ერთიანი საქართველოში არსებული ყველა ეკონომიკური სუბიექტისათვის და გამოირჩევა გადასახადთა დიდი განაკვეთებით. გადასახადთა სახეობების მრავალფეროვნებით არაერთმნიშვნელოვანი ფორმალიზებით. ყოველივე კი განაპირობებს „თეთრი“ ბიზნესი წარმართვის შეფერხებას, ხელს უწყობს კონტრაბანდას და გადასახადთა დამალვას, რაც უარყოფითად მოქმედებს საწარმოო აქტივობაზე. საგადასახადო გარემო საერთოდ ვერ ასრულებს მასტიმულირებელ ფუნქციას სამრეწველო საწარმოებისათვის და აუცილებელია მისი შეცვლა ლიბერილიზაციის და დიფერენციაციის მიმართულებით;

7. სამრეწველო საწარმოები ფუნქციონირებენ ეკონომიკის პირობებში, რომლის შესაბამისი საფინანსო-საკრედიტო მექანიზმი არასათანადოდ მუშაობს საქართველოში. აქ საბანკო სესხების სარგებლის განაკვეთი რამდენჯერმე მაღალია, ვიდრე ევროპის სახელმწიფოებში, ამავე დროს მოითხოვება სესხის გარანტის გაცილებით მაღალი საიმედოობა, რაც ამ სისტემის ეფექტურ გამოყენებას სამრეწველო საწარმოებისათვის მნიშვნელოვნად ამცირებს. კონკურენციის

გააქტიურება საბანკო დაწესებულებებს შორის ხელს შეუწყობს ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას. მოითხოვება აგრეთვე ეროვნული ბანკისაგან კომერციულ ბანკებზე გასაცემი სესხის სარგებლის სახელმწიფო რეგულირება და მისი ოფიციალური გამოცხადება, როგორც ეს განვითარებული ინდუსტრიულ სახელმწიფოებშია მიღებული. ამით დარეგულირდება კომერციულ მოკლე და გრძელვადიან სესხებზე სარგებლის განაკვეთი.

8. სახელმწიფო სავალუტო სისტემის რეგულირების განხორციელება საჭიროა ისე, რომ ადგილი არ ქონდეს ეროვნული ვალუტის – „ლარის“ მკვეთრ დაცემას, ან პირიქით – გამყარებას თავისუფლად კონვერტირებად ვალუტასთან მიმართებაში. კურსის ნებისმიერი „არაპროგნოზირებადი“ ცვლილება უარყოფითად აისახება სამრეწველო ფირმების საწარმოო აქტივობაზე და აუარესებს მათ ტექნიკურ-ეკონომიკურ პარამეტრებს. აქედან გამომდინარე ეროვნულ ბანკს შეუძლია და საჭიროა უზრუნველყოს ლარის სტაბილური გაცვლის კურსი აშშ დოლართან ან ევროსთან მიმართებაში.

9. სამერწველო საწარმოებში წარმოების ტექნიკური დონე დაბალია. აქ არსებული მოწყობილობები თითქმის არ განახლებულა ბოლო 20-25 წლის განმავლობაში. ნაკლებად გამოიყენება ავტომატური ტექნოლოგიური პროცესები. ამიტომ ამ ხერხით გარკვეული სამუშაოა ჩამოყალიბებული.

10. მრეწველობისათვის შედარებით ყველაზე მისაღებია საწარმოთა ორგანიზება მცირე და საშუალო ბიზნესის სახით. ამ მიმართულებით მცირე და საშუალო საწარმოები საჭიროებენ შემდეგი სახის დახმარებას:

– ფინანსური დახმარება, გამოხატული რისკის მაღალი დონის მქონე კაპიტალის წყაროების ხელმისაწვდომობაშია;

– მატერიალურ-ტექნიკური დახმარება, გამოიხატული შეღავათიან ფასებში შენობა-ნაგებობების, ტექნიკის, სამეცნიერო ლაბორატორიული მოწყობილობების შეძენაში;

– ინფორმაციული დახმარება გამოხატული ინფორმაციული ქსელების შეღავათიან ფასად გამოყენებაში, ტექნიკური ბიბლიოთეკების და მონაცემთა ბანაკებთან ხელმისაწვდომობაში;

– კონსულტაციური დახმარება, გამოხატული უფასო სკოლების ორგანიზაციებში მცირე ბიზნესის მენეჯმენტის, ბუღალტრული საქმის წარმოების, საგადასახადო სისტემის შესწავლის, მარკეტინგის, დაგეგმვის და ა.შ. უახლოეს მეთოდთა სწავლებაში.

11. მრეწველობის კრიზისიდან გამოსვლის და შემდგომი აღმავლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვან ფაქტორად მიჩნეულია სამეწარმეო სუბიექტების საბაზრო გარემოცვისადმი ადაპტირება. სამრეწველო საწარმოთა ამჟამინდელი მოუქნელი მმართველობითი აპარატი, დემოტივირებული პერსონალი და ძირითადი ფონდები დეფორმირებული სტრუქტურა არ არის საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისი. ამიტომ ერთ-ერთი პირობა მრეწველობის განვითარებისა არის საწარმოთა მართვის გაჯანსაღება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს:

– მართვის დირექტიული მეთოდების ეკონომიკური მეთოდებით ჩანაცვლება;

– მუშაკთა შრომისმოტივაციის ამაღლება;

– საწარმოს მოქნილობისა და ადაპტირების მაღალი დონე;

– საწარმოს თვითგანვითარების მექანიზმის ფორმირება;

– ნოყიერი ნიადაგის შექმნა მმართველობითი, ტექნოლოგიური და სხვა ინოვაციებისათვის.

12. იმისათვის, რომ მრეწველობა განვითარდეს ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს მარკეტინგული საქმიანობის გააქტიურება. კონკრეტული ბაზრების შესწავლას უნდა მიეცეს

სისტემატიური ხასიათი, რის საფუძველზეც უნდა დამუშავდეს მარკეტინგული ღონისძიებათა მიზნობრივი კომპლექსები.

13. დღეისათვის სამრეწველო საწარმოები აწყდებიან ძირითადად შემდეგ წინააღმდეგობებს:

– ძირითადი პრობლემა რა თქმა უნდა არასაკმარისი რესურსული გზაა, როგორც მატერიალურ-ტექნიკური, ასევე ფინანსური, როგორც ვიცით ჩამოყალიბებული იყო გიგანტური კონცენტრირებული საწარმოები, რომლებშიც ახალ საბაზრო ურთიერთობებში ვერ გაამართლა. აქ უფრო მიზანშეწონილია მცირე და საშუალო ბაზრები, რომელზედაც სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერაც მინიმალურია;

– შემდეგ პრობლემად შეიძლება ჩაითვალოს საკანონმდებლო ბაზა, რომელიც რბილად, რომ ვთქვათ, არასაკმარისია, საქართველოში მოქმედი კანონები, როგორებიცაა: „ადმინისტრაციული კოდექსი“, „კანონი პრივატიზირების შესახებ“, „საქართველოს კანონი ანტიმონოპოლიური საქმიანობის შესახებ“, „საგადასახადო კოდექსი“, საქარვთელოს პრეზიდენტის რიგი ბრძანებულებები და მთავრობის დადგენილებები არ ითვალისწინებს შეღავათებს მცირე ბიზნესის სფეროში, მომუშავეთათვის, ამასთან არასაკმარისია სასაქონლო ბირჟების რეგულირების კანონმდებლობა, რომელიც ხელს უშლის სასაქონლო ბირჟების ქსელის განვითარებას, ხოლო ასეთი ლოკალური ქსელების გარეშე გაძნელებულია მცირე ბიზნესის საჭიროებისათვის ტექნიკური და სანედლეულო საშუალებების შეძენა, აგრეთვე საკუთარი პროდუქციის და მომსახურეობის ბირჟების რეალიზება. თანამედროვე მაღალი ტექნოლოგიების მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში დანერგვა მოითხოვს მნიშვნელოვან ინვესტიციებს, რომელთა მოზიდვა ერთის მხრივ გაძნელებულია, მეორეს მხრივ არ არსებობს ამ ინვესტიციათა დაცვის რეალური გარანტიები, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფილების გამო.

– ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემას წარმოადგენს კადრები. სამრეწველო საწარმოებში ძირითადად დასაქმებულნი არიან ის კადრები, რომლებიც წარმატებით ართმევდნენ თავს საწარმოთა გაძღოლას დირექტიული ეკონომიკის პირობებში, მაგრამ ახალი საბაზრო ურთიერთობების ათვისება უჭირთ, ნაკლებად რეაგირებენ ბაზრის კონიუქტურაზე და ახალ მოთხოვნებზე;

– ასევე მნიშვნელოვანი პრობლემაა საქართველოში არასახარბიელო საინვესტიციო გარემო. იგი ყალიბდება საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარების დაცვით, საგადასახადო კანონმდებლობის შეღავათებით, კორუფციის მასშტაბებით, მართლწესრიგით, შრომითი რესურსების ღირებულებით, საკომუნიკაციო საშუალებების განვითარებით. ყველა ჩამოთვლილი ფაქტორი საქართველოში არასაკმარისადაა წარმოდგენილი, რაც ხელს უშლის არამარტო უცხოურ ინვესტიციათა მოზიდვის მრეწველობის მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში, არამედ ინვესტირებს ამ მიმართულებით თავს არიდებენ საქართველოს მოქალაქეებიც, მათი კაპიტალის დაცვის მაღალი რისკიანობის გამო. ამიტომ საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას, რაც დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

14. მრეწველობის კრიზისიდან გამოსვლისათვის აუცილებლობას წარმოადგენს რიგი მაკრო- და მიკროეკონომიკურ ღონისძიებათა კომპლექსურად განხორციელება, რომელთაგან ძირითადია: საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფა, მისი შემდგომი ლიბერალიზაციის, დიფერენციაციის და გამარტივების მიმართულებით; ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სისტემის სრულყოფა, საბაზრო ინფასტრუქტურის გაუმჯობესებისა და ქმედითუნარიანობის ამაღლებისადმი ხელშეკრულება. სასამართლო-საარბიტრაჟო სისტემის ძირეული სისტემის გაუმჯობესება - სამეურნეო დავების სწრაფად და სამართლიანად გადაჭრის შესაძლებლობა; საწარმოო მენეჯმენტის და ლოგისტიკის სისტემის სრულყოფა, კადრების პროფესიონალიზმის

ზრდა და დიზაინერთა მომზადების სრულყოფა, დარგში მცირე ბიზნესისადმი ხელშეწყობა და სხვა.

მიგვაჩნია, რომ სადისერტაციო ნაშრომში შემოთავაზებული წინადადებები ხელს შეუწყობს მრეწველობის განვითარებას, აამაღლებს მისი პროდუქციის კონკურენტუნარიანობას, ადგილობრივ ბაზაზე შესაძლებელი იქნება იმპორტული პროდუქციის თანდათანობითი შევიწროვება, შემდეგ კი ექსპორტის მიღწევაც. რაც ნიშნავს იმას, რომ დაიძლევა დარგის კრიზისი და დაიწყება მრეწველობის აღმავლობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მთლიანი შიდა პროდუქტი 2014 წ-ს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. გვ. 1,3. საიტზე: http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/nad/press-release_2014_GEO.pdf გადამოწმებულია 05.07.2014.
2. Наровное хозяйство Грузинской ССР в 1987 году. Статистический эжегоднил. Тбилиси, 1988, с. 19.
3. Мякушкин Д. Е. Социально-психологические аспекты комплексной оценки персонала организации. Методические рекомендации М. 2009, с.178.
4. Разинькова О. П. Управление персоналом предприятия в условиях нестабильного производства монография Тверь. ТГТУ. 2006, с.144.
5. Агошкова Н. Е . Основные направления совершенствования управления персоналом на предприятиях. АПК. ОРЕЛ. 2013. с.264.
6. Van Der Waldt, M.S. Bayat, W. Fox. The Fundamentals of Public Personnel Management. Bern, 1998, 279 p.
7. ARun Monappa, MIrza S Saiyadan. Personnel Management Second edition India, 2006. 417p.
8. Marco Koster. Human Resourse management, Versus Personel management. Germany, 2012. 406 p.
9. Сидукова Г. И. Кадровая политика в условиях кризиса. М., ЗАО КИС, 2003, 139 с.
10. Василевская О. В. Блинов А. О. Искуство управления персоналом. М., ГЕЛАН. 2001, с. 27.
11. გუგუშვილი პ. კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, გვ.12, თბ. 1941.

12. სეხნიაშვილი ც. ეკონომიკის ისტორია, ნაწ. I, თბ. 2000 წ., გვ.342.
13. სეხნიაშვილი ც. ეკონომიკის ისტორია, ნაწ. I, თბ. 2000 წ., გვ.342.
14. გაზ. „ივერია," №146, 1899.
15. გაზ. "დროება", № 110, 1875. 7 გაზ. "დროება", № 42, 1883.
16. გაზ. "დროება", №17 1866.
17. გ. ბაქრაძე – საქართველოში კაპიტალისტური მრეწველობის განვითარების ზოგიერთი საკითხის სწორი გაგებისათვის – თსუ შრომები. ტ. 100, გვ. 243, 1963. 10 იქვე – გვ. 249.
18. ბაბუნაშვილი თ., დანელია თ. საწარმო და გარდამავალი ეკონომიკაში მისი ადაპტირების საკითხები, თბ. 1997. 325 გვ.
19. გოცირიძე მ. მენეჯმენტი, სამრეწველო ფირმის მართვის საფუძვლები, თბ., ,,ზედაშე", 1992. 252 გვ.
20. გრიშიკაშვილი ა. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები პრობლემები, პერსპექტივები, თბ. 1998. 196 გვ.
21. ვარიანი ჰ. ლ. მიკროეკონომიკა, თანამედროვე მიდგომა, წიგნი 1. თბ. „დიოგენე", 1998.
22. ვორსი ი., რევენტლოუ პ. ფირმის ეკონომიკა, ქუთაისი, ტაბიძის სახელობის სს „სტამბის" საგამომცემლო ცენტრი, 1996.
23. ც. სეხნიაშვილი. ეკონომიკის ისტორია. თბ. 2000. გვ. 348-356.
24. რ. აბესაძე, დ. ჩომახიძე, მრეწველობა, "საქართველოს ეკონომიკა" რედ. რ. ასათიანი. თბ. გამომც. "სიახლე" 2012. გვ. 163
25. ვ. მელქაძე, სოციალისტური კვლავწარმოება საბჭოთა საქართველოში, თბ., 1966, გვ. 171.

26. საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. შრომების კრებული. ტომი II. თბ., 1997. გვ. 424.
27. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი ბიულეტინი #3, 1997, გვ. 8.
28. Основие показатели баланса народного хозяйства ГССР. Статистический сборник, Тб., 1979. გვ.: 16, 23.
29. ნ.ჭითანავა. გარდამავალი პერიოდის სოციალ-ეკონომიკური პრობლემები. ნაწ.II თბ.1999.გვ 127.
30. მურმან კვარაცხელია. შრომების კრებული ტ.II "საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში" თბ. 1997. გვ. 242.
31. თ. ჩიკვაიძე, საქართველოს ახალი პარადიგმა, მდგრადი და უსაფრთხო განვითარების სტრატეგია XXI საუკუნისათვის. საბაზრო ეკონომიკის ფორმირების და ფუნქციონირების პრობლმები საქართველოში". საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკის და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომების კრებული. ტ. 2. 1997. გვ. 72.
32. საქართველოს მრეწველობა 1985-1996 წლებში, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბ. 1997. გვ. 5, 6, 7, 8, 9, 10, 11.
33. ნ.ჭითანავა. სამრეწველო პოლიტიკის ფორმირების თეორიისა და ორგანიზაციის საკითხები. საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. შრ. კრებული II ტომი. 1997. გვ. 413.
34. ზ. ღუდუშაური და სხვ. მეწარმეობა, მცირე მეწარმეობა; თეორია და პრაქტიკა. თბ. 2004. გვ. 204.

35. Сирополос николас. Управление малым бизнесом. М., Дело. 1997. стр. 182.
36. Сирополос Николае. Управление мальым бизнесом. М., Дело, 1997. стр. 190.
37. ვ. ვილასონია, თ. მახვილაძე. ექსპერტული ეკონომიკური ანალიზი. თბ. 1995. გვ. 69.
38. Идрисов А.Б. и др. стратегическое планирование и эффективности инвестиции. М., 1997. стр. 46.
39. Асаул А.Н. Управление затртами в строительстве/А.Н.Асаул, Е.Г.Никольская СПБ, Москва 2007. стр. 107.
40. MacMahon R.G.P. The determination and use of investment hurdle in capital budgeting: A Survey of Austrion practice - Accounting und Finance. Val. May 1991.
41. გ.შუბლაძე, ფ.წოწკოლაური, მ.მღებრიშვილი. მენეჯმენტის საფუძვლები. თბ. 1998. გვ.27
42. საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1999 წლის ინდიკატური გეგმა. საქართველოს ეკონომიკის სამინისტრ., თბ. 1999.
43. 1998 წელს საქართველოს ეკონომიკის ფუნქციონირების ძირითადი შედეგები და უახლოესი ამოცანები. საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო, თბ. 1999.
44. საქართველოს სამრეწველო პოლიტიკის კონცეფცია, საქართველოში მრეწველობის სამინისტრო. თბ. 1999.
45. საქართველოში სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის საკითხები. საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო თბ. 1996.
46. Хоиер В. Как делать бызнес в европе М. ,,Прогрессе, 1990.
47. Amey L.R. The allocation and utilization of resources. Operational Research Quatenly, 1984.
48. Ball R.J. The use of value added in measuring managerial effeciency. Buziness Ratios, 1988.

49. Bowey A.M., Luptonn T. Productivity drift and the structure of the pay packet. Journal of Management Stidies, 1990.
50. Easterfield T.E. Productivity Measurement in Great Britain. Department of Science and Industrail Research., 1989.
51. Farrel M.J. The measurement of productive effeciency. Journal of the Royal Statistical society, 1957.
52. Federation Research Paper 1, Engineering Employeers Federation, U.K., 1988.
53. Rice A.K. Productivity and Social Organization. Tavistock, London, 1990.
54. Federation Research paper 1, Enginnering Employeers Federation, U.K., 1988.